



ისტორიული მემკვიდრეობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2015 წ. აბვისტო, №8(60), ფასი 3 ლარი

23 გერონტი
ქიქოძე
ქართული
კულტურის
ტრადიციები
და ილია
ჭავჭავაძე

ქართული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი –



ზაქარია ფალიაშვილი

ფალიაშვილის შემოქმედება ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მონუმენტია, მან უმაგალითოდ დიდი გავლენა მოახდინა ქართული მუსიკის შემდგომ განვითარებაზე.

4

მას მალევე გაუჩნდა უამრავი მიმდევარი და თაყვანისმცემელი.

მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ასალგაზრდობა



1911 წელს მოსკოვში შეიქმნა «ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება». საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ალექსანდრე ხახანაშვილი.

12

35 მხატვარი ივანე გუგუნაშვილი



პეტერბურგი და ქართული კულტურა

15



ირაკლი თოიბა — „აბესალომ და ეთერი“

თოიბა

სარჩევი

მამულიშვილი

■ ქართული საკომპიუტერო სკოლის ფუძემდებელი – ზაქარია ფალიაშვილი	4
მოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიიდან	
■ გიორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონი	8
მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა	
■ ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო წრეები	12
რუსეთის მხარდაშენი	
■ ვანო შაღური – პეტერბურგი და ქართული კულტურა	15
ილიას გაკვეთილები	
■ გერონტი ქიქოძე – ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ქავჭავაძე	23
მეგობრობა გზად და ხიდად	
■ ნიქოლოზ ზაბოლოვსკი	26
დედაქალაქის ისტორია	
■ ავლაბრისა და ნავთლანის შეერთება თბილისთან	31
იუბილე	
■ ივანე გუგუნიანი – 165	35
თვალსაზრისი	
■ დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობას განვითარებინ ახალი თვალსაზრისი გააჩნია	40
დემოგრაფია	
■ ანტონ ტოთაძე – მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფა ეჩვენა უნდა აიხილოს	43
ეს სანიტარულია	
■ აფრიკის, ანუ უარკულ-უჯდული ქართველები	49

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი
„ისტორიული მემკვიდრეობა“


სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი ღარეჯან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უბკ) 050 (479.22)
0-892

ქართული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი — ზაქარია ფალიაშვილი



გამორჩენილი ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, საქართველოს სახალხო არტისტი (1925) ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილი ქართული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი გახლდათ. ფალიაშვილის შემოქმედება ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია, მან უმაგალითოდ დიდი გავლენა მოახდინა ქართული მუსიკის შემდგომ განვითარებაზე.

მას მალევე გაუჩნდა უამრავი მიმდევარი და თავყვანისცემელი. მასზე წერდნენ გაზეთებში, ჟურნალებში, სიტყვით გამოდიოდნენ შეკრებებზე და ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა, ყველა ცდილობდა, ხალხისათვის ამ ადამიანის გენიალურობა და ღვაწლი დაენახებინა.

იყო პერიოდი, როცა შეეცადნენ, მისი შემოქმედება „ბურჟუაზიულად“ მოენათლათ, მისთვის კი „ბურჟუაზიული კომპოზიტორი“ ეწოდებინათ. რადგან პროფესიონალი მუსიკოსები არ ჰყავდათ, მისი გაკრიტიკება ვიქტორ დოლიძეს დაავალეს. ისიც დათანხმდა, მაგრამ კრებაზე ფრიად მოკლე სიტყვა თქვა: მე არ ვიცი, ზაქარია ფალიაშვილი ბურჟუაზიული კომპოზიტორია თუ არა, მაგრამ ის კი ზედმინევნით ვიცი, რომ თქვენ, ყველას, მისი „თავო ჩემოთი“ გაგასვენებენო...

ზაქარია ფალიაშვილი 1871 წლის 4 აგვისტოს დაიბადა. ფალიაშვილებს საოცარი ოჯახი ჰქონდათ, ხუთი პროფესიონალი მუსიკოსი აღზარდეს. მამას, პეტრე ფალიაშვილს, „ლილინას“ ეძახ-

დნენ, რადგან ქუთაისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის მედავითნე მუდამ ღიღინებდა. მისი თვრამეტწლიანი ოჯახიც მუდმივად ესწრებოდა ღვთისმსახურებას. მუსიკალური ნიჭი პირვე-

ლად უფროს ძმას — ივანეს გამოაჩნდა, შემდეგ თავისი წკრიალა ხმით მოძღვრის ყურადღება რვა წლის ზაქარიამ მიიპყრო. ივანე ანტონელაშვილმა საგანგებოდ შეასწავლა საგალობელი „იესოს ნანი“, შობა ღამეს ეკლესიაში აგალობა და გუნდშიც ჩარიცხა. 15 წლის უკვე ფისჰარმონიაზე საგუნდო საგალობლებს აკომპანიმენტს უწევდა. ქართულ ხალხურ სიმღერას 16 წლის ეზიარა ლადო აღნიაშვილის გუნდში. ალბათ, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ ქართულ ქულაჯაში გამონყობილი ახალგაზრდა რამდენიმე წლის შემდეგ საზოგადოების წინაშე წარდგებოდა, როგორც ნაციონალური ოპერისა და საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი.

მუსიკალური განათლება მიიღო ჯერ თბილისის სამუსიკო სასწავლებელში (1891-1899), ხოლო 1900-1903 წლებში – მოსკოვის კონსერვატორიაში.

„ეროვნებით ვარ ქართველი, სარწმუნოებით კათოლიკე, მე მხოლოდ 27 წლისა ვარ, უკვე მეშვიდე წელია, რაც ვითვლები თბილისის ერთ-ერთი საუკეთესო კოსტიოლის პიანისტად...“ — ასე აცნობს საკუთარ თავს ახალგაზრდა ზაქარია ფალიაშვილი მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორს, კომპოზიტორ სერგეი ტანეევს და უმორჩილესად სთხოვს, კონსერვატორიაში მიიღონ და სწავლის საფასურისაგან გაათავისუფლონ. „მომეცით საშუალება, განვახორციელო ის ოცნება-ნი, რომლებიც არ მტოვებენ ადრეული ბავშვობიდან დღემდე“.

ოჯახის ხელმოკლეობა ყველამ იცოდა, ამიტომ პედაგოგები ქუთაისში, თბილისსა და მოსკოვში უარს არ ამბობდნენ, ნიჭიერი



ახალგაზრდისთვის გაკვეთილები უსასყიდლოდ ჩაეტარებინათ.

თბილისის სამუსიკო სასწავლებელში სწავლობდა თუ მოსკოვის კონსერვატორიაში, ქართული მრავალხმიანობა იყო მისი გაუნელებელი ინტერესის საგანი. 1901 წელს წავიდა პირველ ექსპედიციაში და საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მოიარა, 15 წლის განმავლობაში ფონოგრაფზე 300-მდე სიმღერა ჩაინერა. ამ სიმღერების ნოტებზე გადატანა მეტად რთული და მძიმე შრომა იყო, ამიტომ თითო მონაკვეთს ზოგჯერ ათასჯერ უსმენდა. ასეთ დროს ოჯახის წევრები თავს გაქცევით შველოდნენ. ასე ეზიარა ქართველი ხალხის მიერ მრავალი საუკუნის განმავლობაში შექმნილ მუსიკას, სრულად შეიგრძნო ეროვნული სიმღერის ბუნება.

მოსკოვის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, 1903 წელს დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო აქტიური შემოქმედებითი პედაგოგიური და საშემსრულებლო (ორლანისტი და დირიჟორი) მოღვაწეობა. მიზნად დაისახა, ქართული პროფესიული მუსიკის განვითარებისათვის ყველა მიმართულებით ეღვაწა. ახალგაზრდებს პედაგოგობას უწევდა, მელომანებს გემოვნებიან მუსიკას ასმენინებდა, პროფესიული საზოგადოებების დაარსებისთვის იღვწოდა. კონსერვატორიის რექტორობაზეც პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად არ დათანხმებულა. ალბათ, თავადვე ხვდებოდა, რომ ის, რისი გაკვეთებაც მას ხელენიფებოდა, ბევრს არ შეეძლო. იყო „ქართული ფილარმონიული საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი (1905). 1908-17 წლებში სათავეში ედგა ამ საზოგადოების სამუსიკო სკოლას, აქვე შექმნა გუნდი და ორკესტრი. იყო „ქართულ ენაზე ოპერების გამმართველი საზოგადოების“ აქტიური წევრი, თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი (1919) და დირექტორი (1919, 1923, 1928-32).

კათოლიკურ საგალობლებზე, ქართულ ხალხურ და ევროპულ



ზაქარია ფალიაშვილი — მხატვარი უჩა ჯაფარიძე

კლასიკურ მუსიკაზე აღზრდილს დრო დაუდგა, საკუთარ შემოქმედებაზეც ეზრუნა. როდესაც პეტრე მირიანაშვილმა, ცნობილმა პედაგოგმა და ლიტერატორმა, ოპერის დანერა შესთავაზა, დიდხანს უარზე იდგა: რა დროს ოპერის წერაა, ჯერ მასალა უნდა მოვაგროვო, მაგრამ „აბესალომ და ეთერის“ მზა ლიბრეტო რომ მიუტანეს, დაინტერესდა.

პეტრე მირიანაშვილმა არა მხოლოდ შეადგინა ლიბრეტოს ტექსტი, არამედ მხარში ედგა კომპოზიტორს იმ წლების მანძილზე, როდესაც იგი ამ ოპერაზე მუშაობდა. ოპერის ლიბრეტო ხალხურ-

რი თქმულების მთლიანი სახით წარმოდგენის საინტერესო ცდაა. პირველად იგი 1908 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ფასკუნჯში“. პეტრე მირიანაშვილმა, ხალხური თქმულების ტექსტის გარდა, ლიბრეტოში გამოიყენა ვაჟა ფშაველას პოემის ცალკეული სტროფები, ხალხური „ვეფხისტყაოსნისა“ და ილია ჭავჭავაძის ლექსის ფრაგმენტები. ოპერის მეორე მოქმედების ტექსტის ნაწილი ალექსანდრე წუნუნავას ეკუთვნის, ხოლო ოპერის ერთ-ერთი გმირის — მარენის კანცონეტის ტექსტი თავად პეტრე მირიანაშვილის დანერილია. ზაქარია ფალიაშვილმა



თავისი შემოქმედების ცენტრალურ ოპერაზე — „აბესალომ და ეთერი“ მუშაობა 1910 წელს დაიწყო.

„აბესალომ და ეთერის“ III მოქმედება ჯერ კიდევ 1913 წლის 27 აპრილს ფილარმონიული საზოგადოების ინიციატივით დაიდგა ქართულ თეატრში, ხოლო საბოლოო სახით 1918 წელს დასრულდა.

ოპერის პირველი წარმოდგენა 1919 წლის 21 თებერვალს გაიმართა. ოპერას დირიჟორობდა ზაქარია ფალიაშვილი. დადგმა ეკუთვნოდა ა. წუნუნავას, რეჟისორი იყო ბელინსკი, მხატვარი — ა. ზალცმანი, ცეკვები დადგა ს. ვაკარეცმა, სოლოს „ლეკურში“ ელო ანდრონიკაშვილი ასრულებდა.

როლები შემდეგნაირად იყო განიღბებული:

- აბესალომი — პ. ზალიბსკი
- ეთერი — ო. ბახუტაშვილი-შულგინა
- მურმანი — ს. ინაშვილი
- აბიო მეფე — გ. ქურხული
- ნათელა — ო. მოროზოვა
- მარიხი — გრანელი
- ნანანა — ს. მანდენოვა
- დედინაცვალი — თ. გურჯი
- ბელიარ-ემმაკი — ვ. ლორთქიფანიძე
- თანდარუხი — ა. ჭუმბურიძე.
- დარბაზი ხალხით იყო გადაჭედილი. ოპერის მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ კომპოზიტორს უკვე მე-

ორე მოქმედების შემდეგ დიდი ოვაციები გაუმართეს. საოპერო თეატრის, თბილისის კონსერვატორიის, ქართული დრამისა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებმა კომპოზიტორს გვირგვინები და ძვირფასი საჩუქრები მიართვეს.


უნდა ითქვას, რომ პრემიერის სრულყოფილ წარმატებას საგრძნობლად შეუშალა ხელი სასცენო ტექნიკის დაბალმა დონემ. მეტისმეტად გაჭიანურებულმა ანტრაქტებმა, ოპერის, დრამატურგიულად გაუმართლებელი მუსიკალური სცენებით გადატვირთვამ გამოიწვია სპექტაკლის უჩვეულო, ყურადღების მომქანცველი გაჭიანურება. „აბესალომ და ეთერის“ პირველი ვარიანტი 5 მოქმედებისა და 6 სურათისგან შედგებოდა. ოპერა საღამოს 8 საათზე დაიწყო და ღამის 2 საათამდე გასტანა, მაგრამ ყველა, ვინც კი ნამდვილად იყო დაინტერესებული ქართული პროფესიული მუსიკის გამარჯვებითა და წინსვლით, გულწრფელად ხარობდა იმის შეგნებით, რომ იმ საღამოს ეროვნული კლასიკური ოპერის დაბადების მოწმე გახდა.

კომპოზიტორმა გარკვეული კრიტიკული შენიშვნაც დაიმსახურა. ფალიაშვილმა გაითვალისწინა შენიშვნები და ოპერა ერთი მოქმედებით შემოკლდა. საბოლოოდ ოპერამ „აბესალომ და ეთერი“ ქართული საზოგადოების

უზარმაზარი მხარდაჭერა ჰპოვა. დიდი ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი ამ ოპერის დადგმასთან დაკავშირებით წერდა: „დიდი დღესასწაულია! დღესასწაული ნამდვილი ხელოვნებისა! დღესასწაული კულტურული გამარჯვებისა! სარკმელია ევროპისკენ! გასაოცარი ლეგენდაა, სამშობლო ქვეყნის ჰანგებით მოსევდიანებული, ევროპული ოსტატობით შემუშავებული“. ხოლო ცნობილი ქართველი მსახიობი მარიამ საფაროვა-აბაშიძე კომპოზიტორის მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით წერდა — „აბესალომი“ უნდა განასახიერებდეს საქართველოს უკვდავ სულს, რომელშიც ტანჯვა და სიხარული ერთმანეთში გადახლართულა, ვით სიმბოლო აზრისა და მშვენიერებისა“. თავად კომპოზიტორს ოპერაზე მუშაობისას არაერთხელ უთქვამს: „მე პრეტენზიები არ მაქვს, რათა ჩემზე სთქვან, ოპერა დასწერაო. ჩემი მუშაობის აზრია — მე ვიძლევი მასალას, ვკრებ და ვაყალიბებ მას, გამოვიტან საზოგადოებაში, შემდეგ, ალბათ, გამოჩნდება ვინმე უფრო ნიჭიერი და ოპერას დასწერს“.

ფალიაშვილი საკუთარ დამსახურებად ოპერაში უფრო ეროვნული და ევროპული მუსიკის თავისებურებების სინთეზს მიიჩნევდა. იგი წერდა: „მე ის (იბულის-ხმება „აბესალომ და ეთერი“) მიყვარს და ვეჭრები არა მარტო ისე, როგორც ჩემს პირმშოს, არა — ვიმაორაბ, ისე როგორც საუკეთესო ნიმუშს ქართული ხალხური სიმღერებისას ევროპული თეორიის კანონებზე დაყრდნობაზე“.

ოპერის საერთო კონცეფციაში ძირითადი თემა — სიყვარული წარმოსახულია როგორც დიადი, უძლეველი ძალა, რომელიც გადალახავს არა მარტო სოციალურ უთანასწორობას, არამედ თვით სიკვდილსაც. სიყვარულისა და სიკვდილის ამღლებული პოემა ფალიაშვილმა მუსიკალური ტრა-





გედის მონუმენტურ ფორმებში გადანიჭიდა.

დიდხანს მუშაობდა „აბესალომზე“, რადგან მხოლოდ ზაფხულობით იცლიდა შემოქმედებისთვის. პირდაპირ ნოტებზე წერდა, როცა დაამთავრებდა, პიანინოს მერე მიუჯდებოდა ხოლმე. თანაც ამბობდა, რასაც მე ვაკეთებ, იქნებ ოპერა არ გამოვიდეს, მაგრამ მასალად მაინც გამოადგება სხვას, დაე, მან დაწეროსო. შემოქმედებასთან ერთად ამ ოპერაში პირადი ტრაგედიის გამოძახილიც აისახა — ფალიაშვილს ერთადერთი, ცხრა წლის ვაჟი მოუკვდა.

ქართულმა მუსიკალურმა კულტურამ „აბესალომით“ მსოფლიოს თავისი არსებობა ამცნო. როდესაც ერთმა რუსმა მუსიკოსმა ოპერა პირველად მოისმინა, თქვა: **ამ ოპერაში იმდენი მუსიკაა, ვერც ერთი ოთხი ოპერისათვის ეყოფოდა. „აბესალომი“ მოცემულია არა ცალკეული სიმღერები, არამედ ქართული სიმღერის ზოგადი არსი, მისი სული.**

შეკრიბა, ჩაინერა და გამოსცა ხალხური სიმღერების 2 კრებული. ხალხური შემოქმედების თავისებურებათა მხატვრული განზოგადებისა და მსოფლიო კლასიკური მუსიკის ტრადიციებთან მათი შერწყმის საფუძველზე **ფალიაშვილმა შექმნა ქართული კლასიკური მუსიკის სტილი. ფალიაშვილის მონუმენტური ოპერა-ტრაგედია „აბესალომ და ეთერი“ (1919) და ლირიკული დრამა ოპერა „დაისი“ (1923) შესულია მსოფლიო მუსიკალური კულტურის საბანძურში და ფართოდაა აღიარებული.**

სხვა ნაწარმოებებია: ოპერა „ლატავრა“ (1928), „საზეიმო კანტატა“ (1927), რომანსები და სიმღერები: „ახალ აღნაგო სულო“, „ნანა, შვილო“, აგრეთვე, „მრავალჟამიერი“ (სოლისტის, გუნდისა და ორკესტრისათვის), „ქართული ლიტურგია“ და სხვ.

ფალიაშვილი დიდხანს ავადმყოფ-



„აბესალომ და ეთერი“ — მხატვარი ირაკლი თოიძე

ფობდა. როდესაც ის გარდაიცვალა (1933 წლის 6 ოქტომბერს), საზოგადოებამ გულით დაიტირა. კონსერვატორიაში პანაშვიდები ყველა აუცილებელი ატრიბუტით ჩატარდა — ორკესტრით, გვირგვინებით, საპატიო ყარაულით. უცნაურად ამალეღვებელი და საზეიმო განწყობილება შეიქმნა, როდესაც ორკესტრმა, გუნდმა და ნიკო ქუმსიაშვილმა „აბესალომის“ მესამე მოქმედება შეასრულეს. კომპოზიტორი დაკრძალეს ოპერისა და ბალეტის თეატრის ეზოში, როგორც ეროვნული გმირი.

ზაქარია ფალიაშვილი იმ ღვანლმოსილთა ათეულშიც მოხვდა, რომლებიც საქართველოს სახელ-

მნიფომ მისთვის ყველაზე ღირებულ ქალად დაახატა — ეროვნული ვალუტის კუპიურაზე მისი პორტრეტი გამოსახული. დედაქალაქის ერთ-ერთი პრესტიჟული ქუჩა, თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი მის სახელს ატარებს.

ფალიაშვილის სახელი ეწოდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს (1937), თბილისის ცენტრალურ სამუსიკო სკოლას, მე-12 სამუსიკო სკოლას. დაწესებულია ფალიაშვილის სახელობის პრემია (1971-იდან). ბაქრძის ქ. № 10 სახლში, სადაც ცხოვრობდა ფალიაშვილი, გახსნილია მისი სახელობის სახლ-მუზეუმი.



გიორგი ვახტანგის ქე ბაგრატიონი

მრავალი რამ არის ცნობილი მეფე ვახტანგ VI-ს, მისი ოჯახის წევრებისა და, საერთოდ, მოსკოვის ქართული კოლონიის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის შესახებ XVIII საუკუნეში, მაგრამ ეს ცოდნა ვერ ამოწურავს იმ მრავალმხრივ საქმიანობას, რომელსაც კოლონიის წევრები მოსკოვში თუ სხვაგან ეწეოდნენ. უამრავი ცნობა არსებობს ვახტანგ VI-ის სამი ვაჟის — ბაქარის, ვახუშტისა და პაატას შესახებ, მაგრამ მეოთხის — გიორგის შესახებ შედარებით მწირი ინფორმაცია იყო მოძიებული. წინამდებარე წერილში პროფ. ალ. ფირცხალაიშვილი სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით სწორედ გიორგი ვახტანგის ქე ბაგრატიონის შესახებ მოგვითხრობს.

გიორგი ვახტანგის ქე ბაგრატიონის შესახებ მცირე, მაგრამ საინტერესო ცნობებს იძლევა „Санкт-Петербургские ведомости“. პ. გ. ბუტკოვს თავის „მასალებში“ მოტანილი აქვს ამ ვაჟის 1742 წლის ნომრიდან შემდეგი ადგილი: **„4 ოქტომბერი. ქართველი ბატონიშვილი გიორგი დაბრუნდა ფინეთში კამპანიის“ კეთილად დამთავრების გამო** (იგულისხმება ომი შვეციასთან 1741-1743 წწ. — ა. ფ.); **იგი იყო ფლოტში“**.

გიორგი ბატონიშვილის რუსეთ-შვეციის ომში მონაწილეობის შესახებ ცნობები მოიპოვება, აგრეთვე, ნ. შპილევსკის ნაშრომსა და სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში. დასახელებულ ომში შვედების წინააღმდეგ იბრძოდა ქართული ჰუსართა პოლკიც. **ამ ლაშქრობიდან დაბრუნების ერთი წლის შემდეგ, ე.ი. 1743 წელს, გიორგი ვახტანგის ქე იხსენიება გენერალ-მაიორის ჩინით.**

1747-48 წ.წ. ბატონიშვილი გიორგი ვახტანგის ქე მონაწილეობდა 30-ათასიანი დამხმარე კორპუსის ლაშქრობაში რეინზე. ამ ლაშქრობას სარდლობდა გენერალ-ანჟეფი ვ. ა. რეპნინი. **გიორგი ვახტანგის ქეს დავალებული ჰქონდა, მოეწყო საგალერო (ნიჩბიანი) ფლოტი, რომლის მეთაურიც თავითონ იქნებოდა და რომლითაც იგი კრონშტადტიდან მი-**

ტავაში (კურლიანდია) გადასხამდა დამხმარე 5 პოლკს (დაახლოებით 7000 სულს).

პეტრე I-ის შემდეგ ნიჩბიანი, საგალერო ფლოტი მოძველდა და ხმარებიდან გამოვიდა, მაგრამ გიორგი ვახტანგის ქემ იგი აღადგინა და სწრაფად მოაგვარა ჯარისკაცების გადასხმის საქმეც.

ამ ოპერაციის დროს გიორგი ვახტანგის ქე ბატონიშვილის ენერგიული მოქმედების შესახებ მოგვითხრობენ მისივე პატაკები გაგზავნილი სამხედრო და საადმირალო კოლეგიებში; პატაკები დაცულია სათანადო საარქივო საქმეებში. ამ პატაკებიდან კარგად ჩანს, რომ **გიორგი ვახტანგის ქე ბატონიშვილი სამხედრო საქმის საუცხოო მცოდნე, მამაცი მებრძოლი, თავის მეორე სამშობლოს დიდი პატრიოტი, ჯარისკაცებზე მზრუნველი და სხვა ღირსებით შემკული პიროვნება იყო.**

გიორგი ბატონიშვილის მიერ თავის ხელქვეით ჯარისკაცებზე ზრუნვის შესახებ მეტყველებს ის პატაკი, რომელიც დაუნდობლად ამხელს სამხედრო და საადმირალო კოლეგიებში ჯარისკაცთა ულუფების არადაწინააღმდეგობისა-მებრ გამოყენების შემთხვევებს. 1747 წლის მხოლოდ რამდენიმე თვეში გიორგი ბატონიშვილს 50-მდე პატაკი წარუდგენია. ამ პატაკთა უმრავლესობა ძალზე მოკლეა.

ბატონიშვილის ასეთი პიროვნული ღირსებებით აიხსნება ის, რომ თითქმის მის ყოველ მოსვლას დაწავლას, როგორც ზემოთ დავინახეთ, აღნიშნავდა „Санкт-Петербургские ведомости“.

რეინის ლაშქრობაში გიორგი ბატონიშვილთან ერთად მონაწილეობდა მეორე ქართველი ბატონიშვილი — ათანასე ლევანის ქე, რომელიც შემდეგ მოსკოვის კომენდანტი იყო. ათანასე ლევანის ქე იყო ვახტანგ VI-ის ძმა, ე.ი. გიორგი ვახტანგის ძის ბიძა.

გიორგი ბატონიშვილის საფლოტო მოღვაწეობა იმას მოწმობს, რომ ის განათლებით მეზღვაური იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფ.ფ. ვესელაგოს მიერ 1853 წ. შედგენილ ნაშრომში — „Очерки истории морского кадетского корпуса с приложением списка воспитанников за 100 лет“ — იგი რატომღაც არ არის მოხსენებული.

შვიდწლიანი ომის ამ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნებული მასალებიდან ვგებულობთ, რომ გიორგი ბატონიშვილი მონაწილეობდა ამ ომში და რომ იგი იმპერატორ ელისაბედისა და მთავარსარდალ გრაფ. ვ.ვ. ფერმორის ბრძანებით ასრულებდა ფრიად საპასუხისმგებლო და მძიმე დავალებებს.

ახლახან გახდა ცნობილი, აგრეთვე, „Санкт-Петербургские ведомости“-ს „დამატებებში“ გამოქვე-

ეყნებული მეტად საინტერესო ნეკროლოგიც, მიძღვნილი „უგანათლებულეს გენერალ-ანშეფის, წმ. ალექსანდრე ნეველისა და ანას ორდენების კავალერის საქართველოს ბატონიშვილის გიორგი ვახტანგის-ძისადმი“.

აქვე ვიძღვევით ამ ნეკროლოგის შინაარსს:

ბატონიშვილი ავად გახდა 1786 წლის 1 სექტემბერს და გარდაიცვალა იმავე წლის 19 დეკემბერს, 77 წლის ასაკში:

„ვერც მისმა ხანგრძლივმა ავადმყოფობამ, ვერც მისმა სისუსტემ ვერ გასტეხა მისი სულიერი სიმტკიცე“. აზიარა და ზეთი აკურთხა ქართველმა გრიგოლი არქიეპისკოპოსმა.

ბატონიშვილთან უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ფეხმოუცვლელად იმყოფებოდა მისი ნათესავი, თავადი დიმიტრი ევსეის ძე (ესეს ძე) ციციანოვი (ციციშვილი).

სიკვდილის წინ გიორგი ვახტანგის ძემ მოითხოვა საათი, დახედა თუ არა მას, ჩამოართვა ხელი ციციშვილს და უთხრა: „მოვიდა ჩემი განსვენების ჟამი“. შემდეგ გასცა უკანასკნელი განკარგულებები მემკვიდრეობის შესახებ და, უსურვა რა ყველას სულიერი სიმშვიდე, გარდაიცვალა. დასაფლავება მოხდა 23 დეკემბერს.

განსვენებულს გააჩნდა იხვიანთი პიროვნული ღირსება, რითაც მან ყველას სიყვარული და პატივისცემა დაიხსახურა; ამიტომაც ბევრი გულწრფელ მწუხარებას გამოთქვამდა „ასეთი დიდ ძველმოქმედი ადამიანისა და მეგობრის დაკარგვის გამო“.

ნეკროლოგში შემდეგ აღწერილია არაჩვეულებრივი, დიდი პატივისცემით ჩატარებული დასაფლავების ცერემონიალი. დასაფლავება, როგორც ცნობილია, მოხდა მოსკოვის დონის მონასტერში, სამგლოვიარო პროცესია მოეწყო ამგვარად: **წინ მიდიოდა „კონეო“, შემდეგ მრავალრიცხოვანი სამღვდლოება მოსკოვის ეპისკოპოსის — პლატონის**

მეთაურობით, იქ იყვნენ არქიეპისკოპოსი და არქიმანდრიტები, მაღალი სამღვდლოება, რაც კი იმ დროს მოსკოვში იმყოფებოდა და მრავალი თეთრი სამღვდლოება. სამღვდლოების შემდეგ მიდიოდნენ ოფიცრები, რომელთაც ფარჩის ბალიშებით მოჰქონდათ განსვენებულის ორდენები, შტაბ-ოფიცერს კი ორი ობერ-ოფიცრის დახმარებით — მანტია.

შემდეგ მიდიოდა სამეფო გვირგვინით შემკულ ბალდახინიან ფორანზე შედგმული კუბო. ბალდახინი ზონარები ეჭირათ პოლიციის ოფიცრებს, ცხენები მიდიოდნენ დაწყვილებულად და თითოეული მათგანის გვერდით კი — თითო კაცი ჩირაღდნით. კუბოს მიჰყვებოდნენ ნათესავები და 12 სტუდენტი ორ-ორ რიგად და ერთი ზედამხედველითურთ — ისინი გამოგზავნილნი იყვნენ მოსკოვის უნივერსიტეტიდან. შემდეგ მიდიოდა ბატონიშვილის სახლეული (მოსამსახურეთა შტატი) ოფიცინტებისა, მგალობლებისა და ფარეშებისაგან შემდგარი. პროცესიას ამთავრებდა „მწუხარების ექვსცხენიანი ეტლი, რომლის წინ მიდიოდა ორი შათირი (скороход) და ორი ცხენოსანი, გვერდებზე კიდევ ორი ჰაიდუკი.

გარდა ამისა, პროცესიას ორივე მხარეს მიჰყვებოდა 150 ჯარისკაცი, სამგლოვიარო მოსასხამებში, შავი მარმაშიანი ქუდეებითა და ჩირაღდნებით ხელში. ნეკროლოგში დონის მონასტრის სასაფლაოზე დასაფლავებისას ჩატარებული ცერემონიის შესახებ არაფერია ნათქვამი.

ნეკროლოგი მთავრდება შემდეგი სტრიქონებით:

„არ ვიხეზბით რა მის ყველა სათნოებას, საკმარისი იქნება, ვითქვამთ, რომ გულმონყალება, ყველასადმი კეთილგანწყობილება, დახმარების აღმოჩენა გაჭირვებულთათვის, ხასიათის სიმშვიდე, კაცთმოყვარეობრივი გულშემატკივრობა უხადურთადმი იყო მისი უბანათლებულე-

სობისის ბუნებრივი თვისებაში“.

დასაფლავების აღწერას მოსდედა ლექსი, მართალია პოეტურად ძლიერ სუსტი, მაგრამ სხვა უფრო დანვრელიებითი ცნობების უქონლობისა გამო, გიორგი ბატონიშვილის პიროვნების დასახასიათებლად მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

„Надгробные стихи на кончину его светлости грузинского царевича Георгия Вахтанговича“ — უცნობი ავტორის მიერ დაწერილი ეს ოდა თემით, განწყობილებით და რამდენადმე შინაარსითაც მოგვაგონებს დერჟავინის ოდას „На смерть князя Мещерского“. იგი გამოხატავს ღრმა, გულწრფელ მწუხარებას, გამონვეულს „მეფური წარმოშობის“ ბატონიშვილის, გიორგი ვახტანგის ძის სიკვდილით; ეს ოდა გვიხატავს განსვენებულის მაღალ ზნეობრივ თვისებებს, რამაც მას ღრმა პატივისცემა და სიყვარული მოუპოვა მრავალრიცხოვანი მეგობრებისა და უბრალო ადამიანებისა, რომლებიც მწარედ დასტირიან მის სიკვდილს. ოდის მიხედვით, განსვენებული იყო „ღირსეული“ და „დიდებული“ ადამიანი, ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი, სახელგანთქმული სამხედრო გამარჯვებებით, გარემოცული პატივით, მფლობელი დიდი სიმდიდრისა.

იგი გამოირჩეოდა იმ დროისათვის იშვიათი მოკრძალებით, ერიდებოდა განსაკუთრებულ ბრწყინვალეებას, სძულდა სიმდიდრე, გაურბოდა სახელს, პატივისცემას და უყვარდა „მშვიდი“, მორიდებული ცხოვრება; ნოვიკოვის მსგავსად, მინდობილი იყო მეცნიერების შესწავლასა და სწავლავანათლების გავრცელებას.

ამასთან ერთად, იყო „მეგობარი მუზისა“ — „Он был другом муз“, ე.ი. ჰქონდა პოეტური ნიჭი და ქმნიდა პოეტურ ნაწარმოებებს. ოდა გიორგი ბატონიშვილს გვიხატავს, როგორც გულკეთილ ადამიანს, „სათნო“ ფილანტროპს, მეგობარს, რომელიც ეხმარებოდა ბედუკულმართობით დაჩაგრულთ.



განსვენებული ალნიშნულმა მაღალმა და კეთილშობილურმა თვისებებმა მოუპოვეს მას ბევრი მეგობარი და შეუქმნეს დიდი პოპულარობა მის თანამედროვეებში, რომლებიც გულწრფელად დასტიროდნენ მის გარდაცვალებას.

დასასრულ, ის გარემოება, რომ ბატონიშვილისადმი მიძღვნილ ნეკროლოგსა და ლექსს საკმაოდ დიდი ადგილი დაეთმო „Санкт-Петербургские ведомости“-ის დამატებებში“, ისეთ ორგანოში, რომელსაც 1779-89 წ.წ. დიდი რუსი განმანათლებელი ნ. ი. ნოვიკოვი ხელმძღვანელობდა, საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ **ბიორგი ბატონიშვილი ცოტად თუ გავრად ახლოს იღბა ნოვიკოვთან. ბიორგი ბატონიშვილი, რომორც ჩანს, თავისი დროის მონინავე პოლიტიკური განწყობილების ადამიანი იყო და ახლოს იღბა რუს განმანათლებელთა პლადასთან.**

ს. შევირიოვი მოსკოვის უნივერსიტეტის შესახებ მონოგრაფიაში წერს: „1785 წლის 12 მარტს საქართველოს უგანათლებულესმა გიორგი ვახტანგის ძე ბატონიშვილმა უნივერსიტეტს აჩუქა იმავე მიზნისათვის (სტუდენტთა სტიპენდიებისათვის — ა.ფ.) 10.000 მანეთი. უნივერსიტეტმა საჯაროდ მადლობა გამოუცხადა ბატონიშვილს; ამასთანავე, აღუთქვა, „ჩაენერგა“ მადლობის გრძნობა თავის აღსაზრდელების გულში, რომლებიც მისგან

დავალებული იქნებიან განათლების ნაბოძვართ“.

ასეთი დიდი შეწირულობა XVIII საუკუნეში ძალიან იშვიათი იყო. შევირიოვი, ქველმოქმედად ასახელებს ი. შუვალოვს, დიდი სიმდიდრის მფლობელს ცნობილ დემიდოვს და კიდევ 2-3 ადამიანს.

სხვათა შორის, ყურადღების ღირსია, რომ პროკოპი აკინფისძე დემიდოვზე მისი გარდაცვალების შემდეგ (1787 წ.), როგორც „ქველმოქმედზე“, „Санкт-Петербургские ведомости“-ში მოთავსებულ იქნა ძალიან მცირე ზომის ნეკროლოგი. ამას აღვნიშნავთ იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს გიორგი ბატონიშვილის როლი და ადგილი იმდროინდელი მოსკოვის კულტურულ ცხოვრებაში. 1786-87 წლების „Санкт-Петербургские ведомости“-ს გადათვალთვრებამ დამარწმუნა, რომ გიორგი ბატონიშვილისადმი იმ ხანებში გამოჩენილ იქნა განსაკუთრებული ყურადღება. **იმ წლებში გვირი წარჩინებული მოსკოველი გარდაიცვალა, მამრამ არც ერთ მათგანს არ დაუმსახურებია ისეთი პატივისცემა და ყურადღება, რომორიც ბიორგის.**

ბროსე თავის შრომაში საგანგებოდ შეჩერდა ვახუშტიზე, მაგრამ მისი ძმისთვის, გიორგი ვახტანგის ძისათვის კი ყურადღება არ მიუქცევია. ბატონიშვილმა ალექსანდრე არჩილის ძემ, პეტრე I-ის თანამოსაგრემ და მისმა მარჯვენა ხელმა საარტილერიო საქმეში,


ისტორიკოსების მეტი ყურადღება დაიმსახურა, ხოლო გიორგი ბატონიშვილის, მოსკოვის კულტურული ცხოვრების თვალსაჩინო წარმომადგენლის, შესახებ კი არაფერი უთქვამთ.

შეიძლება ეს აიხსნება იმით, რომ გიორგი ბატონიშვილის მოღვაწეობის შესახებ მასალები შედარებით მცირე იყო და ჩვენ მიერ შემოაღნიშნულით განისაზღვრებოდა, მაშინ, როდესაც ვახუშტისა და ალექსანდრე ბატონიშვილის სამოღვაწეო ასპარეზი უფრო დიდი იყო, ვახუშტი მოსკოვში მცხოვრები დიდი ქართველი მეცნიერი იყო, ალექსანდრე არჩილის ძე კიდევ — რუსეთის დიდი მოღვაწე, რომელიც „ყოველთვის მზად იყო, ყოველგვარი მსხვერპლი გაეღო რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებისათვის. ამავე დროს, მას არასოდეს დაუფიქრებია ქართული ენა, ქართული კულტურა, ქართველი ხალხის სულიერი სრულყოფა... ალექსანდრე... ყოველთვის პოულობდა დროს, ეკეთებინა ქართული მწერლობის საქმე. მის კალამს ეკუთვნის სიმეონ პოლიცკის ნიგნის ბრწყინვალე თარგმანი“.

ბროსეს ერთ-ერთ ნერილში („Melanges Asiatique“, St. Petersburg, 1859, გვ. 533-575) დონის მონასტერში დასაფლავებულ გიორგი ბატონიშვილის შესახებ მოტანილია მხოლოდ ის ცნობები, რაც ჩვენ მიერ შემოდასახელებულ ეპიტაფიათა კრებულში „Путеводитель к древностям и достопамятностям московским“ არის შეტანილი და ისიც არა ზუსტად.

ჩვენ ვერ შევძელით იმისი დადგენა, თუ ვინ იყო გიორგი ბატონიშვილის მეუღლე, მაგრამ ცნობილია, რომ გიორგი ბატონიშვილთან მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში განუმორებლად იმყოფებოდა „მისი ნათესავი თავადი დიმიტრი ევსევის ძე ციციანოვი (ციციშვილი). იქნებ ეს უკანასკნელი იყო მისი ნათესავი ცოლის ხაზით.

ეპიტაფიათა კრებულიდან ვგებულობთ, რომ **ბიორგი ბატონი**





ნიშვილის უმცროსი ვაჟი — ვასილი, პრაიზრაჟენსკის პოლკის პოდპორუჩიკი, გარდაიცვალა 1764 წ. 15 მაისს, „14 წლის, 8 თვისა და 19 დღის“ ჰასაკში.

გენ. — ანშეფის და სხვა ორდენტა კავალერის გიორგი ვახტანგის ძე ბატონიშვილის მეორე ვაჟი — **იაკობი, ლიუბ-გვარდიის პრაიზრაჟენსკის პოლკის პორუჩიკი გარდაიცვალა 1768 წ. 10 იანვარს, „17 წლის, 8 თვისა და 6 დღის“ ჰასაკში.**

შვილების სახელების მიხედვით თუ ვიმსჯელებდით (ვასილი, იაკობი), გიორგის მეუღლე რუსი ქალი უფრო უნდა ყოფილიყო, ვიდრე ქართველი.

საქართველოს უგანათლებულესი ბატონიშვილის — გიორგის ქალიშვილი — **ანა გიორგის ასული, გან-მაიორისა და კავალერის თავად ალექსანდრე ბორისის ძის გოლიცინის**

მეუღლე, გარდაიცვალა 1779 წ. 25 წლის ასაკში.

გიორგი ბატონიშვილის მეუღლე გარდაცვალებულთა სიაში არ არის ნახსენები.

1794 წ. 9 ნოემბერს გარდაიცვალა გენ.-მაიორი და კავალერი თავ. ალექსი ბორისის ძე გოლიცინი (60 წლის ჰასაკში).

გიორგი ბატონიშვილის მეუღლე გარდაცვალებულთა სიაში არ არის ნახსენები.

შეიძლება ითქვას, რომ, საერთოდ, მოსკოვის ქართული კოლონიის წევრებს, განსაკუთრებით ბაგრატიონთა გვარიშვილობას, დაუშრეტელი ენერგია აღმოაჩნდა. ამ კოლონიიდან გამოვიდნენ სხვადასხვა დარგის თვალსაჩინო მოღვაწეები — პოლიტიკოსები და დიპლომატები, მეცნიერ-მწერლები, პოეტები და ხელოვანები, სამხედრო საქმის დიდი მცოდნენი, თავისი დროის მოწინავე მოღვაწენი და სხვ. თავისი დროის გა-

ნათლებულ და მოწინავე ადამიანებად ისინი გვევლინებოდნენ არა მარტო XVIII, არამედ XIX საუკუნეშიაც. ამ მხრივ საინტერესოა გავიხსენოთ შემდეგი ცნობა: 1871 წელს პარიზში კომუნაში აქტიური მონაწილეობისათვის დახვრეტილ იქნა თავადი ბაგრატიონი, რომელმაც დაკითხვისას აჩვენა, რომ იგი არის ვაჟი რუსეთის არმიის გენერლისა და თვითონაც რუსეთის არმიაში მსახურობდა, რომ იგი დაიბადა 1837 წ. 23 მაისს და მას ეძახიან ალექსანდრე კონსტანტინეს ძეს.

იმ დროის ქართული გაზეთი „დროება“ 1872 წ. №22-ში წერდა: „კომუნარების მხარეზე იბრძოდნენ რუსი ქალიშვილი დიმიტრიევა და ქართველი ბაგრატიონი“.

ალექსანდრე ვირცხალაიშვილი,
პროფესორი
ჟურნალი „მნათობი“,
1959 წ.

ალექსი I დიდი კომნენოსი — ტრაპიზონის პირველი იმპერატორი — ლაზთა მეფე

ტრაპიზონის პირველი იმპერატორი **ალექსი I დიდი კომნენოსი (1204–1222 წწ.)** იყო კომნენოსების დინასტიის დამაარსებელი.

ალექსი იყო ბიზანტიის კარის სევასტოკრატორის — მანუელ კომნენოსის და საქართველოს მეფე გიორგი III-ს ასულის — რუსუდანის შვილი. 1185 წელს კონსტანტინოპოლში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დაიღუპა მისი მამა და პაპა; ალექსი ძმასთან — დავითთან ერთად საიდუმლოდ გადავიდა საქართველოში, სადაც უკვე მათი დეიდა — თამარი მეფობდა. 1204 წელს, ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაცია კარგად გამოიყენა თამარ მეფემ და ტრაპიზონის იმპერია ჩამოაყალიბა, რომლის იმპერატორადაც თავისი დის შვილი — ალექსი I აკურთხა.

ქართული წყაროებით არ მტკიცდება, რომ ალექსი თამარის დის შვილია. ალექსი მიიჩნეოდა დავით აღმაშენებლის ბიზანტი-



აში გათხოვილი ასულის შთამომავლად. ერთი რამ კი ნამდვილად უდავოა: ალექსი კომნენი გაიზარდა საქართველოში ქართულად და გახდა კეისარი ისტორიული ქართული მიწების — ქალდეა-ტრაპიზონისა, სადაც უმრავლესობა ჭანები (ლაზები) ცხოვრობდნენ. მაშასადამე, ის ლაზთა იმპერატორი იყო. სინამდვილეში კი ივერთა მეფე მისი სუზერენი, საქართველოს (ივერიის) მეფეთ მეფე თამარი იყო, ის კი — თამარის ქვეშევრდომი და ვასალი, ანუ ერთიანი ქართული სივრცის ერთ-ერთი ნაწილის მეფე.

ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო წრეები

მოსკოვში 1910-იან წლებში უმაღლეს სასწავლებელთა გარეთ ჩამოყალიბდა ორი კულტურულ-საგანმანათლებლო წრე, რომლებიც აერთიანებდნენ არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ მოსკოვში მცხოვრებ სხვა ქართველებსაც. ამ წრეების მიზანი, მსგავსად ილიასა და აკაკის სახელობის წრეებისა და მოსკოვის ქართველთა საზოგადოებისა, იყო რუსეთის, კერძოდ, მოსკოვის ფართო საზოგადოებრიობისათვის საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის გაცნობა, ქართველთა და რუსთა დამეგობრება, ამ მეგობრობის განმტკიცება.

ერთი ასეთი წრე ჩამოყალიბდა პროფ. ალ. ხახანაშვილის ინიციატივითა და მატერიალური უზრუნველყოფით. ეს წრე შეიქმნა 1911 წელს და მას ეწოდა **„ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება“**. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ალ. ხახანაშვილი.

ამ საზოგადოებას მიზნად ჰქონდა დასახული მუშაობის, კერძოდ, სხდომების რუსულ ენაზე წარმოება, რათა მათ სისტემატურად დასწრებოდნენ მოსკოვის ადგილობრივი მცხოვრებნი და ამ უკანასკნელთ ჰქონოდათ საშუალება, ღრმად ჩასწვდომოდნენ სხდომების შინაარსს, მონაწილეობა მიეღოთ საზოგადოების კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში, ჩაბმულიყვნენ კამათში, გამოსულიყვნენ მოხსენებებით, კრიტიკული შენიშვნებით და სხვ.

საზოგადოებამ ეს მიზანი საუცხოოდ განახორციელა. ის აწყობდა სხდომებს, რომლებზეც მოხსენებები და კამათი ტარდებოდა რუსულ ენაზე. როგორც მოხსენებები, ისე კამათი საინტერესო შინაარსისა იყო, დამსწრენი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ და ამიტომ საზოგადოების მიერ მოწყობილ სხდომებს ხალხი ძლიერ ეტანებოდა, ყოველთვის ნასიამოვნები და აღტაცებულიც კი ბრუნდებოდა იქიდან.

საზოგადოების ერთ-ერთი პირველი სხდომა 1911 წლის 30 ოქ-

ტომბერს შედგა. ეს სხდომა მიეძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას. მოხსენების გაცხებება ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ დავალებული ჰქონდა ერთ-ერთ სტუდენტს. ცნობა ამ სხდომის ჩატარების შესახებ პრესაში გამოქვეყნებული არ ყოფილა, მიუხედავად ამისა, მას აუარებელი ხალხი დაესწრო. მომხსენებელმა მშვენიერი მოხსენება გააკეთა, მას მოჰყვა საინტერესო გამოსვლები. დასასრულ გაიმართა ქართული ცეკვები. დამსწრე საზოგადოება დიდად კმაყოფილი დარჩა. აი, რას წერდა ამ საღამოს შესახებ მწერალი **იოსებ ტატიშვილი**: „ა/წ ოქტომბრის 30-ს ქ. მოსკოვში ქართული კულტურის მოყვარე მეორე წრემ (არა სტუდენტებმა) ნიკ. ბარათაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად საღამო გამართა. ქალთა კლუბის პატარა დარბაზი საზოგადოებას ვერ იტევდა. ასეთი ინტერესი იმით უნდა აიხსნას, რომ, როგორც ცნობილია, რუსეთის საზოგადოება კავკასიას და კერძოდ კი ჩვენს ქვეყანას სრულებით არ იცნობს. კავკასია აქაურებისათვის ზღაპრული ქვეყანაა გმირებისა, ვაჟკაცობისა, უშიშროებისა, სილამაზისა და... ერთი სიტყვით, ქვეყანა რომანტიული, სადაც ყველაფერი თავისებურია, არაჩვეულებრივად ლამაზი. კავკასიაში ყოფნა აქაურ ქალებს ხომ ოცნებაა აქვთ გადაქცეული, ეს არის მიზეზი, რომ ამ საღამოს, მიუხედავად იმისა,



ალ. ხახანაშვილი

რომ იგი არსად გამოცხადებული არ იყო, ხალხი ბლომად დაესწრო და გულმოდგინებით ისმენდა ყველაფერს. სანახავად ღირდა სიხარული საზოგადოებისა, როცა გამოუცხადეს, საღამოს დასასრულს ლექური იქნებაო“.

ამის შემდეგ საზოგადოებამ კიდევ მრავალი საინტერესო სხდომა ჩაატარა; მხოლოდ 1912 წლის მარტში, საზოგადოების დამაარსებლისა და თავმჯდომარის პროფ. ხახანაშვილის გარდაცვალების გამო მან დროებით შესწყვიტა მუშაობა. **ა. ხახანაშვილი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ზრუნავდა ამ საზოგადოებაზე და კიდევ დაუტოვა მას ანდერძით 1000 მანეთი, რათა ეარსება და ემოღვაწა მას ქართველი ერის სასახელოდ, ქართული კულტურის რუსეთში პოპულარიზაციისა და გავრცელებისათვის.**

ეს ასეც მოხდა. მოსკოვში არ ილეოდა ქართულ კულტურაზე, რუსეთის საზოგადოებისათვის მისი გაცნობის საქმის მზრუნვე-



ლი. ა. ხახანაშვილის გარდაცვალების შემდეგ ქართული ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების შემსწავლელ საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა **დიმიტრი არაყიშვილი**, რომელიც იმხანად მოსკოვში ცხოვრობდა და ქართული მუსიკის საკითხებს ამუშავებდა, აგრეთვე, ქართულ მუსიკას აცნობდა მოსკოვის საზოგადოებრიობას. 1913 წელს დ. არაყიშვილი არჩეულ იქნა საზოგადოების თავმჯდომარედ. თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნული იყო **მიხეილ ზურაბის ძე ზანდუკელი**, მდივნად — ი. ღვინიაშვილი. დ. არაყიშვილმა მ. ზანდუკელთან, ი. ღვინიაშვილთან და გამგეობის სხვა წევრებთან ერთად ა. ხახანაშვილის მიერ დატოვებული თანხით საზოგადოებას შეუძინა შენობა, ბიბლიოთეკა და შემდეგშიც ყოველთვის ცდილობდა ამ ბიბლიოთეკის გამდიდრებას.

დ. არაყიშვილი საზოგადოების მუშაობის განახლებას შეუდგა. მან შეადგინა მუშაობის გეგმა და იანვრის თვის ბოლოს მოიწვია სხდომა, რომელიც მიეძღვნა საზოგადოების დამაარსებლისა და პირველი თავმჯდომარის ხსოვნას. სხდომაზე მოგონებებით ალ. ხახანაშვილის, როგორც მოქალაქის, მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის შესახებ გამოვიდნენ თვით დიმიტრი არაყიშვილი და ექიმი ვლადიმერ ნემსაძე. ამავე სხდომაზე გადაწყდა მოენწყოთ საზოგადოების ღია სხდომა, მიძღვნილი ა. ხახანაშვილის ხსოვნისადმი, სადაც წაიკითხებოდა მოხსენებები მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მართლაც, 1913 წლის 7 მარტს შესდგა საზოგადოების სხდომა, რომელზეც მოხსენებით — „ა. ხახანაშვილის ხსოვნას“ გამოვიდა მისი კოლეგა უნივერსიტეტიდან, მოსკოვის უნივერსიტეტიდან არსებული სამუსიკო-ეთნოგრაფიული კომიტეტის თავმჯდომარე ნ.ლ. იანჩუკი. მეორე მოხსენება — „ა.ს. ხახანაშვილის მეცნიერული დამსახურება ზოგად აღმოსავლეთმცოდნეობის თვალსაზრისით“ — წაიკითხა აგრეთვე მისმა



დიმიტრი არაყიშვილი



მიხეილ ზანდუკელი

კოლეგამ ლაზარევის ინსტიტუტიდან პროფესორმა ა.ე.კრიმსკიმ. შემდეგი მოხსენება სათაურით „ა.ს. ხახანაშვილის შრომები საეკლესიო საკითხებზე“ გააკეთა ნ.ა. ღურნოვმა. მოხსენებით გამოვიდა დიმიტრი არაყიშვილიც, რომელიც შეეხო საკითხს — „**ა.ს. ხახანაშვილის შრომები მუსიკალურ-ეთნოგრაფიულ ცნობათა შესახებ**“. ბოლოს მოხსენებებით გამოვიდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები ძმები **ლადო და გრიშა ჯაფარიძეები**. ლადო ჯაფარიძემ ალ. ხახანაშვილი დაახასიათა როგორც პიროვნება, ხოლო გრიშა ჯაფარიძემ წაიკითხა მშვენიერი მოხსენება **ქართული სიტყვიერების საკითხებზე ალ. ხახანაშვილის შრომათა მიხედვით**. სალამომ დიდი ინტერესი გამოიწვია. დამსწრე საზოგადოება სულგანაბული ისმენდა მოხსენებებს საქართველოს დიდი მოამაგის, შესანიშნავი ადამიანისა და გამოჩენილი მეცნიერის ალ. ხახანაშვილის შესახებ. დამსწრე საზოგადოება საფუძვლიანად გაცნო ა. ხახანაშვილის მეცნიერულ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას და დიდი შთაბეჭდილებებით დაიშალა სხდომის დამთავრების შემდეგ. ამ სალამოს მოსკოვის პრესაც გამოეხმაურა და აღნიშნა სალამოს

მეტად შინაარსიანად ჩატარება. საინტერესო სხდომა მოაწყო ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის საზოგადოებამ 1914 წლის 26 თებერვალს. ამ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ჩიტო კაპანაძე, რომელმაც საზოგადოებას გააცნო **ქართული ეკლესიის ისტორია**. მეორე მოხსენებაში მოცემული იყო მოკლე ისტორიული ცნობები თამარ მეფის ეპოქის შესახებ. ამავე სხდომაზე მოხსენება გააკეთა დიმიტრი არაყიშვილმა, მიძღვნილი **ქართველ მთიულთა და მოხვევთა ხალხური სიმღერების საკითხისადმი**. მოხსენებები მეტად შინაარსიანი იყო. დღის წესრიგი წინასწარ იყო გამოკრული სხვადასხვა საზოგადოებრივ ადგილებში; წინდანი იყო ცნობილი — გადმოგვცემს ჩ. კაპანაძე, — რომ ამ სალამოს დიდძალი ხალხი დაესწრობდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, სხდომა შემდგარიყო კომერციული ინსტიტუტის დიდ დარბაზში. ასეც მოხდა. ეს დიდი აუდიტორია სავსე იყო ხალხით. მოხსენებებს მოჰყვა შეკითხვები, კამათი და დამსრე საზოგადოება დიდად კმაყოფილი დაიშალა.

შემდგომი სხდომა საზოგადოებას ჰქონდა 1914 წლის 22 მარტს. ესეც ღია სხდომა იყო, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა **ლადო**



ჯაფარიძე ბესიკის ლირიკის შესახებ და დიმიტრი არაყიშვილი ხალხური სიმღერისა და საქართველოს კულტურის ურთიერთკავშირის შესახებ. 1914 წელს საზოგადოების შემდგომი ღია სხდომა მიეძღვნა საქართველოსა და აღმოსავლეთის ურთიერთ დამოკიდებულებას, რომელზეც **მ.ა. ბურაძემ** წაიკითხა მოხსენება თემაზე — „**საქართველოს კულტურა და მისი დამოკიდებულება აღმოსავლეთთან**“.


შემდეგი სხდომა საზოგადოებამ ჩაატარა 1915 წლის დასაწყისში, 4 იანვარს. ის მიეძღვნა საქართველოს ერთ-ერთი ნაწილის — ლაზისტანის (ჭანეთის) ისტორიის საკითხს. მოხსენება — „**ლაზისტანი**“ წაიკითხა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა **გრიგოლ ვეშაპელმა**. მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია.

ასეთივე სხდომა ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის შემსწავლელმა საზოგადოებამ გამართა 1915 წლის 13 აპრილს. ეს სხდომა შედგა მოსკოვის ქართველთა საზოგადოების დარბაზში, სადაც მოხსენება **ივერთა მეფის ასულის დინარას შესახებ გააკეთა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა ს.მ. ვაჩნაძემ**. მოხსენებელმა დამსწრეთ წარმოუდგინა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ნაკლებ ცნობილი ფურცელი, რამაც დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

1916 წელს დაარსდა კიდევ ერთი საზოგადოება. მისი შექმნის ინიციატორი იყო მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი **ბაბრიელ ლამბარაშვილი**. მას გვერდში ამოუდგნენ მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი **ალ. ჯაფანიშვილი** და მოსკოვის უნივერსიტეტის თანამშრომელი **ლაზარე შურღია**. მათ შეადგინეს საზოგადოების წესდება და წარუდგინეს მთავრობას დასამტკიცებლად. 1916 წლის 30 აპრილს მთავრობამ დართო ნება საზოგადოების დაარსებისა და დაამტკიცა მისი წესდება. წრეს ეწოდა „**ქართული სამეცნი-**



ლადო და ბრიზა ჯაფარიძეები



ბრიგოლ ვეშაპელი

ერო საზოგადოება“. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეული იყო გ. ლამბარაშვილი, წევრებად ალ. ჯაფანიშვილი, გ. მოსაშვილი, გ. ოცხელი და ან. პაიჭაძე. წევრობის კანდიდატებად: ო. ლამბარაშვილისა და თ. ჯაფანიშვილისა.

ქართული სამეცნიერო საზოგადოების დაარსებისა და საჭიროებისათვის თანხა გაიღო გ. ლამბარაშვილმა. საზოგადოების დამფუძნებელი კრება შედგა 1916 წლის 13 მაისს. სხდომას თავმჯდომარეობდა გ. ლამბარაშვილი, ესწრებოდა 32 წევრი. თავმჯდომარემ წევრებს გააცნო საზოგადოების მიზანი და აღნიშნა, რომ **ქართული სამეცნიერო საზოგადოება ამოცანად ისახავს, შეისწავლოს საქართველო და მთელი კავკასია**. აგრეთვე, მეზობლად მდებარე მხარეები ისტორიული, გეოგრაფიული, ეკონომიური, კულტურული და საერთოდ მეცნიერული თვალსაზრისით. გარდა ამისა, საზოგადოების მიზანია მთავრობას გააცნოს ქართველთა ყოფა-ცხოვრება და მათი მოთხოვნილებანი.

ამ მიზნის განსახორციელებლად საზოგადოებამ უნდა მოახსოვს ბიბლიოთეკა-სამკითხვე-

ლო, მუზეუმი, გამოფენები, კურსები, ლექციები და სხვ. ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ მიზნად დაისახა, აგრეთვე, გამოსცეს სამეცნიერო ნაშრომები პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე.

საზოგადოებამ მალე სისრულეში მოიყვანა ეს განზრახვა. მან 1916 წლის განმავლობაში გამოსცა ორი ნიგნი: ერთი **რომანოვსკის თხზულება „თამარ დედოფალი და მისი დრო“**, მეორე — **გ. ვეშაპელის „სამაჰმადიანო საქართველო“**. ნიგნები რუსულ ენაზე იყო დაწერილი და ძალიან სწრაფად გავრცელდა მოსკოვის საზოგადოებაში.

ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამაც 1916 წლის ბოლოს დაასრულა თავისი მოღვაწეობა. მაგრამ, მიუხედავად ამ მოკლე ხნისა, მან მრავალი სასარგებლო საქმე გააკეთა ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისათვის რუსეთში, მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა გააცნო რუს საზოგადოებას.

**ირ. ტატიშვილი,
თ. დეკანოზიძე**



ვანო შადურის

პეტერბურგი და ქართული კულტურა

ქართველებისთვის პეტერბურგი ყოველთვის საყვარელ ქალაქად ითვლებოდა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ რუსი და ქართველი ხალხის ის მეგობრობა და კულტურული თანამშრომლობა, რომელიც ძველი დროიდანვე მომდინარეობს, განსაკუთრებით ნათლად მოჩანს პეტერბურგ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში. რუსი და ქართველი ხალხები საუკუნეების მანძილზე იკაფავდნენ გზას ერთმანეთთან მეგობრული კავშირის დასამყარებლად, კულტურული თანამშრომლობის განსამტკიცებლად. ისინი ხშირად ხელი-ხელ ჩაკიდებულნი იბრძოდნენ ხიშტითა და კალმით საერთო, გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ; ერთად, მეგობრულად შრომობდნენ, ერთმანეთზე გავლენას ახდენდნენ. სწორედ ამაზეა მოთხრობილი ვანო შადურის წინამდებარე პუბლიკაციაში, რომელიც 1943 წელს, დიდი სამამულო ომის მიძიმე წლებში დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“.



„ქართველ ხალხს ისტორიის გრძელ მანძილზე უძებნია გული-თადი მეგობარი, ჭირისა და ლხინის მოზიარე ნამდვილი მოძმე, რომელიც განსაცდელის დროს უავთანდილებდა მას და მეგობრულ ხელს გაუწვდიდა. ოდითვე ჩვენი წინაპრების თვალი დიდი რუსეთისაკენ მიპყრობილია და მეთექვსმეტე საუკუნიდან ქართველთა შეგნებაში რუსთა ქვეყანა სასურველ მოძმედ გამოსახულა. ჩვენი ხალხის სახელმწიფო მოღვაწენი და სახელოვანი მწერლები რუსეთისადმი შეურყეველი ნდობით და სიყვარულით იყვნენ გამსჭვალული. მათ მთელი თავისი ძალ-ღონე შეალიეს დიდ რუსეთთან კავშირისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეს. მათი მისწრაფება ქართველ ხალხში მომნიჭებულ სულისკვეთებას გამოხატავდა.“

...რუსეთი კველთაგანვე ბავრი გამოჩენილი ქართველის მეორე სამოგლო გამხდარა და ქართველებსაც არა ერთხელ დაუმტკიცებიათ ბრძოლის ველზე თავის მეორე სამოგლოსადმი მამაპვილური ერთგულება და

თავდადება“ („ქართველ მეზობლთა წერილი საქართველოს მშრომელებს“, „კომუნისტი“, 18 მაისი, 1943 წ.).

მეორეს მხრივ, **საქართველო, მშობლიური მხარე, წმინდა თავისუფლებისა და გაბედული, ამაყი სულის სკოლა გახდა რუსი ხალხის მრავალი საუკეთესო შვილისათვის.**

„მეფის მთავრობა მრავალ დეკაბრისტს ჰგზავნიდა კავკასიაში, როგორც გადასახლებულს, მაგრამ ისინი, კეთილშობილი რუსი პატრიოტები, ძმურ თავშესაფარსა და გულთბილ სტუმართმოყვარეობას პოულობდნენ ქართველ ხალხში. დიდი რუსი პოეტი გრიბოედოვი შევიდა ქართულ ოჯახში, დაუმოყვრდა მას და მის საფლავს თბილისში ერთნაირი პატივისცემით ეპყრობიან რუსებშიც და ქართველებშიც. პუშკინისა და ლერმონტოვისათვის საქართველო მეორე სამშობლო იყო. ისინი ქებას ასხამდნენ საქართველოს მთებს და მისი შვილების სიმამაცეს“ („სსრ კავშირის ხალხთა წმინდა ძმობა“, „პრავდა“, 16 მაისი, 1943 წ.).

რუსი და ქართველი ხალხის ის-

ტორიული მეგობრობის საინტერესო ილუსტრაციას წარმოადგენს პეტერბურგ-საქართველოს ხანგრძლივი და სახელოვანი ურთიერთობა, მათი სამხედრო, საზოგადოებრივი და სამეცნიერო-ლიტერატურული კავშირის ისტორია. პეტერბურგმა დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის განვითარების საქმეში. ხოლო, მეორეს მხრივ, საქართველომ, ქართველმა ხალხმა და მისმა მოწინაე ინტელიგენციამ მეგობრული დახმარება გაუწია პეტერბურგს და, საერთოდ, რუს ხალხს, ბრძოლაში, შრომაში, მეცნიერებისა და ლიტერატურის აყვავებაში.

ამ ურთიერთობის სათავეები ჯერ კიდევ იმ დროიდან მომდინარეობს, როდესაც ეს სახელოვანი ქალაქი პირველად შენდებოდა.

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე, როცა პეტერბურგი სასტიკ ბრძოლაში იბადებოდა, როცა პეტრე პირველი მას საძირკველს უყრიდა და თანაც მასზე მოიერიშე შევდებს ეომებოდა, მას მხარში ედგა ქართველი მეფისა და პოეტის არჩილის შვილი — ალექსანდრე.

იმერეთის ფეოდალთა წინააღმ-



დეგ მებრძოლი ცნობილი მეფე და სახელოვანი პოეტი არჩილი 1682 წელს თავის ოჯახითა და ამალით (162 კაცი და ქალით) რუსეთს ჩავიდა, რათა რუსეთის მეფისათვის დახმარება ეთხოვა თავგასული ფეოდალებისა და გარეშე მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. იმ დროიდან იგი მეტწილად რუსეთში ცხოვრობდა. მისი უფროსი შვილი — ალექსანდრე პეტრე პირველის სიყრმის მეგობარი და მახლობელი თანაშემწე გახდა. პეტრე პირველმა ალექსანდრე 1697 წელს საზღვარგარეთ წაიყვანა სასწავლებლად. ორი წლის განმავლობაში ჰოლანდიაში ალექსანდრემ სამხედრო განათლება მიიღო და რუსეთში დაბრუნებისას რუსეთის სახელმწიფოს მთელი საარტილერიო საქმის უფროსად დაინიშნა. მანამდე ამ საქმეს თვით პეტრე ხელმძღვანელობდა, ამის შემდეგ კი მან იგი ქართველ მეგობარსა და თანამებრძოლს მიანდო, რომლისთვისაც შექმნა სპეციალური ნოდებაც კი — ფელდცეხმეისტერობა.

ალექსანდრემ ენერგიულად მოჰკიდა ხელი რუსეთის არტილერიის საქმის რეორგანიზაციას, მაგრამ იგი მოულოდნელად შეწყვეტილ იქნა. 1700 წლის 19 აგვისტოს, პეტერბურგის დაარსებისათვის მოსამზადებელ პერიოდში, ახლანდელი პეტერბურგის მახლობლად, ნარვასთან, მოხდა რუსეთ-შვეციის ომი. ამ ომში რუსეთის არტილერიას ალექსანდრე ხელმძღვანელობდა, იგი ვაჟკაცურად იბრძოდა მოწინავე პოზი-

ციებზე. პეტერბურგის დაარსების შემდეგ, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედიდან „ქართლის ბედი“ ძირითადად რუსეთს, განსაკუთრებით კი პეტერბურგს, უკავშირდება. ამ დროიდან საქართველო სპარსეთ-ოსმალეთის განუწყვეტელ სისხლისმღვრელ სათარეშო მოედნად გადაიქცა, ამიტომ საქართველოს ტერიტორიაზე შეუძლებელი გახდა მეცნიერული და ლიტერატურული მუშაობა. ქართველმა მეფეებმა, მეცნიერებმა და პოეტებმა რუსეთში გადაიტანეს თავიანთი სამოღვაწეო ასპარეზი.

ჯერ კიდევ ალექსანდრეს მამა — არჩილი 1703 წელს, როცა საძირკველი ეყრებოდა პეტერბურგს, ქართული სტამბის მოწყობას შეუდგა მოსკოვში (ამ სტამბაში 1705 წელს დაიბეჭდა „დავითნი“).

1724 წელს გარეშე მტრებისაგან აოხრებულ საქართველოდან რუსეთში გადასახლდა ვახტანგ VI, რომელსაც თან გაჰყვა 1400-მდე ქართველი კაცი და ქალი, მათ შორის მრავალი სამხედრო პირი, მეცნიერი, პოეტი, სტამბის მოღვაწე (ს. ორბელიანი, ვახუშტი, ი. სამებელი, ნიკ. ორბელიანი, ბოლოს დ. გურამიშვილი და სხვ.). ეს იყო ქართველთა მთელი კულტურული თაობა.


რუსეთში გადახვენილმა ქართველობამ სამხედრო და საზოგადოებრივ-კულტურული ურთიერთობა დაამყარა რუსეთის ხალხთან და მის მოწინავე ინტელიგენციასთან.

ქართველმა ლტოლვილებმა 1738 წელს რუსეთის მთავრობის სახელზე წარდგინეს პეტიციაში სამხედრო სამსახურში გამწესების ნება ითხოვეს. მთავრობამ თხოვნა დააკმაყოფილა და ქართველობა მირგოროდის, პოლტავისა და სხვა პოლკებში ჩარიცხა, ხოლო 1740 წელს სპეციალური „ქართველ ჰუსართა პოლკი“ დააარსა. ამ პოლკს გამოჩენილი ქართველი მხედრობა ხელმძღვანელობდა. ამ პოლკში ირიცხებოდნენ ისეთი ნიჭიერი მწერლები, როგორებიც იყვნენ დავით გურამიშვილი, მამუკა ბარათაშვილი და სხვები. აქედან მოყოლებული, რუსეთში მყოფი ქართველები რუს ხალხთან ერთად მხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

სამხედრო ურთიერთობის გარდა, რუსეთთან და განსაკუთრებით პეტერბურგთან მჭიდრო საზოგადოებრივ-კულტურული კავშირიც მყარდება.

ქართული კულტურა, ქართული წიგნის ბეჭდვა, საქართველოში გარეშე მტრებისგან ძალად შეწყვეტილი, რუსეთში განაგრძობს განვითარებას. 1737 წელს მოსკოვში არსდება ქართული სტამბა, რომლისათვისაც შრიფტი, ქრისტეფორე გურამიშვილის ხელმძღვანელობით, პეტერბურგში მზადდება. მისივე მონაწილეობით 1736-1737 წლებში პეტერბურგში, სამეცნიერო აკადემიასთან, ეწყობა ქართული სტამბა, სადაც იბეჭდება რუსულ-ქართული ანბანი და სხვა წიგნები. ამ სტამბის მუშაობა განსაკუთრებით ცხოველდება 1761 წლიდან, თეიმურაზ მეორის სამეცნიერო აკადემიაში მისვლასთან დაკავშირებით.

XVIII საუკუნეში რუსეთში მყოფი ქართველობა აქტიურად ებმება რუსული კულტურის განვითარების საქმეში, შეაქვს მასში თავისი წვლილი, კულტურის ახალი ნაკადი. ასე, მაგალითად, 1773 წელს პეტერბურგში დაიბეჭდა სიმონ ეგნატაშვილისაგან რუსულ ენაზე გადათარგმნილი „ბარამგულამდანიანი“ სათაურით:





„Похождение новомодной красавицы принцессы Гуланданы и храброго принца Барама“... ეს, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთში მყოფი ქართველობა ამდიდრებს ქართულ კულტურას რუსული კულტურის ზეგავლენით, ბეჭდავს ორიგინალურ და რუსულიდან თარგმნილ ნიგნებს და იწყებს წერას „რუსულ თემაზე“, კერძოდ, პეტერბურგისა და მისი მიდამოების სიმშვენიერზე. ჩვენამდე მაგალითად, მოაღწია ემიგრანტ პოეტის — ვახტანგ ორბელიანის 1737 წელს დაწერილმა „პეტერჰოფმა“, სადაც ავტორი პეტერბურგისა და მისი გარეუბნების სილამაზით გამონვეულ ქართველთა აღტაცებას გადმოგვცემს, ამ ნაწარმოებში პეტერბურგის შესახებ ნათქვამია: „...ვიმყოფებოდი სამეფოსა ქალაქსა პეტერბრუსს, რომელსა ჟამსა წარვიდა თვით დიდი იგი ხელმწიფე ადგილსა საზაფხულოსა, სადა ალეგო (სრანი) დიდსა მეფეს პეტრეს, მეფეთ-მეფესა.“

და მუნ წავიდოდიან ქართველთა მეფისა ძენი და მათნი თავადნი და რაი მუნით ავიდოდიან, მიამბობდიან უცხოობასა მის ადგილთა და შენობათასა და მაიძულებენ ნახვას მას ადგილისასა და მეცა ვბაძდი ამხანაგებსა ჩემთა და მოვიწიებე წარსვლა. და დავჯე ნავთ და შევედ მდინარედ ნევად სახელდებულსა და წარვემართე სადა იყო სახლი იგი“.

პეტერბურგ-საქართველოს ურთიერთობა განმტკიცდა განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ნახევარში. საუკუნეების მანძილზე აღმოსავლეთის ურდოების სათარეშო მოედნად ქცეულმა საქართველომ 1801 წლიდან



გამოსავალი ჰპოვა რუსეთთან შეერთებაში. ცარიზმმა ქართველობა გარეშე მტრებისაგან ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა, მაგრამ იმავე დროს დაიწყო საქართველოში უხეში რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება, ქართული ნაციონალური კულტურის ჩახშობა, მრავალი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის რუსეთში გადასახლება და ათობით მოწინავე რუსი მოაზროვნისა და პოეტის საქართველოში გამოძევება კავკასიელებთან და ხშირად თვით ქართველებთან საბრძოლველადაც კი. ცარიზმის ეს პოლიტიკა მიმართული იყო რუსი და ქართველი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ. ამ ხალხებს არაფერი ჰქონდათ ერთმანეთთან საჩხუბარი და სადავო. ისინი ურთიერთმეგობრობისა და თანამშრომლობისაკენ მიისწრაფოდნენ, ისინი ერთიანდებოდნენ გარეშე მტრებისა და ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ერთმანეთს უკავშირდებოდნენ თავიანთ კულტურას.

ეს ნათლად მოჩანს იმდროინდელ პეტერბურგ-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულებაში. XIX საუკუნის დასაწყისშივე საქართველოდან პეტერბურგს გადასახლებულ იქნა მრავალი მოწინავე ქართველი მოღვაწე (1803 წელს გადასახლებულ იქნა დავით ბატონიშვილი თავისი ამალით და სხვ.). ქართველ ემიგრანტთა რიცხვი პეტერბურგში საგრძობლად გაიზარდა. ისინი მხარში ამოუდგნენ რუს ხალხს ნაპოლეონის დამპყრობლური ომების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში.

1812 წლის სამამულო ომის ფრონტებზე გამირული სახელი გაითქვა არაერთმა ქართველმა მხედართმთავარმა და ჯარისკაცმა. ამ ომებში მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი სარდალი პეტრე ბაგრატიონი, პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, მომავალი მეცნიერი მიხეილ ბარათაშვილი (ბარათოვი), გენერალ-ლეიტენანტი ივანე ფანჩულიძე, გენერალ-მაიორი ს. ფანჩულიძე, არტილერიის გენერალი ლ. იაშვილი, გენერალი ჯავახიშვილი და მრავალნი სხვანი. ისტორიკოს ბაგრატ ბატონიშვილის სამართლიანი შენიშვნით, ქართველნი „ამა ძლიერთა ბრძოლათა შინა ფრიად სახელოვნად აღმოჩნდნენ, ვითარცა შვენის ქართველთა მამაცობას. რომელნიმე დაიჭრნენ, რომელნიმე დაიღუპნენ, ხოლო ტყვედ ამა ბრძოლასა შინა არავინ შეპყრობილ

XVIII საუკუნეში რუსეთში მყოფი ქართველობა აქტიურად ეხმება რუსული კულტურის განვითარების საქმეში, უზარუნ მასში თავისი წვლილი, კულტურის ახალი ნაკადი.



არს სიმხნითა თვისითა“...

ეს ბრძოლები მრავალი მაშინ-დედელი ქართველი მეომარ-ლიტერატორის თხზულებებშია აღწერილი. ისინი სიამაყით მოგვითხრობენ რუს და ქართველთა გამირობაზე, ქედს იხრიან გამოჩენილი რუსი და ქართველი მებრძოლი პატრიოტების — სუვოროვის, კუტუზოვის, ბაგრატიონის წინაშე, სიყვარულით ლაპარაკობენ რუსეთზე და კერძოდ პეტერბურგზე.

ჯერ კიდევ დავით ბატონიშვილის ამაღლაში შემავალ ნიკოლოზ ონიკაშვილს შეუდგენია „აღწერა მოსკოვისა და პეტერბურგისა“, ის პატივისცემით იხსენიებს ალექსანდრე სუვოროვს და აღწერს მის მონუმენტს პეტერბურგში.

მეორე ქართველს, იოანე ბაზლიძეს, ქართულად უთარგმნია „ლაშქრობა ნაპალეონისა რუსეთსა შინა და ლტოლვა მისი რუსეთით“, სადაც ამაყად მოგვითხრობს რუსეთის ჯარის გამოჩენილი სარდლის — პეტრე ბაგრატიონის ამბებს.

ისტორიკოსი ბაგრატ ბატონიშვილი ბაზლიძის მიერ თარგმნილ „ლაშქრობას“ ურთავს 1812 წლის სამამულო ომში მონაწილე ქართველ მთავარ მხედართა სიას (40-მდე კაცი), რათა ამით უკვდავყოს მათი სახელი ისტორიაში. იგივე ავტორი გადმოგვცემს, რომ გენერალი ვიტგენშტიინი რიგის მხარეში იბრძოდა „რუსთა მხედრობითა და პეტერბურგის აპალჩინითა“. ალ. ჭავჭავაძე

1813 წელს თარგმნის პ. ბაგრატიონის შესახებ დანერილ ნ. მურავიოვის ლექსს.

მწერალი გრიგოლ ბატონიშვილი პეტერბურგში მდგომ „ლეიბყაზახთა გვარდიის პოლკში“ მსახურობდა. პეტერბურგიდან ეს პოლკი მტრის წინააღმდეგ ვილნოსკენ დაიძრა. გრიგოლ ბატონიშვილი ამ ლაშქრობას აგვიწერს „მოგზაურობაში პეტერბურგიდან ვილნომდე“, სადაც იგი გადმოგვცემს, „რაიცა ვნახე თვალითა ჩემითა საკვირველი ანუ სანახავი“...

ნაპოლეონის წინააღმდეგ ნარმოვულ ომებში მონაწილე ქართველობა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა რუს ბმირ ხალხს, რუს მონაწილე პატრიოტულ ინტელიგენციას. მაშინ ჩაისახა რუს და ქართველ პროგრესულ ძალთა შორის მებრძოლობა, რომელმაც შეიძლება თავი იჩინა დეკაბრიზმისა და 1832 წლის შუთქაშულაბის ურთიერთობაში.


ცნობილია, რომ სამამულო ომმა და დასავლეთში ლაშქრობამ ნათლად და აშკარად გამოავლინა რუსი ხალხის ისტორიული როლი, მისი ძალა, გააღვიძა მისი ნაციონალური თვითშეგნება, გააფართოვა და გაარევიოლუციონერა რუსეთის პროგრესული ინტელიგენციის მსოფლმხედველობა.

ისიც ცნობილია, რომ დეკაბრიზმის წარმოშობა თვალსაჩინოდ დაკავშირებული იყო 1812 წლის

სამამულო ომთან. როცა გარეშე მტერზე გამარჯვების შემდეგ რუსეთის ხალხის ტანჯვა შინაური მტრის ცარიზმის მხრივ შემსუბუქების ნაცვლად უფრო გაძლიერდა, რუსეთის მოწინავე პატრიოტული ინტელიგენცია დარწმუნდა „ზევიდან რეფორმის“ მოლოდინის ამოებაში და მან 1816 წლიდან არალეგალურ წრეებში იწყო გაერთიანება ხალხის ინტერესებისათვის საბრძოლველად. ჩრდილოეთის დეკაბრისტების სამოღვაწეო ცენტრად პეტერბურგი იქნა არჩეული. იქვე მოაწყვეს მათ შეიარაღებული აჯანყება 1825 წლის 14 დეკემბერს, რაც ცარიზმის გამარჯვებით დამთავრდა. ნიკოლოზ პირველის მთავრობამ მრავალი დეკაბრისტი ჩამოახრჩო, ციხეებში გამოამწყვდია, ციმბირში გადაასახლა, კავკასიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოაძევა...

ცხადია, სამამულო ომი და დასავლეთისაკენ ლაშქრობა რუს ხალხთან ხელიხელჩაკიდებულ მებრძოლ მოწინავე ქართველებზეც ისეთსავე გავლენას ახდენდა, როგორც რუსებზე, ხოლო ლაშქრობიდან დაბრუნებული ქართველობა მოწმე გახდა რეაქციის გაძლიერებისა, რუს თანამებრძოლ დეკაბრისტთა რევოლუციონური მოძრაობისა, მეფის მთავრობის მიერ აჯანყების მხეცური ჩახშობისა და საუკეთესო ადამიანთა სასტიკი დასჯისა.

ყოველსავე ამას ქართველები-



შუთქაშულაბის წევრი გრიგოლ ორბელიანი სთარგმნის და ავრცელებს რილევის „ნალივნიკოს აღსაკებას“. ეს დამახასიათებელი მოვლენაა: შუთქაშულაბის მონაწილენი იბრძოდნენ არა სპარტოდ რუსეთის წინააღმდეგ, არამედ რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ამიტომ ისინი იმავთვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ რუს ხალხსა და მის მონაწილე ინტელიგენციას თავიანთ მებრძობად სთვლიდნენ, მათდამი პატივისცემის გრძნობითა და თანამპყრობელობის სურვილით გამსჭვალულნი იყვნენ.



სათვის უშედეგოდ არ ჩაუვლია. საეჭვო არ არის, რომ არა მარტო პეტერბურგში, არამედ საქართველოში მყოფმა მონინავე ქართველებმაც რუსი რევოლუციონერი მეგობრების დიდი გავლენა განიცადა. კერძოდ, 1832 წლის შეთქმულება საგრძნობლად იყო დაკავშირებული დეკაბრიზმთან და პეტერბურგთან. შემცდარი იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ეს შეთქმულება მხოლოდ და მხოლოდ „გავლენის“ ნაყოფი იყო. არა, მისი წარმოშობის მიზეზები, უპირველეს ყოვლისა, მაშინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში უნდა ვეძიოთ, მაგრამ იმავე დროს ეს მოძრაობა „წმინდა ქართული“ მოძრაობა არ ყოფილა. იგი არ იყო იზოლირებული იმდროინდელი ევროპისა და რუსეთის რევოლუციური მოძრაობებისგან (დეკაბრიზმი, საფრანგეთისა და ბელგიის 1830 წლის რევოლუციები, პოლონეთის 1831 წლის აჯანყება); პირიქით, მათთან იყო იგი დაკავშირებული. ქართველთა 1832 წლის შეთქმულება XIX საუკუნის 20-იანი და 30-იანი წლების საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობების ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია.

შეთქმულთა პროგრესული ნაწილი, რომელიც ძირითად ბირთვს წარმოადგენდა (ძველი ტახტის აღსადგენად მებრძოლ მემარჯვენე-კონსერვატიული ნაწილისგან განსხვავებით), განსაკუთრებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული პეტერბურგელ დეკაბრისტებთან. სავსებით სამართლიანად შენიშნავს შეთქმულების მასალის დიდი მცოდნე პროფესორი გ. გოზალიშვილი, რომ „1825 წლის 14 დეკემბრის ამბავს საქართველოში 1832 წლის შეთქმულება ეპარალელუბა“ (ციტატა ამოღებულია ჯერ გამოუქვეყნებელი ხელნაწერიდან). ამ მოსაზრების დამამტკიცებელი საბუთების სიმცირე მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ეს მოძრაობები ფარულ ხასიათს ატარებდნენ, მათ მონაწილეებს კონსპირაციის საქმე კარგად ჰქონდათ დაყენებული და ბევრი რამ საბოლოოდ გამოუმყ-

ლავნებელი დარჩა, მაგრამ აღნიშნული მოსაზრების დამადასტურებელი რამდენიმე საბუთი მაინც მოგვეპოვება.

თვით შეთქმულების წარმოშობის სათავეები უკავშირდება 1825 წელს და პეტერბურგს, სადაც მაშინ მრავალრიცხოვანი ქართველობა ცხოვრობდა.

მთავრობამ პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებს შორის აღმოაჩინა დეკაბრისტა ორგანიზაციის მხოლოდ ერთი წევრი — განგელოვი და დეკაბრისტთა ერთი თანამოაზრე — მიხეილ ბარათაშვილი. მაგრამ ვინ იცის, კიდევ რამდენი დარჩა გამოუმჟღავნებელი (დეკაბრისტთა ორგანიზაციების 6000-მდე წევრიდან ყველა როდი იქნა აღმოჩენილი). ყოველ შემთხვევაში, არა ერთ ქართველს შეეძლო, მონაწილეობა მიეღო რუს რევოლუციონერთა წრეებში, ან სცოდნოდა ამ წრეების არსებობა, ან კიდევ დეკაბრისტული აგიტაციის გავლენის ქვეშ ყოფილიყო მოქცეული.

დეკაბრისტთა აჯანყებისა და განადგურების ამბებს პეტერბურგში მყოფ ქართველთა დიდი ყურადღება მიუქცევია. ცნობილ ბაგრატ ბატონიშვილის მიერ ამ აჯანყების აღწერა შემთხვევითი მოვლენა არ არის.

საგულისხმოა, აგრეთვე, დეკაბრისტ ვოლკონსკის ჩვენება საქართველოში, ერმოლოვის კორპუსში, ფარული რევოლუციური საზოგადოების არსებობის შესახებ.

1832 წლის შეთქმულების მონაწილე დიმიტრი ერისთავი ამ შეთქმულებას 1825 წელსა და პეტერბურგს უკავშირებს. იგი თავის ჩვენებაში ამბობს, რომ პეტერბურგში მცხოვრები ქართველები 1825 წელს დიმიტრი ბატონიშვილის ბინაზე ხშირად ვიკრიბებოდით, ვლავარაკობდით თავისუფლებათაზე, რითაც, „ასე ვსთქვათ, მოვემზადეთ“. იმავე აზრს ადასტურებს თავის ჩვენებებში შეთქმულების წევრი **ჯორჯაძე**, ხოლო ანტონ აფხაზის სიტყვით, პეტერბურგიდან საქართველოში წამოსული **ზაქარია ჩოლოყაშვილი**

შეთქმულებს დაწვრილებით გადმოსცემდა დეკაბრისტების აჯანყების ამბებს, ლავარაკობდა მათ ტაქტიკაზე, ალტაცებით იტყობინებოდა, რომ დეკაბრისტები საქართველოს განთავისუფლებისთვისაც იბრძოდნენ, რომ აჯანყებულმა პოლონელებმა სიკვდილით დასჯილ რილეევისა და სხვათა მონუმენტები ზემით აღმართეს თავიანთ ქვეყანაში და სხვ.

ყურადღების ღირსია ისიც, რომ შეთქმულების ერთ-ერთ ბელადს **სოლომონ დოდაშვილს** გაჩხრეკისას აღმოაჩინდა რილეევის მიერ ციხიდან ცოლთან მინერილი წერილის პირი, რომელიც მან, თავისივე სიტყვით, პეტერბურგში სტუდენტ კრუპსკისაგან გადაწერა.

განსაკუთრებით საინტერესოა ქართველ შეთქმულთაგან დეკაბრისტული ლიტერატურის გამოყენება ნაციონალურ-გამათავისუფლებელი ბრძოლის აგიტაციის მიზნით.

შეთქმულების წევრი გრიგოლ ორბელიანი სთარგმნის და ავრცელებს რილეევის „ნალივაიკოს აღსარებას“. ეს დამახასიათებელი მოვლენაა: შეთქმულების მონაწილენი იბრძოდნენ არა საერთოდ რუსეთის წინააღმდეგ, არამედ რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ამიტომ ისინი იმავე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ რუს ხალხსა და მის მონინავე ინტელიგენციას თავიანთ მეგობრებად სთვლიდნენ, მათდამი პატივისცემის გრძნობითა და თანამშრომლობის სურვილით გამსჭვალულნი იყვნენ. ეს სრულიად ბუნებრივია: მათ აერთიანებდა საერთო მტერთან ბრძოლის ინტერესი. ამით აიხსნება, ერთის შეხედვით, ის „უცნაური“ ამბავი, რომ „ანტირუსულ“ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში მყოფი პროგრესულად მოაზროვნე რუსები, პოლონელები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები (პაუშენკო, მელნიკოვი, ზავილენისკი).

1832 წლის შეთქმულების ხელ-



მძღვანელებისა და აქტიური წევრების მნიშვნელოვანმა ნაწილმა განათლება პეტერბურგში მიიღო; იქეზიარნენ ისინი მოწინავე კულტურას და დეკაბრისტთა იდეებს.

1832 წლის შეთქმულების ყველაზე თვალსაჩინო ხელმძღვანელი და რადიკალურად განწყობილი „რაზნოჩინელი“ სოლომონ დოდაშვილი 1824-დან 1827 წლამდე პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა. აქ იგი ოთხი წლის განმავლობაში დაკავშირებული იყო რუსთა და ქართელთა მოწინავე წრეებთან. იგი ასწავლიდა ბაგრატიონთა ბატონიშვილის ბავშვებს, მატერიალურ დახმარებას იღებდა ცნობილ იონა ხელაშვილისაგან, მეგობრობდა სტუდენტ კრუპსკის, რომელიც იმდენად დაკავშირებული იყო დეკაბრისტებთან, რომ რილეევის კერძო წერილის გავრცელებითაც კი ეწეოდა დეკაბრისტულ პროპაგანდას. **დოდაშვილი მებრძოლმა პეტერბურგმა აღზარდა, რევოლუციონურ-პროპაგანდისტული მოღვაწეობისათვის მოამზადა. ეს ქართველი სტუდენტი მოწმე იყო დეკაბრისტთა შეიარაღებული გამოსვლისა და განადგურებისა მეფის ჯალათების მიერ სენატის მოედანზე, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტის პირდაპირ მდებარეობს.** დოდაშვილი პეტერბურგიდან წამოღებულ რილეევის წერილს მზრუნველობით ინახავდა, ვიდრე იგი მეფის მთავრობამ გაჩხრეკისას არ ჩამოართვა. პეტერბურგიდან საქართველოში დოდაშვილმა ჩამოიტანა დეკაბრისტთა რევოლუციური თავდადება, გამოცდილება და სიმხნევე, სათავეში ჩაუდგა შეთქმულებას, იკისრა პროპაგანდის ხელმძღვანელობა და აჯანყების ორგანიზაცია.

შეთქმულების მეორე მეთაური **ელიზბარ ერისთავი**ც 1823-30 წლებში პეტერბურგში სწავლობდა. იქ განიმსჭვალა იგი მოწინავე პროგრესული იდეებით. მას უფლება ჰქონდა, ეთქვა ამხანაგებისთვის: „რუსების საქმე მე კარგად ვიცი, რადგან მე იქ გავიზარდეო“. პეტერბურგიდან საქართ-

ველოში მაინც დეკაბრისტული ენთუზიაზმი და გამბედაობა ჩამოიტანა. იგი შეთქმულებას სათავეში ჩაუდგა, **ზაქარია ჩოლოყაშვილთან და ალექსანდრე ჭავჭავაძესთან** ერთად აჯანყების სამოქმედო გეგმა შეადგინა და შეიარაღებული გამოსვლის ხელმძღვანელობა იკისრა. ელიზბარ ერისთავის წინადადებით გადმოითარგმნა რილეევის „ნალივაიკო“, დაიწყო გაზეთის გამოცემა, რათა „**приготовить умы к возмущению**“, როგორც ამას აღიარებს თვით ერისთავი თავის ჩვენებებში. იგი გაცხოველებულ კონსპირაციულ მიმონერას აწარმოებს პეტერბურგში მყოფ ოქროპირთან, ბაგრატიანთან და სხვა ქართველებთან. შეთქმულთა კავშირი პეტერბურგთან სხვა გზითაც მყარდება. შეთქმულების თვალსაჩინო წევრი გრიგოლ ორბელიანი 1831 წლის ივნისში პეტერბურგს მიემგზავრება. გამგზავრების წინ შეთქმულების ხელმძღვანელობა მას სხვადასხვა დავალებას აძლევს, რომლებსაც ის პირნათლად ასრულებს: მუშაობს შეთქმულების ხაზით პეტერბურგელთა შორის, სწერს „მგზავრობას თბილისიდან პეტერბურგამდე“, სადაც შეთქმულთა იდეებს ატარებს და სხვ.

ალექსანდრე ჭავჭავაძეც, მაშინდელ საქართველოს ყველაზე უფრო გამოჩენილი, განვითარებული, ჭკვიანი და მოწინავე მოაზროვნე და პოეტი, ასევე დაკავშირებული იყო პეტერბურგთან. ის პეტერბურგში დაიბადა, იქ მიიღო განათლება, იქვე მსახურებდა. მან მონაწილეობა მიიღო 1813-14 წლების ლაშქრობებში. პარიზში შესვლისას იგი ცნობილი ბარკლაი დე-ტოლის ადიუტანტი იყო. 1818 წლიდან ალექსანდრე ჭავჭავაძე საქართველოს უბრუნდება. **მისი სახლი თბილისში რუს და ქართველ მოწინავე კულტურული ძალების ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლად გადაიქცევა.** იგი უკავშირდება პეტერბურგიდან საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტებს, მათ თანამოაზრეებს, გრიბოედოვს და

სხვა რუს მწერლებს. ალ. ჭავჭავაძის შეთქმულებაში მონაწილეობა უდავოდ მიგვაჩნია. ამაში ადვილად დარწმუნდება ყველა, ვინც გულდასმით შეისწავლის ამ შესანიშნავი ადამიანის ბიოგრაფიას, შემოქმედებას, შეთქმულთა ჩვენებებს და სხვა მასალას. ნიკოლოზ პირველი როდი სცდებოდა, როცა სწერდა: „**Г.М. Кн. Чавчавадзе был всему известен и, кажется, играл в сем деле (в заговоре В.Ш.) роль, сходную с Михаилом Орловым по делу 14 декабря**“.

პეტერბურგში სწავლობდნენ, აგრეთვე, შეთქმულების ხელმძღვანელი ალექსანდრე ორბელიანი, წევრები: ვახტანგ ორბელიანი, ზ. ჩოლოყაშვილი და სხვები.

პეტერბურგშივე ბრწყინვალე განათლება მიიღო არა ერთმა მაშინდელმა ქართველმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ (გავისხენოთ თუ გინდ იაგორ ჭილაშვილი).

ამგვარად, პეტერბურგმა გამოზარდა არა მარტო რუსეთის რევოლუციურ პატრიოტთა პირველი თაობა — დეკაბრისტები და მათი თანამოაზრეები, არამედ მოწინავე ქართველ პატრიოტთა პირველი თაობაც. ეს პროგრესული კულტურული ადამიანები რუს და ქართველ ხალხთა მეგობრული ერთიანობის გრძნობისა და კულტურულ თანამშრომლობისკენ მისწრაფებას გამოხატავდნენ, შინაურ და გარეშე მტერთან ბრძოლაში ერთმანეთს მხარში ედგნენ.

მაგრამ ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის განვითარებაზე გავლენას მარტო პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოსული ქართველობა როდი ახდენდა. ასეთ გავლენას ახდენდნენ იქიდან გადმოსახლებული დეკაბრისტები და მათი თანამოაზრეებიც.

ცნობილია, რომ 1825 წლის შემდეგ „სამხრეთ ციმბირში“ დეკაბრისტები ასობით იქნენ გამოძევებული. თბილისი იმავე დროს რუს და ქართველ პროგრესიულ-კულტურულ ძალთა დაახლოების ცენტრალურ პუნქტადაც გადა-




იქცა. გადმოსახლებულთა უმრავლესობა მონინავე, მაღალი კულტურის მქონე ადამიანები იყვნენ. მათ შორის მრავალი მწერალიც იყო. საკმაოა დავასახელოთ ბესტუჟევი-მარლინსკი, ალ. ოდოევსკი, შიშკოვ მეორე, ტეპლიაკოვი და სხვანი. ამას გარდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისეთი დიდი მოვლენა, როგორც არის დეკაბრიზმთან დაკავშირებული გრიბოედოვის, პუშკინისა და ლერმონტოვის საქართველოში ყოფნა.

ეს მონინავე რუსი ადამიანები ქართველი ხალხისადმი დიდი სიყვარულით გამსჭვალულნი იყვნენ. პეტერბურგელ დეკაბრისტთა წესდება კავკასიის განსაზღვრულ დამოუკიდებლობას მოითხოვდა (მისი ადმინისტრაციული ცენტრი თბილისი უნდა ყოფილიყო). გრიბოედოვი ამიერკავკასიის სამეურნეო-კულტურული აყვავების პროექტს ადგენდა და ქართულ თემატიკას დიდი სიყვარულით ამუშავებდა. პუშკინი ქებას ასხამდა ქართველთა მამაცობას და ქართული კულტურის გაფურჩქვნას წინასწარმეტყველებდა. ლერმონტოვი, ბესტუჟევი-მარლინსკი და სხვა მწერლები კავკასიის ბუნებასა და მის ამაყ შვილებს უმღეროდნენ.

საქართველოში გადმოსახლებულნი, მკაცრი ზედამხედველობის მიუხედავად, მაინც ახერხებდნენ ერთმანეთთან შეხვედრას და ადგილობრივ მონინავე კულტურულ ძალებთან კავშირის გაბმას. პასკევიჩი სრულებითაც არ სცდებოდა, როცა საქართველოდან პეტერბურგში მეფის სახელზე გაგზავნილ წერილში ამბობდა, რომ გადმოსახლებულთა შორის „дух общенства... с помощью связей живет“.

სწორი არ იქნებოდა, გვეფიქრა, თითქოს 1825 წლის კატასტროფის შემდეგ დეკაბრიზმი მოისპო ორგანიზაციულადაც და იდეურადაც, თითქოს ნიკოლოზის მიერ დამყარებული რეაქციონური რეჟიმის, დეკაბრისტთა ბელადების ჩამოხრჩობისა და ხალხის საყოველთაო ტანჯვის მოწმე დეკა-



ამგვარად, პეტერბურგმა გამოხარდა არა მარტო რუსეთის რევოლუციური პატრიოტთა პირველი თაობა — დეკაბრისტები და მათი თანამოაზრეები, არამედ მონინავე ქართველ პატრიოტთა პირველი თაობაც. ეს პროგრესული კულტურული ადამიანები რუს და ქართველ ხალხთა მეგობრული ერთიანობის ბრძოლისა და კულტურულ თანამშრომლობისკენ მისწრაფებას გამოხატავენ, უინაურ და ბარაუე მტართან ბრძოლაში ერთმანეთს მხარეი ეძვნენ.

ბრისტების თავსა და გულში სრულებით ჩაკვდა ადრინდელი რევოლუციური იდეები. არა. დეკაბრიზმი გრძელდებოდა ცოცხლად გადარჩენილ პროგრესიულ ადამიანებს შორის ცენტრალურ რუსეთსა და კატორღაში, შორეულ ციმბირში და „სამხრეთ ციმბირში“ — კავკასიაში. ამის შესახებ ლაპარაკობენ თვითონ დეკაბრისტები და მათი თანამედროვენი თავიანთ მოგონებებსა და წერილებში, ამას ცხადყოფს ციხეებში გამომწყვდეულ, კატორღაში ცოცხლად დამარხულ და საქართველოში გამოძევებულ დეკაბრისტთა შემოქმედება, რილევის კულტი ლიტერატურაში, პუშკინის ლექსი „ციმბირში“, კატორღელ-დეკაბრისტთა რევოლუციურ-ოპტიმისტური პასუხი პუშკინს, საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტთა ერთმანეთთან და ადგილობრივ პროგრესისტებთან ორგანიზაციული კავშირ-ერთობის დამყარების ცდები.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ეს უკანასკნელი — **საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტთა ერთმანეთთან და ადგილობრივ პროგრესისტებთან ორგანიზაციული კავშირის დამყარების ცდები.** ამ საერთოდ ბურუსით მოსილ საკითხს ნაწილობრივ ნათელს ჰფენს დეკაბრისტ განგებლოვის, ბარონ ტორნაუს და სხვათა მემუარები.

განგებლოვი (წარმოშობით ქარ-

თველი) სწერს: „1830 წლის ზამთარში რამდენიმე დეკაბრისტი, რომელნიც თბილისის გარნიზონს არ ეკუთვნოდნენ, სხვადასხვა კანონიერ და უკანონო საბაბით თბილისში ცხოვრობდა. იმ დროს ა.ა. ბესტუჟევი საშიში და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ახლად განკურნებული იყო... ბესტუჟევი-თან სცხოვრობდნენ მისი ძმებიც — პეტრე და პავლე. მათ გარდა, თბილისში სცხოვრობდნენ პუშკინი, ორჟიციკი, სტეფანე ეზფროდინი, მუსინ-პუშკინი (მეზღვაური), გრაფი მუსინ-პუშკინი, ნილ პავლეს ძე კოჟენიკოვი (იზმაილოველი ოფიცერი), ვიშნევსკი, თავად საკენის ყოფილი ადიუტანტი და კიდევ სხვები... ჩვენ საღამოობით ვიკრიბებოდით ხან ერთთან, ხან მეორესთან, უფრო ხშირად კი — ჩემთან, ზოგჯერ კვირაში ორჯერ და მეტჯერაც კი... ეს საღამოები ჰგავდა ისკრიცკის „სამშაბათებს“ პეტერბურგში“.

ეს ამბავი თურმე მთავრობამ შეიტყო და იმავე ზამთარში, როგორც განგებლოვი სწერს, „თბილისში მცხოვრები ყველა დეკაბრისტი ჟანდარმების თანხლებით სხვადასხვა ადგილას გაგზავნეს, რამაც თბილისში მნიშვნელოვანი შთაბეჭდილება მოახდინა“.

მიუხედავად ამისა, შემდეგში, განსაკუთრებით 1832 წელს, თბილისში ეს თავისებური კავშირ-ერთიერთობა მონინავე რუსებსა და ქართველებს შორის თურმე



მაინც გრძელდებოდა. შეთქმულების გამომჟღავნების წინ მისი ერთ-ერთი შესაკრები პუნქტი ალ. ჭავჭავაძის სახლი ყოფილა. ამას ადასტურებს ამ წრეებთან კარგად დაახლოებული ბარონ ტორნაუ. „1832 წელს მე თბილისში „თბილი და მყუდრო ცხოვრება“ ვიგრძენიო, — სწერს იგი. ალ. ჭავჭავაძის სახლში „ყოველდღიურად დილიდანვე თავს იყრიდნენ... მისი ნათესავები — ქართველი კაცები და ქალები. მერე ერთი მეორის მოყოლებით, ვინც როგორ განთავისუფლდებოდა სამსახურიდან, რუსები იწყებდნენ მოსვლას“... ზოგჯერ სხვა ამხანაგებთანაც ვიკრიბებოდით ხოლმეო.

„თბილისი საერთოდ, — განაგრძობს ტორნაუ, — ძალიან გამდიდრდა ისეთი ადამიანებით, რომლებთან ცხოვრებაც სასიამოვნო იყო“. „იმ პირთა რიცხვს, რომელნიც ჩვენი წრის ინტერესს აცხოველებდნენ, უდავოდ მიეკუთვნებოდა ბევრი შეწყალებული დეკაბრისტი... ამ ადამიანებს მეტწილად კარგი აღზრდა-განათლება ჰქონდათ მიღებული, ზოგიერთი მათგანი შესანიშნავი სულიერი თვისებებით იყო აღჭურვილი... განა შეიძლებოდა, გაცნობის შემდეგ არ შეგყვარებოდათ წყნარი და ჩაფიქრებული კორნილოვიჩი, „ანდრეი ბეზიმიანის“ ავტორი, თავდაბალი ნარიშკინი, კონოვიცინი, ჭკუამახვილი ოდოევსკი და გულითადი, სიკეთით აღსავსე ვალერიან გოლიცინი? ალექსანდრე ბესტუჟევის (მარლინსკის), მე შემთხვევა მქონდა, ხშირად შევხვედროდი თავის ძმასთან — პავლესთან“...

ჩვენ თბილისში საუკეთესო ცხოვრებას ვატარებდითო, — დაასკვნის ტორნაუ, — „ვიდრე სრულიად უეცრად ყველასათვის მოულოდნელმა შემთხვევამ ერთი მოქნევით არ დაარღვია ჩვენი უზრუნველი ბედნიერი არსებობის საუკეთესო კავშირი... ვიტყვი, რაც ვიცი ამ ჩემთვის მოკლედ ნაცნობ საქმეზე, მაგრამ უკეთესია, დრომდე და საჭიროებამდის

სიჩუმე დავიცვა“... ტორნაუ, გასაგები მიზეზების გამო, 1832 წლის შეთქმულების შესახებ ლაპარაკს გაურბის.

ვფიქრობ, შემთხვევითი არ უნდა იყოს შეთქმულების აქტივიზაცია სწორედ 1829-1832 წლებში, ე.ი. იმ დროს, როცა თბილისში დეკაბრისტები „სხვადასხვა კანონიერი და უკანონო საბაბით სცხოვრობდნენ“ და ერთმანეთთან და ადგილობრივ პროგრესისტებთან კავშირს ამყარებდნენ.

განსაკუთებით მხედველობაში მისაღებია ის მეტად საყურადღებო ფაქტი, რომ დიდი მსგავსება შეთქმულთა „აქტს გონიერისას“ და პეტერბურგელ დეკაბრისტთა (ნიკიტა მურავიოვი) „პროექტს“ შორის, რომ შეთქმულები დეკაბრისტებს ენათესავებიან ჯანსაღი პატრიოტიზმისა და პოლიტიკური და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეებით.

ყველაფერი ეს და მრავალი სხვა მოსაზრება და ფაქტი (გავიხსენოთ გრიბოედოვისა და პუშკინის იდეური და პირადი მეგობრული ურთიერთობა დეკაბრისტებთან და შეთქმულების მონაწილეებთან, პეტერბურგელ დეკაბრისტებსა და ქართველ შეთქმულთა შორის იდეური, პირად მეგობრული, კულტურული და შეიძლება ორგანიზაციული ურთიერთობა, უფლებას გვაძლევს, ქართველ შეთქმულებს, რომელთა გამომჟღავნებაც 1832 წლის დეკემბერში მოხდა (საინტერესო შემთხვევაა თვეების დამთხვევისაც). „ქართველი დეკაბრისტები“ ვუნოდოთ.

პეტერბურგელმა დეკაბრისტებმა და მათმა თანამოაზრე მწერლებმა (გრიბოედოვმა, პუშკინმა, ლერმონტოვმა) დიდი გავლენა მოახდინეს მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარებაზედაც. მასში რევოლუციური და პატრიოტულ-გამანთავისუფლებელი მოტივები გააძლიერეს, ხელი შეუწყვეს ახალი თემებისა და სახეების, სტილის, მხატვრული მეთოდისა და ლიტერატურული ტექნიკის, ახალი ჟანრებისა და ენის გამომუშავებას.

ალ. ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების, სოლომონ დოდაშვილისა და სხვა ქართველი მწერლების შემოქმედება მნიშვნელოვნად დაკავშირებულია მონინავე რუსულ ლიტერატურასთან, დეკაბრისტ პოეტებისა და გრიბოედოვის, პუშკინისა და ლერმონტოვის ლიტერატურულ მოღვაწეობასთან. ეს ნათლად მოსჩანს როგორც ამ ქართველი მწერლების ორიგინალურ ნაწარმოებებში, ისე მათ მიერ თარგმნილ რილეევის, პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსებში.

ეს სახელოვანი ქართველი რომანტიკოსები, ისევე, როგორც მათი რუსი ლიტერატურული თანამოძმენი, რუსეთის თვითმპყრობელობას ებრძოდნენ, რუს ხალხს, რუსულ ლიტერატურას, დიდი რუსეთისა და, კერძოდ, პეტერბურგის მშვენიერებას კი ქებას ასხამდნენ, დიდებით იხსენიებდნენ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი 1842 წელს დაწერილ ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ ქართული კულტურის აყვავების საქმეს უკავშირებდა რუსეთს, სადაც ქართველობა დიდ სწავლა-განათლებლას იძენდა, სადაც იგი ვაჟკაცდებოდა სამშობლოში მოღვაწეობისთვის“:

„ჟამთ ვითარებით

**გარდახვენილ
შენ შვილთ მიდამო,
მოაქვთ მამულში განათლება
და ხმა საამო;
მათი ცხოველი, ტრფიალებით
აღსავსე სული
უდნობს ყინულსა**

**ჩრდილოეთსა
განცეცხლებული,
და მუნით ზიდვენ თესლთა
ქვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალე ცის ქვეშ**

**მოსამკალთა ერთი ათასად.
სადაც აქამდინ ხმლით და
ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის
მართავს ან ხელი“.**

**დასასრული
შემაღებ ნომერში**



გერონტი ქიქოძე

ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №7)

ამ მხრივაც ილია ჭავჭავაძის აზროვნება სრულიად ეთანხმება დასავლეთ ევროპის XIX საუკუნის მონინავე ადამიანების აზროვნებას, რომელიც ამ საკითხში საუკეთესოდ ტეოფილ გოტიემ გამოხატა: „ქრისტე ჩემთვის ამ ქვეყნად არ მოსულა და მე წარმართი ვარ, როგორც ალკიბიადე: გოლგოთის მწვერვალზე ვნების ყვავილები არასოდეს არ დამიკრეფია და არც ოდესმე იმ მდინარეში მიბანავია, რომელიც ჯვარცმულის მკერდიდან მთელ მსოფლიოს თავს გადაესხა. ჩემს ამბოხებულ სხეულს არ სურს სულის ბატონობის აღიარება, ჩემს ხორცს არ სწადიან თავისი ჯვარცმა. მე ქანდაკება უფრო მომწონს, ვიდრე მოჩვენება; ნათელი დღე უფრო, ვიდრე საღამოს მწუხრი“.



გერონტი ქიქოძე

მაგრამ იყო ერთი დარგი, სადაც ილია ჭავჭავაძე შუა საუკუნეების ასკეტებს უახლოვდებოდა თუ თავისი იდეოლოგიით არა, ყოველ შემთხვევაში თავისი განცდებით; ეს იყო ეროვნული მოღვაწეობის დარგი, მისი პატრიოტიზმი ასკეტური ხასიათისა იყო, სამშობლოს სამსახური მას ისე ჰქონდა წარმოდგენილი როგორც მსხვერპლთ შეწირვა. ის ამბობდა, რომ „ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული, რომ დიდი არის ღვთის წინაშე იგი ცხოვრება, რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი ქვეყანასავე შეეწირება“. ის იმეორებდა ერთი გამოჩენილი მწერლის სიტყვებს, რომ, **რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, პატიოსან გულში მას მაინც დიდი ადგილი უჭირავსო**. თუმცა ილიას უახლოესი თანამშრომელი და პირველი ბიოგრაფი გიგა ყიფშიძე გვარწმუნებს, ბავშვობაში ის ბერად შედგომაზე ოცნებობდაო, მაგრამ შემდეგ არც თავის აზროვნებაში, არც თავის ბუნებაში არაფერი გამოუმჟღავნებია განდეგილობის შესაფერი. პირიქით, სტუდენტობის დროს ის იტალიაშიც კი აპირებდა წასვლას გარიბალდის რაზმში ჩასაწერად. ცნობილია, რომ მისი სუფრა არა ჰგავდა სამო-

ნასტრო ტრაპეზს; მას უყვარდა ქალები, შეიძლება ახალგაზრდობაში უფრო პლატონურად, ვიდრე სიბერეში. მას უყვარდა აზარტული თამაშობა. რამდენჯერმე ის ბარიერთან მდგარა, როგორც ვნებიანი დუელისტი, მაგრამ როგორც მეზრძოლ პატრიოტს მას მღვიძარე სული ჰქონდა ექვთიმე მთაწმინდელივით:

**მას აქეთ რაკი შენდამი
ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო,
გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარცვის ცემას მე
ყურს ვუგდებ სულგანაბული,
დამე თენდება ეგრედ ჩემი
და დღე ღამდება.**

ეს მღვიძარე პატრიოტიზმი სრულიადაც არ გულისხმობდა სხვა ერების დაჩაგვრას ან უპატივცემულობას: ის მხოლოდ თავდაცვის იარაღი იყო კატკოვების, იანოვსკების, რუსი ექსარხოსების, პატკანოვების, მუხრან ბატონების შემოტევისაგან.

„სხვისი ნუ გინდა რა, შენი იკმარე, — ეს არის კაცთა ურთიერთობის ქვაკუთხედი, ეს არის დედაბოძი ზნეობისა, — ამბობს ილია ჭავჭავაძე „ქვათა ღალადში“, — **ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ-**

სულ და ერთხორც მკვიდრთა, ყოველი პატიოსანისა და ჭკუით მყოფელი ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება დიდად სათაკილო საქციელია“. ისეთ ისტორიულ მოღვაწეებში, როგორც დავით აღმაშენებელი იყო, ილია ჭავჭავაძეს ისე არაფერი არ აკვირვებდა, როგორც „მისი კაცთმოყვარეობა, პატივისცემა სხვისი ეროვნებისა, სხვისი სარწმუნოებისა, საკვირველი და საოცარი მაგალითი მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან“. მაგრამ, თავისთავად ცხადია, რომ ილიას აზროვნება სრულიად თავისუფალი იყო ყოველი განყენებული კოსმოპოლიტიზმისა, ყოველი გულისამაჩუყებელი სენტიმენტალობისაგან, მას ისე არაფერი ეჯავრებოდა, როგორც „ცრუპენტელა ლიბერალები“, „ლიბერალობის ბერიკები“, რომელნიც მზად იყვნენ, თავიანთი ეროვნული ვინაობის და ინტერესების



**დაცვაზე ხელი აეღოთ იმის ში-
შით, ვაითუ ნაციონალისტობა და
შოვინისტობა დაგვანაშრონ.**

ილიას ინტელექტურ პატიოსნე-
ბას მონაშობს ის გარემოება, რომ
ის სრულიადაც თავისი დროის
ქართველობის იდეალიზაციას არ
ახდენდა ზოგიერთი გოგნება-
შეზღუდული ნაციონალისტივით.
საკმაოა ამის საილუსტრაციოდ
მისი „ბედნიერი ერი“ ან „რა ვაკე-
თეთ, რას ვშვრებოდით“ გავიხსე-
ნოთ, ეს უმძაფრესი სატირა, რო-
მელიც ოდესმე რომელიმე პოეტს
თავისი ერის ზნეობრივი მანკიე-
რების წინააღმდეგ დაუწერია. ის
ებრძოდა მოლაღატეობას, ქვემდ-
რომლობას, ენატანიაობას, სოცი-
ალური ინსტინქტების დაშლას,
ერთი სიტყვით, იმ ზნეობრივ
ანარქიას, რომელმაც XIX საუკუ-
ნის ქართველობის მაღალი წრეე-
ბი მოიცვა, ის მათ სულიერი სიმ-
ტკიცის და ხასიათის მთლიანო-
ბის იდეალს უყენებდა თვალწინ.
**„მკლედ მოგურთაღნი ძვეჲ-
ნიერობის მოედანზედ მარ-
ტო დიდ ხასიათის კაცნი
არიან, ძვეჲნის ღირს მარ-
ტო ის ატრიალებს, ვინაც მი-
ჰმადლებია გულთა სრულო-
ბა, დიდ ხასიათობა, იმისდა
მიუხედავად ტრიალი ემარ-
ჰვიებათ თუ ემარცხებათ“**, —
ამბობს ის თავის წერილში დიმიტ-
რი ყიფიანის შესახებ. „მხოლოდ
დიდ ბუნებიანთა კაცთა თვისება
ერთხელ რწმენილი და აღიარებუ-
ლი, გაიხადონ თავის სიცოცხლის
საგნად და, თუ საჭიროება მო-
ითხოვს, შესწირონ თავი თავისი-
ცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტე-
ბა მეტად უღირთ, ვიდრე საკუთა-
რი სიცოცხლე“, — წერს ის ლუარ-
საბ მეფის დღესასწაულის გამო.

თუ ილია ჭავჭავაძე მოწინავე ევ-
როპულ აზროვნებას დაუკავშირ-
და თავისი ძირითადი იდეებით, სა-
ხელდობრ პროგრესის ანტიასკე-
ტური მორალის, ჰუმანიზმის, სა-
ღად გაგებულ პატრიოტიზმის
იდეებით, მით უმეტეს ის მას დაუ-
კავშირდა იმ იდეით, რომელსაც
**ცენტრალური ადგილი უჭირავს
მის მსოფლმხედველობასა და
პრაქტიკულ მოღვაწეობაში: ესაა**

**იდეა დემოკრატიისა არა ვინრო
კლასობრივი, არამედ ფართო ჰუ-
მანისტური და კულტურულ-ეთი-
კური გაგებით.** მას სწამდა, რომ
ჩაგრული ერების განთავისუფლე-
ბა მოხდებოდა შრომის განთავი-
სუფლებასთან ერთად, ეს რწმენა
მან თავის „აჩრდილში“ გამოხატა.
მას სწამდა, რომ „ტვირთმიძიმეთ
და მაშვრალთ მხსნელი დიდი
დროშის დაშლა“ შეაფერხებდა ის-
ტორიას. ეს რწმენა მან გამოსთქ-
ვა თავის ლექსში „1871 წლის 23 მა-
ისი“ („პარიზის კომუნა“). ილიას
პოლიტიკური და სოციალური დე-
მოკრატიზმი დღეს უდავოდ არის
ცნობილი და ზედმეტ განმარტე-
ბას აღარ საჭიროებს, მაგრამ შე-
იძლება ბევრისთვის ასევე ნათელი
არ იყოს ის როლი, რომელიც მან
წმინდა მხატვრული აზროვნების
დემოკრატიზაციის საქმეში შეას-
რულა. **მან შეურიგებელი ტერო-
რი გამოუცხადა დაძველებულ
ორთოგრაფიას და გილიოტინაზე
გაგზავნა ყველა ეს დრომოჭმული
უბრჯგვილები, ჰიები და ჰოები,
ვინაიდან მას კარგად ესმოდა,
რომ არქაული მეტყველება არქა-
ული აზროვნების საფარი იყო.
ძნელია მეორე ქართველი მწერ-
ლის დასახელება, რომელსაც ჩვე-
ნი სალიტერატურო ენა ასე გაემ-
დიდრებინოს ხალხური გამოთქ-
მებით, ანდაზებით და სიტყვის მა-
სალით, როგორც ეს მან ჰქმნა
„ოთარაანთ ქვრივში“, „ქვათა ღა-
ღადში“ და სხვ.**

ქართული ლიტერატურის ევო-
ლუციის თვალსაზრისით არანაკ-
ლებ საგულისხმოა ის, რომ მან სა-
ლიტერატურო ჟანრების და ტი-
პების დემოკრატიზაცია მოახდი-
ნა: ძველ ქართულ მწერლობაში
გაბატონებულ ისტორიულ და
რომანტიულ ეპოსს, რელიგიურ
ჰიმნებს და ოდებს, სადაც მაღალი
ფეოდალური საზოგადოების ყო-
ფა-ცხოვრება, სულიერი მისწრა-
ფება და გემოვნება იყო გამოხა-
ტული, მან რეალისტური მოთხ-
რობის, რეალისტური ლირიკის და
ფილოსოფიური პოემის ჟანრი
დაუპირდაპირა, სადაც თანამედ-
როვე საზოგადოების წრეებია
ასახული, თავიანთი ყოველდღი-

ური ცხოვრებითა და თავიანთი
აზროვნებით, ან მათი ზნეობრივი
იდეალებია გამოხატული. თვით
ილიას, რასაკვირველია, ძალიან
კარგად ესმოდა თავისი როლი
ქართული ლიტერატურის ისტო-
რიაში: **„სამოციან წლებამდეო, —
წერს ის თავის წერილებში ქარ-
თულ ლიტერატურაზე, — ჩვენი
პოეზია, თითო-ოროლა მაგალი-
თებს გარდა, დაჰფუფუნებდა
ჩვენი დიდკაცობის გულისთქ-
მას, თითქო უკადრისობდა, ამათ
გარე რაიმე საგანი ეპოვნა პოე-
ზიისთვის. სამოციან წლებში იმ
ვინროდ შემოღობილს სარბიელს
ჩვენი პოეზიისას თავისი ტალღა
გადაჰკრეს და შემოამტვრიეს
ლობები. ამ ხანაში მოღვაწეებ-
მა მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვ-
რებაშიც არის ადამიანური გუ-
ლისთქმა; რომ ამ მდაბიოთა გუ-
ლი იგივე ზღვაა, საცა თუ არა მე-
ტი, ნაკლები მარგალიტი არ არის
გლოვისა და სიხარულისა, ჭირი-
სა და ლხინისა, ძულეებისა და სიყ-
ვარულისა, რომ ამ მდაბიოთაცა
აქვთ თავისი იდეალები, თავისი
სანატრელები, ოღონდ კი კაცს
მადლი ჰქონდეს ამაების დანახ-
ვისა, ამაების გამოხატვისა“.**

ილია ჭავჭავაძეს მჭმუნვარე და
ვნებიანი სული ჰქონდა, მისი პო-
ეტური ტემპერამენტი იმდენად
სტიქიონისებრ ძლიერი იყო, რომ
მკითხველი ადვილად ვერ ამჩნევს
მის ნაკლს, მუსიკალური სმენის
სისუსტეს, თუმცა მისი მხატვრუ-
ლი ნაწარმოებნი რაიმე სოციალ-
ური, მორალური ან ფილოსოფი-
ური პრობლემის გარშემო ტრია-
ლებენ, მაგრამ, რადგან მას გასა-
ოცარი პლასტიკური ხილვის ნიჭი
აქვს, ის იძლევა სრულიად გამოკ-
ვეთილ და ნათელ კონტურებს,
გამჭვირვალე ატმოსფეროში გახ-
ვეულთ. ის პეიზაჟის ერთ-ერთი
საუკეთესო ოსტატია ქართულ
ლიტერატურაში. ამ მხრივ წინა-
მორბედთაგან მხოლოდ ბარა-
თაშვილი და გრიგოლ ორბელია-
ნი, მემკვიდრეთაგან მხოლოდ
ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა შეედ-
რებიან. მის პეიზაჟს ქართული
აზროვნების დამახასიათებელი
ბუნების კულტი ახლავს თან. საკ-



მაო, ამის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ ბუნების აღწერა „კაკო ყაჩაღის“ დასაწყისში ან „ელეგიაში“, ირემზე ნადირობა „გლახის ნაამბობის“ შესავალში, „განდეგილის“ და „აჩრდილის“ მონუმენტური ფონი, ბოლოს პეპიას სიკვდილი კავკასიონის მთების კალთებზე, სადაც მზე სანთლისა და კელაპტრის მაგიერობას სწევს, ხოლო დილის ნამის ორთქლი — საკმევლისა. მას იშვიათად ღალატობს მხატვრული ზომიერების გრძნობა. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა ის სოციალური უსამართლობის ან მორალური დეფექტების წინააღმდეგ ილაშქრებს, ან რაიმე აჩემებული აზრის მხატვრულად ასახვას ცდილობს. სხვაფრივ მას ესმის, რომ ადამიანი რთული მოვლენაა, რომ ყოველს სულიერში ღვთაებრივი ნაპერწკალი ღვივის, რომ სიკეთე და ბოროტება ამ ქვეყანაზე თანაბრადაა შენონილი, თუ ლუარსაბის და დარეჯანის სახეები ცოტა არ იყოს გაშარჟებულია, ვინაიდან „კაცია ადამიანში“ ილია, უწინარეს ყოვლისა, სოციალური სატირის შექმნას ცდილობს, ბასრი იარაღის გაჭედვას დრომოჭმული საზოგადოებრივი წყობილების შესამუსრავად. სამაგიეროდ დათიკოს სახე „გლახის ნაამბობში“ დიდი მხატვრული მიუდგომლობითაა გადმოცემული. დათიკოს რაინდული ქცევა მის მიერვე დაღუპული პეპიას და გაბოს მიმართ, მისი ვაჟკაცური სიკვდილი გაბოსთან შეტაკების დროს გასაოცარი დამაჯერებელი სიძლიერითაა აღწერილი, და ეს გარემოება მკითხველს რამდენიმედ მაინც არიგებს მასთან.

პლასტიკურ ნიჭთან ერთად ილია ჭავჭავაძეს სოციოლოგიური განზოგადების ნიჭი აქვს თავის მოთხრობაში „საღრჩობელაზე“, სადაც მან ყალბი კულტურის მიერ შეურყენელი, გულალალი გლეხის ტიპი მოგვცა, მან დასვა, აგრეთვე, პრობლემა საზოგადოების პასუხისმგებლობისა ინდივიდუალური დანაშაულობისათვის; ამ პრობლემის დასმა და გადაჭრა ამტკიცებს, რომ ის იცნობ-



და ევროპის მონინავე ფილოსოფიური და სოციოლოგიური სკოლების შეხედულებას ამ დარგში. ისევე, როგორც თავისი „გუთნის დედით“ და „ოთარაანთ ქვრივით“, ამ პანია მოთხრობითაც ილიამ დაამტკიცა, რომ კარგად იცნობდა ქართველი გლეხის ფსიქოლოგიას და მსოფლშეგრძნებას. „განდეგილში“, რომელიც ქართული ხალხური ლეგენდის საფუძველზეა შექმნილი, მაგრამ საერთაშორისო თემის ქართულ პარალელს წარმოადგენს, მან დასვა ზოგადი საკაცობრიო პრობლემა საშუალო ბედნიერების მიღწევისა და თავისებური პასუხიც გასცა მას. მან აღიარა, რომ წარუშვალნი ნეტარების მოპოვება არ შეიძლება ამჟამინდური ცხოვრების უარყოფით და განადგურებით.

თავის პუბლიცისტურ ნაწერებში ის ოპტიმიზმისა და აქტივიზმის დამცველად გამოვიდა. ეგრეთ წოდებული ორგანული სოციოლოგიური სკოლის წინააღმდეგ მან ის აზრი გამოთქვა, რომ პრობლემის დაბადება და სიკვდილი უში სიტყვაა, რომ მისი საბანი არ არსებობს და წარმოუდგენელიც არის: ინტენსიური კულტურის განვითარებას კაცობრიობა დაძაბუნებისა და დაუძღურებისკენ კი არ მიჰყავს, არამედ ენერჯის გამლის-

კენ; ის ადამიანის გაფოლადებასა და გამოჯიქებას იწვევს, ის მას სწვრთნის არსებობისთვის საჭიდაოდ. ამით აიხსნება, რომ ილიას თავისი სამშობლოსთვის ისე არაფერი არ ენატრებოდა, როგორც ყოველმხრივ განვითარებული სულიერი და მატერიალური კულტურა. ერის ბიოლოგიურ ძალას ის განსაკუთრებით გვირისტიტ შეკერილ, ფოლადივით გამოწრთობილ გლეხკაცობაში ხედავდა, რომლის გრძელი კვნესაც კი სიმღერაში გადადის. მდაბიო ხალხს სთვლიდა ის საქართველოს ისტორიის მთავარ უსახელო გმირად. მას სწამდა, რომ ქართველი ერი გადაშენებას სოფლის დემოკრატიამ გადაარჩინა, ამ დემოკრატიის საღ ეკონომიურ საფუძველს კი საქართველოს ისტორიული წარსულის საუკეთესო ეპოქებში, მისი აზრით, სათემო და საკომლო მინათმფლობელობის სწორი განაწილება წარმოადგენდა. ის ამბობს, რომ საქართველოს უბედურება დაიწყო იმ დროიდან, როცა „ამ უკეთეს მხარეს ჩვენი ეკონომიური წყობისას ყური აღარ ათხოვეს; გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლულობამ, ჩამოვარდა უსწორმასწორობა მინის მფლობელობაში“ („ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“). ილიას სწამდა, რომ ქართულ დემოკრატიას გაცვეთილი არ ჰქონდა თავისი ძალ-ღონე და დიდი შემოქმედებითი ენერჯია შესწევდა მომავალი მშენებლობისათვის. „ჩვენი ქვეყანა ბევრ სხვა ქვეყანაზე უფრო მდიდარია, უფრო სავსეა, — ეუბნებოდა ის თავის ცნობილ სიტყვაში წინამძღვრიანთკარელ გლეხებს, — არც ჩვენ თითონ ვართ უხეირონი, ღმერთ-რჯული, მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონე მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია“.

ლიტერატურული და პრაქტიკული მუშაობის ჰარმონიული შეერთებით ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული კულტურის აღორძინების საუკეთესო წარმომადგენელია, ღირსეული მემკვიდრე დიდი ისტორიული ქართველი მოღვაწეებისა.


1936 წელი



ნიკოლოზ ზაბოლოცკი

„ერთ საღამოს ტიცინანმა ჩვენთან ახალგაზრდა სათვალისანი კაცი მოიყვანა, ბავშვურად გაბუტული ტუჩები ჰქონდა. იგი ოდნავ შესამჩნევად ილიმებოდა, ძალზე გულიანად იცინოდა, ერთთავად ფაქიზად და სუფთად იყო ჩაცმული, — იგონებს ტიცინის მეუღლე ნინო ტაბიძე, — სიცოცხლის დროს უმაღლეს მის სულს შეიცნობდით, ისეთივე კრისტალურსა და კამკამას; მხოლოდ თვალეში რალაც ნაღველს დალანდავდით. ეს ნიკოლოზ ზაბოლოცკი გახლდათ, ლენინგრადელი პოეტი“.

ნიკოლოზ ზაბოლოცკის ტიცინანმა ქართველი პოეტების თარგმნა შესთავაზა, ზაბოლოცკის ძალზე გაეხარდა. იმ დროიდან იგი ქართული პოეზიის ერთგულ მეგობრად იქცა. ასე დაიწყო მეგობრობა კოლია ზაბოლოცკისთან. მეგობრობა, რომელსაც არც ეროვნება აქვს და არც პოლიტიკური ამბიციები, სუფთა ადამიანურ ურთიერთობებზეა აგებული და წყაროსავით სუფთაა. ნინო ტაბიძე ტიცინანთან ერთად იმ დროს ერთ-ერთი ბურჟი იყო რუსი და ქართველი მწერლების მეგობრობისა. მისი ღვაწლი ფასდაუდებელია ამ საქმეში. წინამდებარე მოგონებანი ტიცინანის გარდაცვალების შემდეგ იწერებოდა, ქმრის სიცოცხლეში ქალბატონ ნინოს ერთი სტრიქონიც არ დაუწერია, იგი მხოლოდ „ცისფერყანწელთა“ თანამოაზრე გახლდათ, ამ მშვენიერი მოგონებებით კი ნინო ტაბიძე თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ „ცისფერყანწელთა“ ორდენს. მოვუსმინოთ მას:



„კოლია თავის კბილა სიმონ ჩიქოვანთანაც მეგობრობდა, გიორგი ლეონიძესთანაც. ძალზე უყვარდა, როცა გიორგი ლეონიძის მეუღლე მას მთელ-მთელ კარტოფილიანი პომიდვრის წვნიანით უმასპინძლებოდა, იგი ამკარად დანატრებულ იყო რუსულ სამზარეულოს. ძალზე ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენთან: კითხულობდნენ ლექსებს, კამათობდნენ ახალ პრობლემებზე, ხშირად ეს საღამოები იმპროვიზებული კონცერტებით მთავრდებოდა. პაოლო ძველი გუნდური სიმღერების ინიციატორი იყო. ხელიხელჩაკიდებულნი ყველანი სიმღერით გარს უვლიდნენ მაგიდას. პაოლოს განსაკუთრებით უყვარდა სიმღერა „მე ვარ და ჩემი ნაბადი“. მას ბანს აძლევდნენ შალვა აფხაიძე და სერგო კლდიაშვილი. სიმღერების შემდეგ სერგო კლდიაშვილი და ლევან ასათიანი „ცერულს“ ჩამოუვლიდნენ. კოლია ყოველთვის გულიანად იცინოდა. გულალაღად მხიარულობდა. გიორგი ლეონიძეც და სიმონ ჩიქოვანიც, რა თქმა უნდა, აქ იყვნენ. მოცეკვავის ტემპერამენტს ზოგჯერ ლეონიძეც ამჟღავნებდა, მაგრამ უფრო ხშირად აივანზე გა-

მოდიოდა და ღრმად დაფიქრებული იქ იდგა. სიმონ ჩიქოვანთან ერთად მოდიოდა მისი უახლოესი მეგობარი მიკოლა ბაჟანი, რომელმაც მაშინ შოთა რუსთაველის თარგმნას მოჰკიდა ხელი.

ზაბოლოცკი ძალზე გატაცებული იყო ქართველი პოეტების ლექსების თარგმნით; ლენინგრადში დაბრუნებული ტიცინანს თავის დიდ შემოქმედებითს გეგმებზე სწერდა.

**ლენინგრადი.
1936 წლის 1 ივლისი“.**

**„ძვირფასო ტიცინან
იუსტინეს ძვი!“**

უკანასკნელ დღეებში ჩვენ მოუთმენლად მოგელოდით ლენინგრადში. თქვენმა ღია ბარათმა, სადაც საქართველოში გამგზავრებას იტყობინებით, ძალიან დამანაღვლიანა. ვიმედოვნებდი, ბევრ საქმეებზე მომელაპარაკა თქვენთან. ახლა, ალბათ, ჩვენი საუბარი შემოდგომამდე გადაიდება.

მოკლედ, საქმე შემდეგნაირადაა: ლენინგრადის საბავშვო გამოცემლობა ბავშვებისთვის რუსთაველის შემოკლებულ თარგმნას და გადამუშავებას მავალებს. ამ საქმის ინი-

ციატორი მე გახლავარ. ვფიქრობ, საჭირო საქმეა. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე რუსი მასობრივი მკითხველი და განსაკუთრებით კი მოსწავლეები ბალმონტის თარგმანით ვერ ისარგებლებენ. ჩვენ მიერ წამოწყებული გადამუშავება კი თანამედროვე რუს მკითხველთა ფართო მასებში რუსთაველის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. მესმის, რომ ეს ძნელი და საპასუხისმგებლო საქმეა, მით უმეტეს, რომ ეს ერთ წელიწადში უნდა შესრულდეს, 1937 წლის პირველ სექტემბრამდე, იმიტომ, რომ საუბილეო წლის ბოლოს წიგნი უკვე უნდა გამოვიდეს. ჩვენი მეგობარი მიკოლა ბაჟანი, რომელთანაც ახლახან ორი კვირა დავეყავი, თავის ბნკარედს მაძლევს (იორდანაშვილის) ტრანსკრიფციით. სექტემბრის თვეში თბილისში ჩამოსვლა მსურს, უნდა დავუკავშირდე რუსთაველის ინსტიტუტს და იუბილეს მომწყობთ. აუცილებელია, ისუნთქო საქართველოს ჰაერი და რუსთაველი მის სამშობლოში შეიგრძნო. მით უმეტეს, რომ რუსული ლიტერატურა ელემენტარულ ცნობებსაც არ იძლევა ამ უდიდეს პოეტზე. ჩემი



გადამუშავებული თარგმანი დედნის ერთი მესამედზე არ იქნება. ასეთი შეკუმშული სახით მით უფრო ძნელდება გამოხატო ორიგინალის სული და პოეტური თავისებურებანი.

თუ სექციების თვეში თქვენ, ტიცინი იუსტინეს ძვე, თბილისში იქნებით, გთხოვთ, დამეხმაროთ ამ საქმეში და საჭირო ადამიანები გამაცნოთ. გადამუშავებულის რედაქტირებისათვის ნ. ტიხონოვის მონვევა გვსურს, თუმცა ამაზე ჯერ არც მილაპარაკია მასთან.

ღვთის გულისათვის, მაცნობეთ, რას ფიქრობთ ამის თაობაზე. იქნებით თუ არა თბილისში სექციებში და შეიძლება თუ არა რუსთაველის ინსტიტუტის დახმარების იმედი მქონდეს.

უკანასკნელ ხანამდე პროზაული გადამუშავებით ვიყავი გადატვირთული და მხოლოდ ახლა ვამთავრებ. ვფიქრობ, მაშინვე ჩავუჯდე ვაჟა-ფშაველას, მაგრამ ახლა ამ სასწრაფო ნამონებებსა და კავშირებით, „ალუდა ქეთელაურის“ თარგმნა რამდენადმე ყოვნდება. გთხოვთ, მაცნობოთ, რა დროისათვის გჭირდებათ ეს თარგმანი და პირველ რიგში რის გაკეთებას ფიქრობთ.

რვა თუ ათ რიცხვში უკრაინაში მივემგზავრები, სადაც ჩემი ოჯახი ცხოვრობს. მე იქ აგარაკი გავმართე დნეპრის ნაპირას, კანეცს იქით, ლამაზ, მადლიან ადგილას, რომელსაც გოგოლი აღწერს. იქ, სასაფლაოზე, ახლაც დგას ნახევრადჩამოქცეული ხის ეკლესია, სადაც ხომა ბრუტი ფსალმუს უკითხავდა მოკლულ ჯადოქარს.

გთხოვთ, მომწეროთ ამ მისამართზე: უკსრ. კიევის ოლქი, ზოლოტონოში, საფოსტო განყოფილება პროხოროვკა. კრონბერგის სახლი, ჩემთვის. მე იქ სექციებამდე დავყოფ და თბილისში, ლენინგრადში შეუვლელად გამოვემგზავრები.

თქვენ კიდევ ვალი გაქვთ ჩემი: თქვენი ლექსის პნკარედისა და ტრანსკრიფციის გამოგზავნას დამპირდით, რომლის სათაური არ ვიცი, მაგრამ თქვენ ეს ლექსი წამიკითხეთ და, ალბათ, გახსოვთ, მე მსურს, გადავთარგმნო ეს ბრწყინვალე, ამაღელვებელი ლექსი. ანდა

იქნებ სექციებში მოვილაპარაკოთ ამის თაობაზე, რადგან ბნკარედი ძალზე ზუსტი და ავტორისეული კომენტარებით გამართული უნდა იყოს.

ოქტომბრის დასაწყისში ლენინგრადში დავბრუნდები.

აი, მთელი წლისა და ზაფხულის ჩემი გეგმების მოკლე ანგარიში. ძალიან გთხოვთ, მომწერეთ, რას ფიქრობთ ყველაფერ ამაზე.

გადაეცით ჩვენი გულთბილი სალაში ნინო ალექსანდრეს ასულს.

თქვენი ნ. ზაბოლოცკი პროხოროვკა. 1936 წლის 2 აგვისტო“.

„ქვირფასო ტიცინა იუსტინეს ძე“

მადლობას გიხდით წერილისათვის. დროზე მივიღე და ძალზე გამეხარდა. უნდა გამოვტყდე, ერთი ხანობა ვფიქრობდი, რომ ბავშვებისათვის რუსთაველის გადამუშავება მკითხველს არ დააინტერესებდა: ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივეჩვიეთ, როგორც საჭიროა, გავითვალისწინოთ მასობრივი მკითხველის ინტერესები, მაგრამ რუსთაველმა ხომ სახლხო ქმნილება შექმნა, საქართველოში მას მთელი ხალხი იცნობს. ესე იგი, რუსულ თარგმანშიც ჩვენ უნდა შევეცადოთ მკითხველთა ფართო მასებისათვის ნაწარმოები გასაგები გავხადოთ, ეს კი შესაძლებელია, სამწუხაროდ, მხოლოდ გადამუშავების წყალობით, რადგან სრულ თარგმანს, ბევრი გასაგები მიზეზის გამო, მასობრივი რუსი მკითხველი ვერ გაიგებს. თქვენი წერილის შემდეგ მშვიდად ვგრძნობ თავს, თუ რუსთაველის სპეციალისტები დამეხმარებიან, ვიმედოვნებ, ამ სამუშაოს ერთ წელიწადში დავასრულებ.

რაც შეეხება მატერიალურ მხარეს, მე ხელშეკრულება მაქვს დადებული საბავშვო გამომცემლობის ლენინგრადის განყოფილებასთან, სადაც დიდი ხანია ვმუშაობ. თქვენი აზრი გრ. ევ. ციპინთან დაკავშირებით, საუცხოოა. მე მასთან კარგი დამოკიდებულება მაქვს. ის ჯერ კიდევ იმ დროიდან მიცნობს, როცა „იზვესტიაში“ მუშაობდა და ლექსებს მიბეჭდავდა იქ. ალბათ, ის დიდი ხალისით მოჰკიდებდა ამ საქმეს

ხელს, მაგრამ მართალი რომ ვთქვა, ძალზე მაფიქრებს მოსკოვში გამუდმებული მიმოსვლა და გადავწყვიტე, ხელშეკრულება ლენინგრადში დამედო. იქ ჩემს პირობებს დაეთანხმნენ და დამპირდნენ, რომ ტიხონოვს სთხოვდნენ ამ წიგნის რედაქტორობას. თვითონ ტიხონოვი კავკასიაშია და ვერ მოვასწარი, პირადად მოვლაპარაკებოდი.

„ალუდა ქეთელაურს“ ზამთარში ვთარგმნი, რუსთაველის პარალელურად. თბილისში ამაზე უფრო დანვრილებით მოვილაპარაკებთ. მე არ მაქვს მისი ტრანსკრიფცია, გარდა ამისა, კონსულტაციის საქმეც უნდა მოვაგვარო, თუმცა, ეს, ალბათ, ლენინგრადშიც მოხერხდება ე.ბ. ვირსალაძის დახმარებით, რომელიც ორბელიანის პოემის თარგმნისას მეხმარებოდა.

თქვენი ახალი ლექსები ძალზე კარგია. ეს პნკარედიცა იგრძნობა, მაშინვე შევეუდექი მათ თარგმნას და აი, გიგზავნი თორ თარგმანს — „არავის ხეობაში“ და „ლექსის დაბადება“. ეს საბოლოო ტექსტები არ არის, მით უმეტეს, რომ ზოგი სტროფი ჩემთვის დღემდე ბუნდოვანია და ძალზე თავისუფლად ვთარგმნე. ისინი საერთოდ, როგორც ხედავთ, თარგმანები საკმაოდ თავისუფალია. ვუფროთხი აზრის პუნქტუალურ გადმოცემას იმ შემთხვევაში, თუ ის რუსულ ლექსში არაბუნებრივად და ძალდატანებით ჟღერს. ვესწრაფი, რომ თარგმანში და ორიგინალში ლექსი ერთნაირად ჟღერდეს. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ მე აზრის დამახინჯებას ვუშვებ. ვცდილობ, აზრი თავისებურად გადმოვცე იმ შემთხვევაში, როცა ეს საჭიროა ლექსის სიმსუბუქისა და სიცხადისათვის. **თქვენს ლექსებში მხიბლავს სულიერი სამყაროს საოცარი სიახლოვე ბუნებასთან, თქვენთან ეს ორი სამყარო განუყოფლად ერთიანდება და ეს ჩვენი დროისათვის უიშვიათესი მოვლენაა, თანამედროვე რუს პოეტთა შორის ცოტა თუ გრძნობს და შეტრფის ბუნებას...** ასეთი ჰარმონიული და ბუნებრივი შერწყმა სულიერი სამყაროს ბუნებასთან, როგორსაც თქვენ ლექსებში ვხედავ, ჯერ არავისთან შემხვედრია.



რა თქმა უნდა, ეს ხანგრძლივი პოეტური მუშაობის ნაყოფია, რომელზედაც ახალგაზრდა პოეტებს ოცნებალა შეუძლიათ.

გთხოვთ, ტიცინი იუსტინეს ძველ ჩემს თარგმანებში აღნიშნოთ ყველა ადგილი, რომელიც შესწორებას საჭიროებს. ისინი რამდენიმეა, ზოგი უკვე ვიცო, თბილისში შევეცადები შევასწორო თარგმანები.

რაც შეეხება ლექსს „ანანური“, არცთუ მთლად კარგად ვთარგმნე და გადავთარგმნი (მოგვიანებით) ხელახლა, როცა პირველი თარგმანი ცოტათი მიმავინყდება. გარდა ამისა, უნდა მოგესალმოდეთ თქვენი პნკარედის ზოგი გაურკვეველი ადგილის შესახებ.

თბილისში სექტემბრის პირველ რიცხვებში ვიქნები.

თქვენი ნ. ზაბოლოცკი“.

ზაბოლოცკი, დაპირებისამებრ, ჩამოვიდა თბილისში და თითქმის ერთი თვე დაჰყო. ახალმა შეხვედრებმა და მთელ საქართველოში ერთობლივმა მოგზაურობებმა კიდევ უფრო დააახლოვა იგი ქართველ მეგობრებს. ზაბოლოცკი სულ უფრო და უფრო შეეთვისა საქართველოს.

იგი კახეთში, წინანდალში წაიყვანეს.

როცა ჩვენ წინანდალში ჩავედით, კოლია უცბად სადღაც გაქრა. გამოიკვია, რომ მან და მისმა თანამგზავრებმა პატარძელში შევლა გადაწყვიტეს გიორგი ლეონიძის სახლის სანახავად. იქიდან იგი ძალზე მხიარული და კმაყოფილი დაბრუნდა.

შემდგომ სიმონ ჩიქოვანმა იგი ქართლში წაიყვანა. ამ მოგზაურობის შედეგად დაინერა „გორის სიმფონია“ და სხვა ლექსები.

1936 წლის 27 სექტემბერს ჩვენ ალავერდში წავედით: სიმონ ჩიქოვანი მეუღლითურთ — მარიკასთან ერთად, გოგლა ლეონიძე მეუღლითურთ, ვერიკო ანჯაფარიძე და ლოლია ყანჩელი, მშვენიერი და ჭკვიანი ქალი, რომელმაც მოხიბლა იური ტინიანოვი და მისი დის ქმარი — კავერინი. ნატო ვაჩნაძეც იყო თავის მეუღლე კოლია შენგელიასთან ერთად და მომღერალი ქეთო ჯაფარიძე მეუღლითურთ. ზაბო-

ლოცკი და ბაჟანიც ჩვენთან ერთად მოდიოდნენ.

მეგზავრობა უამრავი თავგადასავლებით იყო სავსე.

უჯარმას რომ მივალნიეთ, დავინახეთ, რომ იორი ფართოდ მოედინებოდა და მასზე ხეებს აცურებდნენ. ჩვენმა ავტობუსმა მაინც შებედა წყალში, თუმცა ძელს რომ დაჯახებოდა, გადაბრუნდებოდა და შუა მდინარეში გაიხირა. მორები მანქანას ეხეთქებოდნენ. ეს ძალზე სახიფათო იყო, მაშინ კოლია შენგელაიამ ტანთ გაიხადა და წყალში გადახტა, მას სხვა მამაკაცებიც მიჰყვნენ, რათა მანქანისთვის მორები მოეცილებინათ.

ავტობუსი ადგილიდან დაიძრა.

ტიციანიც ჩავიდა წყალში და ჯობებს დაყრდნობილი დადგა; ჯობთან წყალმა ქვიშა მორეცხა, ტიცინი წაიქცა და იგი ავტობუსში შემოათრია, პიჯაკი კი იქით ნაპირზე დარჩა. პიჯაკი გლეხის ბიჭებმა მოიტანეს. ტიცინი საშინლად შეცბუნებული იყო, მაგრამ როცა ვკითხე, რატომ ჩადი წყალში, ხომ იცოდი, ძელებთან ვერაფერს გახდებოდი-მეთქი, მან მითხრა, რომ ძალზე სამარცხვინო და უხერხული იქნებოდა, მანქანაში ვმჯდარიყავი იმ დროს, როცა ყველანი წყალში იდგნენო.

— ხომ არ შემეძლო, გულხელდაკრეფილი ვმჯდარიყავი, როცა სხვები რაღაცას აკეთებდნენ?! თუ ვერ მოვეხმარე, სხვებთან ერთად ხომ მაინც დავსველდი! — ამ სიტყვებში ტიცინის ხასიათი ჩანდა — მოუქნელი, ზოგჯერ უსუსურიც, მაგრამ მუდამ მზადმყოფი, რომ მეგობრებს დაუფიქრებლად დახმარებოდა.

ბოლოს ჩვენი ავტობუსი გზაზე გამოვიდა.

უკვებინდებოდა. მძღოლმა იქაურ მკვიდრს ჰკითხა, ხომ არ შეიძლებოდა სადმე ახლოს ღამის გათევა. იგი მანქანის საფეხურზე შეხტა, გზას გვიჩვენებდა, მერე ეულად მდგარ ქობთან მიგვიყვანა.

ის-ის იყო ქობში შევედით, რომ გაისმა უცნაური სტვენა, სტვენას სოფლიდან სტვენითვე უპასუხეს.

ცეცხლი გაგვიჩაღეს და გვითხრეს, რომ სიმინდს მოგვიტანდნენ. ჩვენ მშვიდად მივუსხედით ცე-

ცხლს, მივეფიცხეთ, თან ერთმანეთს ვეხუმრებოდით. ამ დროს რაღაცით შემფოთებული მძღოლი შემოდის და გვეუბნება, რომ ჩვენ ხობვით და რაც შეიძლება სწრაფად მანქანასთან მივსულიყავით. არც მეტი, არც ნაკლები — ყაჩაღის ბუნაგში აღმოვჩნდით.

— გუშინ აქ, ახლო, ქალს და ბავშვს ყელი გამოლადრეს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მძღოლის რჩევას დავყევით, მან სწრაფად აამუშავა მოტორი და ჩვენც მოკურცხლეთ, ზურგს უკან კი შეძახილები და სტვენის ხმა მოგვდევდა.

ჩვენ უკვე გომბორის ტყეში ვიყავით. ბნელოდა, მანქანის ფარებიდან ანათებდნენ გზას. ხან გალურსულები ვისხედით, ხან გიჟებივით ვხარხარებდით.

უკუნში დიდხანს დავეხეტებოდით ტყეში, სანამ სინათლე არ შევნიშნეთ.

კოლია შენგელაია და დარიკო წერეთელი სინათლისკენ, რომელიღაც სახლის განათებული ფანჯრისკენ გაემართნენ, ფანჯარას ჩუმად მიუახლოვდნენ და შიგ შეიხედეს.

ვიღაც მოხუცი ცეცხლს უჯდა.

დააკაკუნეს. მოხუცი გამოვიდა. ყველაფერი უამბეს, რაც თავს გადაგვდა.

ღამის გათევა სთხოვეს.

მოხუცი სტუმართმოყვარე აღმოჩნდა. მან ყველანი სახლში შეგვიპატიჟა. ბუხარში ხმელი შემისწავა ტკაცუნებდა. მოხუცმა სიმინდის ჩალა მოიტანა, დაგვიგო, მერე დიდი კარდალით კარტოფილი მოგვიხარშა და ჩვენც, მთელი დღის ძლიერ მოშიებულებმა, დიდი სიამოვნებით მივირთვიეთ. ვახშმის შემდეგ ყველანი ჩალაზე მივწექით და დილამდე გვეძინა. დილით მოხუცი კვლავ კარტოფილით გაგვიმასპინძლდა. დავნაყრდით და ალავერდისაკენ დავიძარით.

როცა ალავერდში ჩავედით, ხალხი უკვე იმლებოდა.

შორიასლო, ერთიმეორის მიყოლებით ხალიჩიანი ჩარდახებით ურმები მოიზღაზნებოდნენ. მონასტრის შუაგულ ეზოში ვიღაც მეარღნეს მოეკალათებინა. მეგობარი ახლდა, ორივე მთვრალეები იყვნენ. წინ თიხის სურა ედგათ ღვინით და პირთამდე სავსე ჭიქა. ისინი ყველა

გამველეს უმასპინძლებოდნენ. ჩვენ ჩარდახქვეშ დიდი სუფრა გაგვიშალეს.

და მაშინ დაიწყო შეჯიბრი, ვინ უკეთესად, საინტერესოდ წაიკითხავდა ლექსებს. ერთი რომ ამთავრებდა კითხვას, მეორე წამოხტებოდა: კითხულობდნენ საკუთარ და სხვათა ლექსებს.

პაოლო ეკლესიის ეზოში გაჰყვიროდა ბალმონტის მღერად ლექსებს.

ბაჟანი წამოდგა და თავის თარგმანში უკრაინულ ენაზე წაიკითხა ნაწყვეტი შოთა რუსთაველის პოემიდან, ამან უზომო ტაშისცემა და მსმენელთა აღტაცება გამოიწვია.

სუფრის მეორე ბოლოში ზაბოლოცკი წამოდგა, რუსულად ორბელიანი წაიკითხა და იფეთქა აღტაცებამ, ტაშმა.

ვერიკო წამოხტა და ტიცციანის ლექსიდან „ანგელოზი ცხენზე“ ნაწყვეტი წაიკითხა, შემდეგ — სიმონ ჩიქოვანის „ცირა“.

გიორგი ლეონიძემ ლექსები წაიკითხა და ვერიკოს სადღეგრძელოთი მიმართა.

ვერიკოსა და ნატო ვაჩნაძის მიმზიდველი, ცეცხლოვანი ცეკვის შემდეგ გეჩვენებოდათ, თითქოს მთებსაც არ ძალუძდათ აღტაცების დაფარვა.

ტიციანმა ტიუტჩევი წაიკითხა.

სალამომდე ასე კითხულობდნენ ლექსებს, ლაპარაკობდნენ პოეზიაზე, კახეთის ბუნების სილამაზეზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე, ერთმანეთის თარგმანების აუცილებლობაზე, რათა რუსმა ხალხმა გაიცნოს ქართული და უკრაინული პოეზია და ქართველმა — რუსული და უკრაინული...

თბილისში დაქანცულები, მაგრამ კმაყოფილები დავბრუნდით, განსაკუთრებით იმით, რომ ჩვენი მეგობრები დარჩნენ კმაყოფილები, კიდევ უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს.

ჩვენი მეგობრობა ზაბოლოცკისთან განმტკიცდა. ტიცციანი მას ძალზე აფასებდა, როგორც პოეტსა და ადამიანს. მას ხიბლავდა ლექსების ზაბოლოცკისეული ფაქიზი და ღრმა გაგება, ამიტომ აფასებდა ასე ტიცციანი მის თარგმანებსაც.

ტიციანისა და ზაბოლოცკის დამო-

კიდებულებაზე ყველაზე უკეთ მათი წერილები მეტყველებენ.

**„ლენინგრადი, 1936 წლის 25 ოქტომბერი
ქვირფასო ტიცციან
იუსტინეს ძე!**

ცივი, ნესტიანი ლენინგრადიდან, სველ თოვლში უკვე ამოგანგლული და სიცვიისაგან გათოშილი, მაგრამ სამხრეთზე ქართული შთაბეჭდილებებითა და საუცხოო მოგონებებით აღსავსე, ვესწრაფვი კიდევ ერთხელ ახლა უკვე წერილით, მაღლობა გიძღვნათ ამ თვისათვის, ჩვენი მოგზაურობებისათვის, ქეიფებისათვის, ჩემზე ყველა თქვენი ზრუნვისა და გარჯისათვის. მე არასოდეს დავივწყებ ამ თბილისურ თვეს და მასზე მოგონება ჩემი ცხოვრების საუკეთესო მოგონებად დარჩება...

მოსკოვში არ შემვიღია, უფრო სწორად, არ შევჩერებულვარ იქ. უახლოეს ხანში მოსკოვში გამგზავრება მომიწევს, ალბათ, ერთ კვირაში — ციპინთან და გოლცევთან მოსალაპარაკებლად.

აქ, ლენინგრადში ჩემი საქმეები ნორმალურად მიდის. დღეს საბავშვო გამომცემლობაში მოხსენება უნდა გავაკეთო ჩემს მოგზაურობასა და რუსთაველზე.

ქვირფასო ტიცციან იუსტინეს ძე, გთხოვთ არ დავიწყოთ „აბესალომ და ეთერის“ ხელნაწერის გამოგზავნა. გარდა ამისა, ნინო ალექსანდრეს ასული საბავშვო წარმოებების პნკარედების გამოგზავნას დამპირდა. ველოდები მათ.

მტკიცედ მჯერა, რომ ამ ზამთარს ლენინგრადში შევხვდებით ერთმანეთს. გთხოვთ ჩამოსვლა დეპეშით შემატყობინოთ, რომ შევძლოთ სადგურში დახვედრა. მანამდე კი ვიმედოვნებ, ერთ-ორ სიტყვას მომწეროთ თქვენს საქმიანობაზე, თბილისზე, ჩვენს საერთო მეგობრებზე.

გისურვებთ ჯანმრთელობას. კიდევ ერთხელ გიხდით მაღლობას გულთბილი მასპინძლობისათვის.

თქვენი ნ. ზაბოლოცკი“.

**„ლენინგრადი, 1936 წლის 24 ნოემბერი.
ქვირფასო ტიცციან
იუსტინეს ძე!**

მაღლობას გიხდით თქვენი 27 ოქ-

ტომბრის წერილისა და „აბესალომ და ეთერის“ პნკარედისათვის.

გიგზავნით „გორის სიმფონიას“, ქართულ თემაზე შექმნილ ჩემს ახალ ლექსს. ერთდროულად ვუგზავნი ჟივოვს თხოვნით, საბჭოების ყრილობის წინ დაბეჭდოს. დაბეჭდავენ თუ რა, არ ვიცი, მაგრამ თქვენ კი გთხოვთ, წაიკითხოთ, რადგან იგი ჩემს ქართველ მეგობრებს ეხება, პირველ რიგში, თქვენ. მე მიწოდდა, ამასთან დაკავშირებით თქვენი აზრი შემეტყუო, ღვთის გულისათვის, შემატყობინეთ, არის თუ არა რაიმე უზუსტობანი და სხვ.

მოსკოვში ჯერ არ ვყოფილვარ, ციპინთან არ მისაუბრია, ვიმედოვნებ. მალე იქ ვიქნები. თქვენი ლექსების თარგმანებს დღეღამეზე გამოვგზავნი. ნელ-ნელა ვთარგმნი „აბესალომ და ეთერს“.

ქვირფასო ტიცციან იუსტინეს ძე, ბოდიშს გიხდით აბნეული წერილისათვის — გვიანია, დავიღალე და თავიც მიბრუის — სამუშაოს შემოვრჩი.

მოკითხვა გადაეცით ნინო ალექსანდრეს ასულს და ნიტას.

გისურვებთ ჯანმრთელობას.

ველი თქვენს წიგნს! და თუ შეიძლება მომწერეთ, როგორია ჩემი „სიმფონია“?

თქვენი ნ. ზაბოლოცკი“.

**„1936 წლის 14 დეკემბერი.
ქვირფასო ტიცციან
იუსტინეს ძე!**

გიგზავნით ვაჟა ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ თარგმანს. ერთდროულად მას ვუგზავნი ვ. გოლცევს. თეთრი ლექსი, რითაც ეს წარმოებია თარგმნილი, ჩემი აზრით, უფრო მეტად შეესატყვისება ხალხურ შემოქმედებასთან ასე ახლოს მდგარ ვაჟა-ფშაველას პოეტიკას. **თარგმანის ხარისხზე ვერ ვიმსჯელებ. ყოველი შემთხვევისათვის, შევამოწმე აქ, ლენინგრადში, საკმაოდ მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე და ფრიად სასიამოვნოდ გამოეხმაურნენ.** გთხოვთ, გადახედოთ თარგმანს და შემატყობინოთ ყველა ნაკლი, რომ შევძლო მათი დროულად შესწორება, გთხოვთ, აგრეთვე თქვენი დასკვნა ვ. გოლცევს გადაუგზავნოთ.

ზეგ აქ, მაიაკოვსკის სახლში, დი-



დი სალამო მაქვს, სადაც მთელი ქალაქი განიხილავს ჩემს მუშაობას. წიგნზეც ლაპარაკობენ, მაგრამ ყველაფერი ეს წინაა.

ველი თქვენ მიერ დაპირებულ წიგნს. ძვირფასო ტიცინი იუსტინეს ძევ! სანამ მე ვმოგზაურობდი, წიგნმა სწრაფად გაიელვა ლენინგრადში და მაშინვე დაიტაცეს. ასე რომ, უკვე ვეღარ ვიშოვებ. თუ მიიღებთ, ღვთის გულისათვის გამომიგზავნეთ. ძალიან მინდა თქვენი წიგნი განცდითა და აზრინად, დასვენების ჟამს აუჩქარებლად წავიკითხო.

როდისღა ჩამოხვალ ჩვენთან? გადაეცით ჩემი გულთბილი სალამი ნინო ალექსანდრეს ასულს, ნიტას. მოკითხვა გადაეცით: ს. ჩიქოვანს, გ. ლეონიდეს, პ. იაშვილს, ი. მოსაშვილს, ა. ქუთათელს და ყველა მეგობარსა და ნაცნობს. ხშირად ვიგონებ საქართველოს და მიხარია, რომ თქვენთან თბილისში ახლა უკვე ჩემთვის ძვირფასი და ახლობელი ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი. ველი თქვენს წერილს. რაზე მუშაობთ ახლა და როგორია თქვენი გეგმები? გისურვებ ჯანმრთელობას”...

„ლენინგრადი, 1937 წლის 11 იანვარი. ძვირფასო ტიცინი იუსტინეს ძევი“

მაპატიეთ ღვთის გულისათვის, თქვენ საახალწლო დეპეშას რომ ვერ ვუპასუხე სულელური მიზეზის გამო; ახალ წლამდე და შემდეგაც რამდენიმე დღის განმავლობაში ტელეგრაფს ახლოსაც ვერ გაეკარებოდი; ხალხმა მთლად აიწყვიტა და ტელეგრაფში დეპეშებით ხელში შეუვალ კედლად დგა.

მაშ ასე, მიიღეთ ჩემი დაგვიანებული მილოცვები და მეგობრული სურვილები, ჯანმრთელობას, წარმატებას და სიხარულს გისურვებთ ამ წელიწადს.

დღეს, ექვს იანვარს გამოგზავნილი თქვენი წერილი მივიღე. ძალიან მიხარია, რომ ვაჟა-ფშაველას თარგმანი მოგწონთ, ძალზე სასურველი შეფასება მივიღე ვ.გ. გოლცევისგანაც, რომელმაც თარგმანი თავისი აღმანახისათვის გამომართვა. თარგმანში რამდენიმე მცირე შესწორება გაკეთდა, რაც საჭიროა გაითვალისწინოს გამომცემლობამ

„Academia“, თუ იგი გამოსცემს ამ პოემას. ამ შესწორებებს თქვენ გადმოგიგზავნით უახლოეს ხანში. ძალზე მიხარია აგრეთვე, რომ ორბელიანის თარგმანის გამოცემა, თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, ხერხდება „ზაკიგზში“.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში ვკითხულობდი თქვენ „რჩეულს“, რომლის შოვნა მხოლოდ ბიბლიოთეკაში მოხერხდა (თქვენი ეგზემპლარი ჯერ არ მიმიღია, ალბათ, ამ დღეებში მივიღებ, წინასწარ გიხდით მადლობას). მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს თარგმანი ჩემთვის ნაწილობრივ ცნობილი იყო, უნდა მოგახსენოთ, რომ ერთად აღებული, ისინი მშვენივრად ავსებენ ერთმანეთს და მკითხველს, მთარგმნელების ხმის გარკვეული სიჭრელის მიუხედავად, ბოლოს და ბოლოს, საშუალება ეძლევა შეიგრძნოს ტიცინი ტაბიძე მთლიანად, დარწმუნდეს, რომ ავტორი თავისი ნათელი, შემოქმედებითი ინდივიდუალობის წყალობით. ამ სიჭრელიდან ძირითადად უფლები გამოდის, რასაც მხოლოდ, საუბედუროდ, ძალზე ცოტანი თუ ახერხებენ.

თქვენ ლირიკული ხმის რალაცნაირ მომხიბლავ სისუფთავეს, მის გულითადობასა და ძალზე ფართო დიაპაზონს ფლობთ; თქვენ, რა თქმა უნდა, ჩვენი კავშირის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოეტი ხართ და მე ძალზე მეამაყება თქვენთან მეგობრობა; ის მე თავაუღებელი და შეუპოვარი მუშაობისკენ მიბიძგებს, თქვენი სულ მცირე მონონება და თანაგრძნობა ძალზე ბევრს ნიშნავს, რადგან იგი ჭეშმარიტად პოეტური სულის და უცოდველი გემოვნების ადამიანს ეკუთვნის.

მომწონს წიგნის გარე ყდაც, ძალზე სუფთადაა დაბეჭდილი, ქაღალდი ბრწყინვალეა, ყდა კარგია; თუ თქვენი შემდეგი წიგნი (რუსულად) კიდევ უფრო კარგი იქნება, თქვენ რუს მკითხველ საზოგადოებაში ღრმა და მტკიცე ადგილს დაიკავებთ.

უნდა საიდუმლოდ გაგანდოთ (მხოლოდ არ გავთვალო), ჩემი ლექსების წიგნთან დაკავშირებით, მგონი, რალაც ხერხდება. იგი ძირითადად მიღებულია გამოსაცემად,

გეგმაში ჩასვა და დაამტკიცა მოსკოვმა; მოლაპარაკება წარმოებს წიგნის კონკრეტულ შინაარსზე. თუ ყველაფერი მშვიდობიანად ჩათავდა, წიგნი შეიძლება გაზაფხულზე უკვე გამოვიდეს. ის არცთუ დიდია, ათას სტრიქონზე ცოტა მეტი, მაგრამ, როგორც ამბობენ, დაწყებაა ძნელი.

დაკავებული ვარ მთელი რიგი, უამრავი არალიტერატურული საქმეებით და, უნდა გამოვტყდე, უკანასკნელ ხანს რამდენადმე მოვწყდი სამუშაოს. „აბესალომ და ეთერი“ ძალზე მაფიქრებს. რუსთაველის თარგმანი მოსვენებას არ მძლევს და სხვა თარგმანისთვის დრო თითქმის არ მრჩება. ტიცინი იუსტინეს ძევ, მირჩიეთ როგორ მოვიქცე!

გუშინ ციპინისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მივიღე: „ტაბიძისაგან მივიღე წერილი თქვენ მიერ ქართული ლეგენდის თარგმანის თაობაზე. მაცნობეთ, როდის შეძლებთ თარგმანის წარმოდგენას“. გთავაზობთ, გადაუგზავნოთ მას ვ. ფშაველას თარგმანი; თუ ციპინი მოახერხებს ლუპონთან მოლაპარაკებას, იგი შეძლებს ვაჟა-ფშაველა ცალკე წიგნად გამოსცეს.

მოუთმენლად გელით ლენინგრადში; თქვენ აქ ბევრი მეგობარი და გულწრფელი დამფასებელი გყავთ, ჩამოდით ჩქარა!”

წ. ზაბოლოცკიმ ახალი ბინა მიიღო ბეგოვიაზე და ეს მყუდრო სახლი ქართველი მწერლების სახლად იქცა. აქ კითხულობდნენ ახალ თარგმანებს, მან ხომ მთელი ვაჟა-ფშაველა, ორბელიანი, გურამიშვილი, აკაკი, ილია და სხვები თარგმნა, მრავალი თანამედროვე მწერალიც. კითხულობდა თავის უკანასკნელ, ჯერ კიდევ დაუბეჭდავ ბრწყინვალე ლექსებს. ეს ლექსები მსმენელთ ცრემლებს ადენდა, იყო ეს გ. ლეონიძე მეუღლითურთ, სიმონ ჩიქოვანი თუ ბესო ჟღენტი, ან ფატმა თვალთვადი, ისინი მისი ლექსებით მუდამ აღელვებულნი, მთვრალი მიდიოდნენ აქედან. **თვითონ ზაბოლოცკი ძლიერ ცდილობდა, რომ მისი სუფრა ქართულს დამსგავსებოდა, როგორი ფართო ლიმიტით, როგორი მხიარულად უმასპინძლებოდა ყველას.**



ავლაბრისა და ნავთლუღის შემოერთება თბილისთან



ავლაბარი, ღვინის ალმარტი 1900 წ., დიმიტრი ერმაკოვის ფოტო

დღევანდელ მასშტაბთან შედარებით თბილისი მე-18 საუკუნეში და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში პატარა ქალაქი იყო. მტრის მიერ მრავალჯერ ხისმა აოხრებამ, მცხოვრებთა ამოწყვეტამ ქალაქი ისე დაამცირა, რომ 1826 წელს თბილისის მოსახლეობა შეადგენდა 20.857. მაგრამ რაკი საქართველოს რუსეთთან შეერთებამ ჩვენს ქვეყანას მშვიდობიანი ცხოვრების პირობები შეუქმნა, თბილისმა სწრაფი ტემპით იწყო ზრდა. იგი უკვე ვერ ეტყოდა ძველ საზღვრებში და თანდათანობით იერთებდა მის გარშემო არსებულ სოფლებს. ახლა ჩვენს დედაქალაქში გვხვდება ცალკეული უბნის სახელები — ჩულურეთი, კუკია, ხარფუხი, დიდუბე, მამუკას სოფელი და სხვ., რომლებიც ბევრისთვის გაუგებარია. ეს სოფლების სახელებია. ოდესღაც ისინი, ქალაქის გარეთ მდებარე, ჩვეულებრივ სოფლებს წარმოადგენდნენ და სოფლის მეურნეობას ეწოდნენ. ქალაქმა შემოიერთა ეს სოფლები და მათი მცხოვრებლებიც მოქალაქეებად აქცია. ამ ნარკვევში ჩვენ გვინდა აღვადგინოთ საარქივო მასალების საფუძველზე ავლაბარ-ნავთლუღის და ზოგიერთი სხვა სოფლის თბილისზე შემოერთების ისტორია.

ვახსენებთ თავის გეოგრაფიაში აღნიშნავს, რომ ავლაბარი მდებარეობდა თბილისის ისტორიაში კარგად ცნობილი ისანის მახლობლად. მეტეხის ქედზე მტკვრის მაღალ ნაპირზე მდებარე უბანს ისანი ერქვა. აქ იყო მეფის გვარეულობის სასახლენი, მეფის კარის სხვა ნაგებობანი და ციხე-სიმაგრე მეტეხი. სიტყვა ისანი უდავოდ არაბული

წარმოშობისაა და მოდის სიტყვიდან „ესანი“, რაც არაბულად თავდაცვის ადგილს, ციხე-კოშკს, ციტადელს ნიშნავს. ისნის იქით, მახათას მთის ძირამდე მდებარე ადგილს ავლაბარს უწოდებენ. ეს სიტყვაც არაბულიდან მოდის. არაბულად სასახლის გარემოს ეწოდება ხავალა-ბარი, აქედან უნდა იყოს „ელიაბარი“,

შემდეგ ავლაბარი. ამას ისიც ადასტურებს, რომ ძველი ავლაბრელები ხშირად ამბობდნენ არა „ავლაბარი“, არამედ „ხავლაბარი“ ან „ჰავლაბარი“.

გამოირჩეოდა შიგნითა ავლაბარი, ე.ი. ავლაბრის ის ნაწილი, რაც საციხო კედლის ზონით იყო მოქცეული და გარეთი ავლაბარი, ე.ი. საციხო კედლიდან მახათას ძირამდე. ავლაბარში ცხოვრობდნენ ქართველები და შემდგომ ერევნიდან გადმოხვენილი სომხები. ავლაბარი ძირითადად ერეკლეს მეუღლეს — დედოფალ დარეჯანს ეკუთვნოდა. გენერალ-ლეიტენანტი კნორინგი 1801 წ. 31 მაისს წერდა გენ. ლაზარევს: „ავლაბარი, — გარეუბანი, რომელიც ქვრივ დედოფალს დარეჯანს (დარეჯანი) ეკუთვნის, მისი პიროვნების პატივსაცემლად დარჩეს იმავე მდგომარეობაში, როგორც არის“.

თბილისში მაშინ 2000 კომლი ითვლებოდა, ხოლო ავლაბარში — 300. დარეჯანს ეკუთვნოდა 137 კომლი. მეფისნულს დავითს ძველ ავლაბარში — 11 კომლი, მეფისნულს ფარნაოზს ახალ ავლაბარში — 4 კომლი.

1804 წ. 23 სექტემბერს მთავარმართებელმა საქართველოში ციციანოვმა მიიღო უმაღლესი ბრძანებულება: „საქართველოს სამეფო სახლის მამულები სამუდამოდ მიეკუთვნოს სახელმწიფო მამულს და მათი შემოსავალი ჩაირიცხოს საქართველოს საერთო შემოსავლის ჯაშში“.

ამრიგად ავლაბრის სამეფო გლეხები გადაიქცნენ სახელმწიფო გლეხებად, ხოლო მათ გამგებლობაში არსებული მიწები — სახელმწიფო საკუთრებად.

თბილისი იზრდებოდა, ფართოდებოდა ტერიტორიულად. იგი, როგორც ქართლ-კახეთის ადმინისტრაციული და სავაჭრო-სამრეწვე-



ლო ცენტრი, დიდძალ ხალხს იზიდავდა. ამიტომ თანდათან ხდებოდა გარემო სოფლების შემოერთება, თვით ქალაქში იმ დროს დიდძალი გლეხობა ცხოვრობდა.

ქალაქის მმართველობის შუამდგომლობით მთავარმართებელმა გენ. ერმოლოვმა 1819 წ. 15 მარტს გამოსცა ბრძანება: **„ვეთანხმები სოფ. ხარფუხის თბილისზე შეერთებას, რადგან ძალიან ახლოს არის მასთან, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ სოფლის მცხოვრებლებს კვლავ რჩებათ ვალდებულება, ზაფხულობით ერთი ყარაული გამოიყვანონ ლეკების წინააღმდეგ და გადაიხადონ თვეში 5 მან. ვერცხლითა ობივატელების მიერ კაზაკთა საგუშაგოებისათვის მიცემულ ცხენების საფასურად, საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლებით“.**

კუკია და ჩულურეთი, გენ. ერმოლოვის ბრძანებით, თბილისს შეუერთდა 1824 წლის 29 ივნისს. ამის საბაზი ასეთი იყო: პოლიცია ჩიოდა, რომ კუკია-ჩულურეთის მცხოვრებნი ყიდულობენ გზაზე გლეხებისაგან შემოტანილ სურსათ-სანოვანებს და შემდეგ ქალაქში ძვირად ყიდიან. რადგან ეს სოფლები მაზრას ეკუთვნის, ქალაქის პოლიცია მასზე გავლენას ვერ ახდენს, კუკია და ჩულურეთი ძლიერ ახლოს არის ქალაქთან. ამიტომ საქმის სარგებლობა მოითხოვს მათ შეერთებას ქალაქთან. ამ საბაზით ჯერ ქალაქის პოლიციას დაუმორჩილეს ეს სოფლები, შემდეგ სულ შეუერთეს ქალაქს.

1804 წლის კამერალური აღწერიდან ჩანს, რომ ავლაბარში ცხოვრობდა 1.025 სახელმწიფო გლეხი, რომელთაც ჰქონდა 1,129 სახლი. მოსახლეობა შედგებოდა: 1983 მამრობითი და 1938 მდედრობითი სულისაგან. ყველანი სოფლის მეურნეობას მისდევდნენ, მაგრამ მათგან მხოლოდ 10 კაცს ჰყავდა 18 წყვილი ხარი და 3 ძროხა. რამდენიმე კაცი ჩანერილია, როგორც მწყემსი და მეჯოგე, ხოლო 16 — მეზღვე.

გავიდა სულ 4 წელი. 1808 წლის კამერალურ აღწერაში ნათქვამია, რომ შიგნითა ავლაბრის 380 კომლიდან, მხოლოდ 7 კაცი ენეოდა

სოფლის მეურნეობას. 1824 წელს გარეთა ავლაბარში 946 კომლიდან მხოლოდ 17 კომლი მისდევდა სოფლის მეურნეობას.

1934 წელს სოფლის მეურნეობას მისდევდა: კუკიაში — 91, ჩულურეთში — 7 და ავლაბარში — 20 კომლი.

1845 წლამდე ქალ. თბილისის მცხოვრებნი, რომლებიც მემინდვრეობას მისდევდნენ, იხდიდნენ სასურსათო გადასახადს — 66 — 120 კოდ ხორბალს და 43 — 51 კოდ ქერს.

მეფის ბრძანებულებით 1844 წლის 13 იანვარს მეფის ნაცვალმა გამოაქვეყნა ბრძანება: „1845 წლიდან გამორიცხული იქნეს ანგარიშიდან და მიღების მოლოდინიდან ქ. თბილისში პურის ბეგარა — „სურსათი“ 86 კოდი ხორბლისა და 43 კოდი ქერის რაოდენობით“.

1845 წელს მეფისნაცვალს კავკასიაში გენ. ვორონცოვს დიდძალი საჩივრები მიდიოდა ქალაქის განაპირა უბნების მცხოვრებელთაგან. გლეხები ჩიოდნენ, რომ აღარ ჰყოფნით სახნავ-სათესი მიწები, რადგან მათ კუთვნილ (ე.ი. იურიდიულად მათ გამგებლობაში მყოფ) მიწებს სხვებს აძლევდნენ იჯარით. ასეთი საჩივრების თავიდან აცილებისა და საკითხის საბოლოოდ გამორკვევის მიზნით მეფისნაცვალმა შეადგინა საგანგებო კომისია.

ამ მითითებაში გარკვევით მოჩანს მმართველობის ხაზი ავლაბრის გლეხების მიმართ. მმართველობას სურდა ან გადაესახლებინა ეს გლეხები სახელმწიფო სოფელში და გაეხადა სახელმწიფო ყმებად, ანდა გადაექცია იგი მოქალაქეებად, ე.ი. გამემრავლებინათ ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა რიგები.

ამავე დროს ავლაბრის მიწებს სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლეოდა თბილისისათვის. ავლაბრის მიწები ქალაქს სჭირდებოდა საძოვრებად იმ პირუტყვისათვის, რომელსაც სულ უფრო მეტი რაოდენობით მორეკავდნენ სასაკლაოზე. პირუტყვით მოვაჭრეებს, სანამ მათ მიერ მორეკილი პირუტყვი გაიყიდებოდა და დაიკვლებოდა, ქალაქის გარეუბანში და სწორედ სასაკლაოს მეზობლად

ჭირდებოდათ საძოვრები, რომ გაეყიდვა-დაკვლის მოლოდინში პირუტყვს ხორცი არ დაეყარა და შიმშილისაგან არ დავარდნილიყო. რაც უფრო გადიოდა დრო, რაც უფრო ფართოვდებოდა ქალაქში ხორციით ვაჭრობა, მით უფრო ედებოდა ფასი ავლაბრის მიწებსა, მით უფრო ცდილობდა ქალაქი, ეს მიწები მის მფლობელობაში გადასულიყო. ქალაქი ამ მიწებიდან ორმაგ სარგებლობას ელოდა: ერთის მხრივ პირუტყვით ვაჭრობას ხელს უწყობდა საძოვრების შექმნის სახით და მეორე მხრივ, მიწის საძოვრებად გაქირავებით ფულად შემოსავალს მიიღებდა.

1853 წ. თბილისის საქალაქო თვითმმართველობაში მიიღო სათანადო დადგენილება ავლაბრის და სხვა გარეუბნის მიწების შემოერთებაზე. ეს დადგენილება დაამტკიცა მთავარმართებელმა, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს დადგენილება სისრულეში იქნებოდა მოყვანილი მას შემდეგ, როცა დარწმუნდებოდნენ, რომ მთელი ეს მიწები სახელმწიფოსია და კერძო მესაკუთრის უფლებები არ არის შეზღუდული. ეს ეჭვი იმით იყო გამოწვეული, რომ თუმცა 1804 წელს ეს მიწები ჩამოერთვა მეფის გვარეულობას და გადაეცა სახელმწიფოს, მაგრამ მიწები ფაქტიურად არ ყოფილა გამიჯნული, ე.ი. სახაზინოდ. ახლად გადასული მიწები არ მიუზომიათ სათანადო უწყებისათვის, არ დაუნესებიათ საზღვრები და ამიტომ შესაძლებელი იყო, ქალაქისათვის გადაცემისას ამ მიწებთან ერთად მოყოლოდა ვისიმე კერძო საკუთრება, ხოლო იმპერატორის სახელმწიფოსათვის კერძო საკუთრება წმინდათა წმინდა იყო და მის დარღვევას ვერავინ გაბედავდა.

ამ საკითხის გადასაწყვეტად 1862 წლის 22 ივნისს დაიწყო ავლაბრის მიწების გამიჯვნა (რაზმეჟენიე), ე.ი. ხაზინისათვის მისი მიზომვა თანახმად 1804 წლის ბრძანებულებისა.

გენ. ვორონცოვის მიერ გამოყოფილმა კომისიამ საჭიროდ სცნო, ქ. თბილისის მისცა-



მნაცაკანის ხიდი, გერძნული ეკლესია, ნავთლული

მოდან სამოვრეზად 3881 დესეტიანა მინა. ამ ფართობის ანგარიშში ქ. თბილისს გადაეცა ავლაბრის ფართობიდან 2386 დეს. კომისიის დასკვნა მიწისნაცვალმა დაამტკიცა 1869 წლის 8 აპრილის და ამ დღიდან ავლაბარი შეუერთდა თბილისს.

მაგრამ საკითხი ასე იოლად ვერ გადაიჭრებოდა. საქმე ის არის, რომ ეს მიწები უპატრონო, ე.ი. ცარიელი როდი იყო. მასზე გლეხები ცხოვრობდნენ. ამიტომ მთელი ამ ფართობის საძოვრად გადაქცევა ქალაქს არ შეეძლო. დავა იმის შესახებ, თუ როგორ გამოეყენებია ქალაქს ეს მიწები, დიდხანს გაგრძელდა. მხოლოდ 1872 წლის 27 მარტს ქალაქის მმართველობამ დაადგინა: 1890 დესეტიანა მიწა გაცეცა იჯარით, როგორც საძოვარი, ხოლო 595 დესეტიანა დაეტოვებია ავლაბრის მცხოვრებთა მუქი მფლობელობაში. მაშინ ავლაბრის მცხოვრებლებმა სთხოვეს ქალაქის მმართველობას არ გაეცათ მიწები საჯარო ვაჭრობით, არამედ მათთვის მიეცათ იჯარით წელიწადში 1300 მანეთად. ქალაქის მმართველობამ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა და 1890

დესეტიანა საძოვარი ისევ ავლაბრელებს მისცა იჯარით.

აქ უნდა მივიღოთ მხედველობაში ერთი გარემოება. **ავლაბრის მიწები გამოსადეგი იყო არა მარტო საძოვრებად, დიდ ფართობზე იპოვებოდა ნედლეული გაჯის გამოსანავად...** როცა პირველი იჯარის ვადა გავიდა, ქალაქმა საგაჯე მიწები (ავლაბრის და კუკიის ნაკვეთები) გაჰყო ორ ნაწილად: პირველი საგაჯე ნაკვეთი 237 დესეტიანა იჯარით მიეცა (1877-დან 1882-წლამდე) კერძო პირებს წელიწადში 1000 მანეთად, მეორე საგაჯე ნაკვეთი 2147 დესეტიანა იჯარის მიეცა ავლაბრელთა რწმუნებულებს ფორაქოვს, იშხანოვს, ახნაზაროვს (1877 წლიდან 1880 წლამდე) 2000 მანეთად წელიწადში.

ჯერ კიდევ არ იყო ამ იჯარის ვადები გასული, როცა ქალაქის მმართველობამ დაადგინა, რომ მომავალში ავლაბრის მცხოვრებლებს არ მოეთხოვებათ ბეს შეტანა.

ამ დადგენილების საფუძველზე 19 ავლაბრელმა შეიტანა თხოვნა, რათა მათ მისცემოდათ იჯარით ორი ნაკვეთი: 1890 დესეტიანა და 257 დესეტიანა სამი წლის ვადით. ავლაბრელებმა ეს იჯარა მიიღეს. ქა-

ლაქის მმართველობამ მათ ნებადართო გამოეყენებინათ ეს ნაკვეთები როგორც სახნავ-სათესად, ისე საძოვრებად, ოღონდ აკრძალული ჰქონდათ გაჯის მოპოვება.

ეს უკვე ის პერიოდი, როცა ავლაბარში შესამჩნევი ხდება მოსახლეობის კლასობრივი დაყოფა. ნაწილმა მოსახლეობისა, რომლებიც მალე შეეგუენ ქალაქის ცხოვრებას, ხელი მიყვეს ალბ-მიცემლობას, მოიჯარადრობას, თანდათან გამდიდრდნენ, მეორე, უმეტესი ნაწილი პირიქით, უფრო გაღარიბდა. ეს მდიდარი ნაწილი სარგებლობს ავლაბრელთა სახელით და იჯარას იღებს მათი მინდობილობით, მათ შეადგინეს ე.წ. ავლაბრელ მოსახლეთა საზოგადოება, რომელიც ვითომდა თემის სახელს იჩემებს და ხალხის სახელით გამოდის, სინამდვილეში კი ეს უკვე ჩვეულებრივი კაპიტალისტური ფორმის ჩანასახია. **ვინ იყო ეს 19 ავლაბრელი, ვინც ხელთ იგდო ამოდენა მიწები?** არქივის მასალებში იპოვება მათი გვარები. აი ისინიც: **დავით ფორაქოვი, ავეტიქ იშხანოვი, შაქარ ტატულოვი, ყაზარ ახნაზაროვი, გეურქ ახნაზაროვი, არსენ ახნაზაროვი, დავით პოპოვი, გიორგი ბა-**



ინდუროვი, ტატო ბაინდუროვი, ბაზარ მაილოვი, მარტიროს ნუნუპაროვი, გიორგი გარდიშევი. გიგოლა სარიევი, მიხეილ აღნიაშვილი, დარჩო დარჩიევი, დარჩო მესროფოვი, დარჩო ტერტეროვი, ივანე არუთინოვი და პეპო აზარიევი.

ეს კომპანია ჯერ კიდევ ხალხის სახელით ლაპარაკობს, მაგრამ იჯარით აღებულ მიწებს, რა თქმა უნდა, სასპეკულაციოდ იყენებს და კარგ ფულსაც აკეთებს.

თანდათანობით ავლაბრის მცხოვრებთა დიფერენციაცია ძლიერდება. იმ 19 გვარს შორის, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, ზოგი უფრო მდიდარია და უნდა კიდევ უფრო მეტი ქონება იგდოს ხელთ. თუ პირველ სამ წელს 19 კაცს ჰქონდა მიწები იჯარით, მეორე სამ წელს ხალხის სახელით მხოლოდ 3 გამოდის: ავეტიქ იშხანოვი, დავით ფორაქოვი და შაქარ ტატულოვი. არქივში შენახულია ყაზარ მელქოს ძე ახნაზაროვის (19-თა რიცხვიდან) საჩივარი. იგი წერს, რომ იშხანოვმა და ტატულოვმა მოატყუეს ქალაქის მმართველობა, თითქოს ისინი და მათი მრწუნებელნი მესაქონლეობასა და მემინდვრობას მისდევენ. სინამდვილეში კი ავლაბარში ახლა სულ 9 კაცს ჰყავს პირუტყვი და ცხვარი, მხოლოდ ეს 9 კაცი მისდევს მემინდვრობასაც. მათ შორის ვართ ჩვენც, სამი ძმა ახნაზაროვი, რომლებსაც მთელს ავლაბარში ყველაზე უკეთესი და ძვირადღირებული კარმიდამო და ნაგებობანი გვაქვს, რაც 10.000 მანეთზე მეტი ღირს. ამის გარდა დიდძალი ცხვარი და პირუტყვი გვყავს. ჩვენ ავლაბრის მკვიდრნი ვართ, რამდენიმე თაობა ჩვენი გვარისა მეცხოველეობასა და მემინდვრობას მისთვის და არ ვითვლებით მოიჯარადრეთა შორის მხოლოდ იმიტომ, რომ საიჯარო ხელშეკრულების დადებისას თბილისში არ ვიყავით. მოიჯარადრებად კი არიან დალაქები, ქვისმთლენი და სხვა ასეთი პროფესიის ხალხი. სინამდვილეში ტატულოვი და იშხანოვი არიან მოიჯარადრეები, დანარჩენებმა მხოლოდ რწმუნება მისცეს მათ. ეს ორი კაცი იღებს მთელს შემოსავალს, ექსპლოატაციას უწევს მცხოვრებლებს. მარტო

9 მოსახლე ვაძლევთ მათ წელიწადში 2000 მანეთს (ე.ი. იმდენს, რამდენსაც მოიჯარადრეები უხდიან ქალაქს. მაშასადამე, დანარჩენი შემოსავალი მოიჯარადრეთა ჯიბეში მიდიოდა). ამის გარდა ისინი 1500 მანეთის თივას ყიდიან ყოველწლიურად, ხოლო რამდენს ახდევინებენ ჩინდარებს, თათრებს პირუტყვით მოვაჭრეთ და ქალაქის მცხოვრებთ, თქვენ თვითონ განსაჯეთო. მართლაც მოიჯარადრეებს დიდი შემოსავალი ჰქონდათ. ქალაქის მმართველობის დადგენილებით სულ პირუტყვზე კვირაში 15 კაპ. იღებდნენ. ეს კი დიდ თანხას შეადგენდა.

ამ განცხადებიდან ჩანს, როგორ მიდიან ნინ გამდიდრებული მოქალაქენი, როგორ ახორციელებენ ისინი კაპიტალისტური ურთიერთობის კანონს — კაცი კაცისთვის მგელიაო. ამ განცხადების შედეგად ქალაქის გამგეობამ ისარგებლა, რომ მოიჯარადრეებს იჯარის შეტანა დაუგვიანდათ და გააუქმა მათთან ხელშეკრულება. ახლა იჯარა მიეცა ძმებს ახნაზაროვებს, რომლებიც აგრეთვე სხვა ავლაბრელთა რწმუნებით მოქმედებდნენ.

ეს ფაქტი მოწმობს, რომ ავლაბრის თემი დაიშალა. საინტერესოა ამ მხრივ დავა, რომელიც ქალაქის დუმაში წარმოებდა. ხმოსანმა მ.გ. მაჩაბელმა განცხადება შეიტანა, რომ ქალაქის გამგეობამ ფაქტიურად გააუქმა ავლაბრის ვითომდა თემი და ამით ხელს უწყობს ხალხის გაპროლეტარებასო. მაგრამ დუმის სხდომაზე საბოლოოდ დადასტურდა, რომ ავლაბრის მოსახლეობა დაიქსაქსა კლასობრივად. გლეხების, ე.ი. ისეთთა რიცხვი, ვინც სოფლის მეურნეობას მისდევდა, მცირეა: ერთი თესავდა პურს და რამდენიმე მისდევდა მეცხოველეობას. დანარჩენი უკვე იყვნენ დურგლები, დალაქები, თერძები, ჩინოსნები, საპატიო მოქალაქენი და სხვ. მხოლოდ 40 ოჯახს აღმოაჩნდა სულ 264 მუშა პირუტყვი, 494 მენველი ძროხა და ხბო 7126 წვრილფეხა საქონელი, 89 ცხენი, 42 ვირი და 80 ღორი. 16 ოჯახს საერთოდ არავითარი პირუტყვი არ ჰყავდათ იმ ორმოცში შედიოდნენ ახნაზაროვები, რომლებსაც, ეტყობა, ეკუთვნოდა ამ

რაოდენობის დიდი უმეტესობა.

ქალაქის მმართველობამ სცნო, რომ ავლაბრის თემი არ არსებობს და დაადგინა — ავლაბრის მიწები გასცეს იჯარით კერძო პირებზე.

ავლაბრის მცხოვრებთა ასოციაცია — თუკი ასეთი შედეგება — ისარგებლებს იჯარით შეიტანს ბეს. მართლაც 1889 წლის 31 იანვარს მიწები იჯარით აიღო ასეთმა ასოციაციამ: ავეტიქ იშხანოვი, ყაზარ ახნაზაროვი, ნიკოლოზ ხალათოვი და გეურქ ადამოვი. მათ მიეცათ ნაკვეთი 1829 დესეტიანის რაოდენობით. შემდგომში სიტყვა „ასოციაცია“ შეიცვალა უფრო გასაგები „ამხანაგობით“. გაიზარდა საიჯარო ქირაც. 1891 წელს — 2500 მან; 1894 წელს — 2750 მან; 1897 წ. — 3100 მან.

1895 წელს იმპერატორის ბრძანებულებით ავლაბრის აღნიშნულ ფართობს გამოაკლდა 487 დესეტიანა, რაც სამხედრო უწყებას გადაეცა. დანარჩენი 1341 დესეტიანა ქალაქს უნდა გაეცა იჯარით. საჯარო ვაჭრობაზე ივანე მანველოვს დარჩა ნაკვეთი 4000 მანეთად, მაგრამ ქალაქმა ეს თანხა მცირედ ჩათვალა, საჯარო ვაჭრობის აქტი არ დაამტკიცა და გადაწყვიტა თვით ქალაქის გამგეობას ეწარმოებინა ამ მიწების ექსპლოატაცია.

აქვე შევეხოთ მოკლედ ნავთლულის ბედს. ნავთლული შედგებოდა თვით 1-ველ ნავთლულიდან და მისი გარეუბნიდან. ნავთლულის მცხოვრებთა რიცხვი 1846 წელს, როგორც გენერალ-მაიორ ერმოლოვის მოხსენებიდან ჩანს, შეადგენდა 200 ოჯახს. ნავთლულში იყო კერძო სახლი — 160, სახელმწიფო სახლი — 10, სამიკიტნო — 27, ვენახი — 22, ნისქვილი — 6, აგურის ქარხანა (კუსტარული) — 4. სამიკიტნოები უხდიდნენ ხაზინას წელიწადში 25 მანეთი ვერცხლით, ხოლო დანარჩენი არაფერს იხდიდნენ.


ნავთლული ემორჩილებოდა სართიქალას, რომელიც შორს იყო. გენ. ერმოლოვი მოითხოვდა ნავთლულის შეერთებას თბილისზე. ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა და ნავთლულიც თბილისის ფარგლებში აღმოჩნდა.

**ბ. ნუსუბიკი,
ბ. შარაშიკი**



ივანე გუგუნიანი — 165

ფერმწერი, ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი ქართველი პეიზაჟისტი, პორტრეტისტი, მხატვარი-ლირიკოსი ივანე გიორგის ძე გუგუნიანი მოსკოვის მხატვართა ამხანაგობისა და საზოგადოება „სრედას“ ერთ-ერთი დამაარსებელი გახლდათ. ივანე გუგუნიანი ქართულ საპეიზაჟო ხელოვნებას შესამჩნევი ღვაწლი დასდო ისე, რომ თვითონ, შესაძლოა, ამაზე არასოდეს არც დაფიქრებულა. იგი იყო პირველი ქართველი მხატვარი, რომელმაც მაშინ, როდესაც ჯერ არც გიგო გაბაშვილი და არც, მით უმეტეს, მოსე თოიძე და სხვა ქართველი მხატვრები საქართველოს ბუნების მშვენიერებას საგანგებოდ არ ასახავდნენ, ზაფხულობით ჩამოდიოდა მშობლიურ ძიითში, იხატავდა გურიის მთაგორიან ლანდშაფტებს და მათ მოსკოვის მაცურებლის სამსჯავროზე ჰყენდა.



ივანე გუგუნიანი,
ტ.ი. რიბაპერის ნახატი

მხატვარი 1860 წელს მოსკოვში დაიბადა და სიკვდილამდე — 1919 წლამდე იქ ცხოვრობდა, მაგრამ თითქმის არც ერთ ზაფხულს არ გამოტოვებდა, რომ ძიითს არ სწევოდა, გურიაში მამაპაპეულ კერასთან რამდენიმე ხანი არ გაეტარებინა. მთელი მისი ცხოვრება განუყრელად იყო დაკავშირებული არა მარტო მამასთან, ბებიასა და პაპასთან, არამედ იმ დებთან და ძმასთან, რომლებიც მის მამას მეორე მეუღლესთან — მაკა შალიკაშვილთან ეყოლა. ივანე იყო მათი თუმცა შორეული, მაგრამ გულის სიღრმით მზრუნველი ძმა.

სამშობლოსაგან მოშორებული მხატვარი ქართულ თემაზე შექმნილმა ნაწარმოებებმა როგორც შინაარსის, ისე მხატვრული ხედვის თვალსაზრისით, ღრმად ეროვნულ შემოქმედად აქცია. საკმარისია, გავიხსენოთ ის პორტრეტები, რომლებშიც გერი დები ჰყავს ასახული. მათი სახით **მხატვარმა ქართველი ქალების განუმეორებელი სახეები მოგვცა. მით უფრო ეს ითქმის „სალომის პორტრეტის“ შესახებ, რომელსაც დამსახურებულად დაირქვა „ქართველი მადონას“ სახელი ქართველი ქალის გუნებისა და სილამაზის უტყუარად გადმოცემის გამო.**

ქართველი ქალის ასეთი პოეტური სახე XIX საუკუნის ქართულ მხატვრობას არ ახსოვს. ეს, ხსენებულ თემაზე არსებითად ერთადერთი და უშესანიშნავესი ქმნილებაა.

ღრმად შთამბეჭდავი იყო ძიითში გატარებული ბავშვობის წლები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეროვნული მხატვრის ჩამოყალიბებაში.

ამაზე მიგვითითებს, აგრეთვე, მოსკოველი მხატვრებისა და იმ საზოგადო მოღვაწეების მოგონებანი, რომლებიც მეგობრობდნენ ივანე გუგუნიანს ან კარგად იცნობდნენ. მათ წარმოდგენაში ივანე მკვიდრი მოსკოველი იყო, მაგრამ, როგორც იუნონი ამბობდა, **„Этот коренной москвич в нашем представлении всегда вопрошал Грузию со всеми ее прелестями“.**

ამავე თვალსაზრისით ფრიად საგულისხმოა საკავშირო სამხატვრო აკადემიის წევრ-კორეპონდენტის, ცნობილი ხელოვნებათმცოდნისა და საზოგადო მოღვაწის — **ვიქტორ ლობანოვის** მოგონება: „Хотя И. Г. Гугунава постоянно жил и работал в Москве, но его неизменная любовь и нежность к родине учили нас, тогдашних молодых москвичей, глубже понимать и ценить красоты и обаяния солнечной Грузии“.

ვ. ლობანოვს სხვა გარემოებებთან ერთად უდავოდ მხედველობაში აქვს ივანე გუგუნიანს ის პეიზაჟები და ეტიუდები, რომლებსაც მხატვარი საქართველოში პერიოდულად ყოფნის დროს ქმნიდა და რომლებსაც სამშობლოსადმი ღრმა და სევდიანი სიყვარულის კვალი ატყვია. ლობანოვის გადმოცემით, გუგუნიანი მათ მუდამ განსაკუთრე-

ბული სასოებით უვლიდა და, როდესაც გამოფენაზე მყიდველი გამოუჩნდებოდა, გულისტკივილით გაეყრებოდა ხოლმე.

მისი მეგობრები და ნაცნობები იმასაც არ ივინყებენ, თუ როგორ ამშვენებდა ივანეს თავისებური გარეგნობა ყოველგვარ თავყრილობას; როგორი წესრიგი შეჰქონდა მას ქართული თამალობით და მხიარულება ქართული ცეკვითა და სიმღერით.

ბავშვობისას მხატვარზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით რაც კი უამბიათ ან უჩვენებიათ. სოფელ ძიითთან სულ ახლოს არის ნასაკირალის ეს ისტორიული ადგილები. მაშინ აჯანყების კვალი და მოგონება ხალხში ჯერ განელეებული არ იყო.

მხატვრის პაპის — ჩითან გუგუნიანსა და ჩითანის ძმის — დათა გუგუნიანს ოჯახები გურიაში სახელმწიფოებრივი ყოფილან მოლექსეობითა და ქართული სიმღერის მდიდარი ტრადიციების განვითარებით. ამ ოჯახებს პროგრესული ლიტერატურული ცხოვრება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი



იდევით გატაცება ახასიათებდათ. ამას ერთვოდა გიორგი გუგუნავას დემოკრატიული შეხედულებები, რომელთა გამოც რუსეთში სამხედრო სამსახურიდან გამოსვლაც კი მოუხდა. ოჯახის პროგრესულმა ლიტერატურულმა ცხოვრებამ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და დემოკრატიული იდეებით გამსჭვალულ ადამიანებთან სიახლოვემ უდავოდ იქონია ზემოქმედება მხატვრის მომავალ მსოფლმხედველობასა და პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაზე; მისი ხელოვნების დემოკრატიული და რეალისტური ხასიათიც ნაწილობრივ სწორედ ამან განაპირობა.

მხატვრის მეგობართა გადმოცემებით ვიგებთ, რომ ბავშვობის შთაბეჭდილებებიდან მას ყოველთვის დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა პაპის ძმის — დათა გუგუნავას გახსენება. იგი ე. წ. მოსკოვურ საღამოებზე, მეგობართა წრეში, თავის სამშობლოს მოგონებებთან დაკავშირებით მუდამ განსაკუთრებული ხალისით ჰყვებოდა დათა გუგუნავას ამბავს.

დათა გუგუნავა მამა იყო საქართველოში მეტად პოპულარული ისტორიული პოემის „თამარიანის“ ავტორის სიმონ გუგუნავასი. ცხადია, იგი ამის გამოც იმსახურებს გარკვეულ პატივისცემას. მაგრამ დათა გუგუნავა ამისგან დამოუკიდებლად იქცევდა ყურადღებას. გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყებას იგი ამბაკო შალიკაშვილთან ერთად მეთაურობდა.

მხატვარ გუგუნავას მნიშვნელოვან, ქართული ფერწარის ისტორიის თვალსაზრისით, თავისთავად ისაა, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლების დამლევს, როდესაც ქართველ მხატვართაგან პეიზაჟში, როგორც დამოუკიდებელ ჟანრში, საბანგაბოდ ჯერ არავინ მუშაობდა, იგი რუსეთში ჰყვანდა საქართველოს გუნების სილამაზის ამსახველ სურათებს.

ხოლო, ვინაიდან მისი პირველი ქართული პეიზაჟები სიყრმეშია შექმნილი, ცხადია, ისინი საქართველოში გატარებული ბავშვობის შთაბეჭდილებათა ძალას უნდა მიენეროს.

ამგვარად, პატარა ვანო დედამ რუსეთში წაიყვანა სამშობლოში მიღებული დიდი შთაბეჭდილებებით. მან თან წაიღო გულწრფელი ბავშვური სიყვარული კეკლუცი საქართველოსი, მშობლიური სახლისა, სამთაგანის მიდამოს რომ ამშვენებდა, უტკბილესი მოგონებები ახლობლებისა და ნათესავებისა, რომლებიც ჭეშმარიტი გულისტკივილით ემშვიდობებოდნენ. ბავშვმარამდენიმე წელიწადში მოასწრო არა მარტო ქართული ენის კარგად დაუფლება, არამედ ქართული ზნეჩვეულების ათვისება-შეყვარებაც. ეს გრძნობა სიკვდილამდე მისი განუყრელი თანამგზავრი იყო. მან თან წარიტანა ის კაემანიც, მის შთამბეჭდავ სულს მამის ოჯახიდან იძულებით დაშორების გამო რომ აჰყვა და მისი უპრეტენზიო პოეტური ტილოების ძირითად თვისებად გადაიქცა.

1875 წელს იგი მოსკოვის ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში მოენყო, რომელიც 1881 წელს დაასრულა. ეს სასწავლებელი, განსაკუთრებით 60-70-იან წლებში, უაღრესად დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამხატვრო კერა იყო. მაშინ, როდესაც პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის ხელმძღვანელობა თვით 70-80-იან წლებშიც კი რუსულ ხელოვნებაში რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის გამომხატველ „პერედვიჟნიკებს“ აღმაცერად უყურებდა და ახლოს არ იკარებდა, ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების მოსკოვის სასწავლებელში წამყვან პედაგოგებად იყვნენ რუსული დემოკრატიული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ვ. პეროვი, ი. პრიანიშნიკოვი, ა. სავრასოვი და სხვები.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსკოვის ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელმა კრიტიკული რეალიზმის აკვნის როლი შეასრულა 50-60-იან წლებში. პირველად აქ მიეცა გასაქანი თანამედროვეობის თემატიკას, აქ დაუშვეს გამოფენებზე ხელოვნების ისეთი ნიმუშები, რომელნიც მეფის რუსეთის დახავსებულ ბიუროკრატიულ რეჟიმს ამხედდნენ. ცხადია, ყოველივე ეს ერთ დღეს არ აღმოცენებულა. მას ჰქონდა თავი-

სი გზა, რომელიც ადრე საყოფაცხოვრებო ჟანრის განვითარებით ხასიათდებოდა. მაშინ ამ ჟანრის ნიშან-თვისებას წარმოადგენდა ერთგვარი ეთნოგრაფიული და სენტიმენტალური იერი. 60-იან წლებში მას რუსულ ხელოვნებაში სოციალური მიზანდასახულობა და საბრძოლო ფუნქციები დაეკისრა. განვითარების ეს გზა წითელი ზოლივით გასდევს მოსკოვის ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებლის ისტორიას.

იმ დროს, როდესაც პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის მოსწავლეებს შორის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით გამსჭვალული პირები კრამსკოის მეთაურობით კლასიციზტური რეჟიმის წინააღმდეგ ფარულად შეთქმულებას ამზადებდნენ და თავისუფალი ხელოვნების ლეგალიზებისთვის იღვწოდნენ, რომელიც რუსული ხელოვნების ისტორიაში 13 კონკურენტის შეთქმულების სახელით არის ცნობილი (1863 წ.), მოსკოვის ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში ეს უკვე პრაქტიკულად იყო განხორციელებული.

საქმე ის არის, რომ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიას უშუალოდ სასახლე აფინანსებდა და აკონტროლებდა, მოსკოვის ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი კი ასეთი „ყურადღებით“ არ იყო „განებიერებული“. ამავე დროს, ოფიციალური წრეები მას უყურებდნენ, როგორც ნაკლები მნიშვნელობის დაწესებულებას და ყოველივე ეს აქ შესაფერის ნიადაგს ქმნიდა თავისუფალი აზრის განვითარებისთვის.

მოსკოვის ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში ივანე გუგუნავა მეცადინეობდა მაშინ, როდესაც ნატურის კლასის პროფესორად ვ. პეროვი მუშაობდა, პეიზაჟის კლასს კი ა. სავრასოვი ხელმძღვანელობდა. ეს ყველაზე ნაყოფიერ და მნიშვნელოვან ეტაპად ითვლება ამ სასწავლებლის არსებობის (1833-1918 წლები) ისტორიაში.

დაცულია გუგუნავას ზოგიერთი ისეთი ნაწარმოების რეპროდუქცია, რომელიც ავტორის წერილობითი განმარტების გარეშეც მეტყ-



ველებს მის პოზიციაზე ხელოვნებაში. ამკარა ხდება, რომ იგი, თავის მეგობრებთან ერთად, პეროვის ხელოვნების თაყვანისმცემელი და მიმდევარი უნდა ყოფილიყო. საკმარისია, დავასახელოთ „ეგორის დღე“, რომელშიც მხატვარი პეროვისებურად ამხელს რევოლუციამდელი რუსეთის გლეხობის სიდუხჭირესა და ჩამორჩენილობას, მონურ ცრუმორწმუნეობასა და სიბეჩავეს. ამ სურათის მიხედვით, ივანე გუგუნავა პეროვისა და საერთოდ არდებული პერედვიჟნიკობის ტრადიციათა ერთგული მიმდევარია. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ „ეგორის დღე“ მას შესრულებული აქვს 1890 წელს, ანუ მაშინ, როდესაც რუსულ ხელოვნებაში დემოკრატიული რეალიზმის პარალელურად ისახებოდა და ვითარდებოდა საბრძოლო სოციალური ინტერესებისგან დაშორებული მიმართულებები. ეს გარემოება, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რამდენადაც მეტყველებს მეტროპოლი დემოკრატიული რეალიზმისადმი გუგუნავას მისწრაფებაზე და კერძოდ იმ სკოლისადმი განუხრელ ერთგულებაზე, რომელსაც საძირკველი პეროვმა ჩაუყარა.

ივანე გუგუნავა პეროვის კლასში სწავლობდა მოსკოვის ფერწერის სასწავლებელში ყოფნის ბოლო — 1879-81 წლებში, რადგან მოსწავლე მხოლოდ იმის შემდეგ გადაჰყავდათ ნატურის კლასში, როდესაც იგი სხვა კლასებს გაივლიდა. ადრე გუგუნავას ჰქონდა ბედნიერება, დიდი რუსი პეიზაჟისტის — ალექსეი სავრასოვის მოწაფე ყოფილიყო. ჩვენ არ შეგვიძლია, არ შევჩერდეთ სავრასოვზე, რამდენადაც მისი გავლენა ივანე გუგუნავას შემოქმედების ფორმირებაზე მეტად თვალსაჩინოდ ჩანს.

რუსული პეიზაჟის, როგორც დამოუკიდებელი ჟანრის, ისტორია XVIII საუკუნიდან იწყება. პეიზაჟისტების ბევრი თაობა უნახავს რუსეთს, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევრამდენ ეს ჟანრი ეროვნული, სპეციალურად რუსული ხელოვნების სიმალლემდე არ ასულა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძო-



„ჩონგურზე დამკვრალი ქართველი ქალი“

ლამ დიდმნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. წამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული ხელოვნების მიმდევარი პეიზაჟისტების თაობა. მან ასახვის საგნად რუსული სოფლის, რუსეთის ტყეებისა და ტრამალების სილამაზე გაიხადა. მათ შორის ა. სავრასოვი გამოირჩევა ეროვნული ფორმის შეგრძნების განსაკუთრებული მკაფიობით.

ა. სავრასოვმა ბევრ ახალგაზრდას აუხილა თვალი და შეაყვარა მშობლიური ბუნების თავისებური სილამაზე. მას ისინი თვითონ დაჰყავდა ტყეებსა და მინდვრებში სახატავად და მათთან ერთად თვითონაც გატაცებით მუშაობდა.

ნაზი, ლირიკული განწყობილები-სა და კრისტალური სულის ივანე გუგუნავა გატაცებით მუშაობდა სახელოვანი მასწავლებლის მითითებებით. სავრასოვის შთამაგონებელი ზეგავლენით მან მთელი არსებით შეიყვარა რუსული ბუნების თავისებური, ბურუსოვანი და მოვერცხლისფერო სილამაზე, გაზაფხულის პირველი დღეების დაუვინყარი სიმშვენიერე. თითქმის 20 წლის შემდეგ, როდესაც ივანე გუგუნავა უკვე საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო, უთუოდ სავრასოვის

შთამაგონებელი ხელოვნება ედგა თვალწინ, როდესაც ხატავდა „ნაადრე თოვლს“, „შემოდგომას“, „მოსკოვურ ეზოებს“ და სხვ.

სპეციალურად საპეიზაჟო მხატვრობაში დახელოვნებისათვის ივანე გუგუნავას სავრასოვთან მიტანილობას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მისი შემოქმედებითი ფორმირების თვალსაზრისით, ისა ქართულ ფარწარში ახალი სიტყვის თქმისათვისაც.

ივანე გუგუნავამ ქართული საპეიზაჟო ხელოვნებას შესამჩნევი ღვაწლი დასდო ისე, რომ თვითონ, შესაძლოა, ამაზე არასოდეს არც დაფიქრებულა. იგი იყო პირველი ქართველი მხატვარი, რომელმაც მაშინ, როდესაც ჯერ არც გიგო გაბაშვილი და არც, მით უმეტეს, მოსე თოიძე და სხვა ქართველი მხატვრები საქართველოს ბუნების მშვენიერებას საგანგებოდ არ ასახავდნენ, ზაფხულობით ჩამოდიოდა მშობლიურ ძითიში, იხატავდა გურიის მთაგორიან ლანდშაფტებს და მათ მოსკოვის მაყურებლის სამსჯავროზე ჰფენდა.

ივანე გუგუნავას პირველი ქართული პეიზაჟები 1876, 1877 წლე-



ბით თარიღება. აქედან მოყოლებული მოსკოველი და პეტერბურგელი მაყურებელი გამოფენებზე ხედავდა გუგუნავას პეიზაჟებს, რომლებშიც სამშობლოს დაშორებული მხატვარი მისდამი უნაზეს სიყვარულს გამოხატავდა.

1877 წლიდან მოსკოვის ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში, პეროვის ინიციატივით, ტრადიციად გადაიქცა მოსწავლეთა შემოქმედებითი გამოფენები.

ივანე გუგუნავას მოსწავლეთა პირველ გამოფენაზევე ჰქონია საქართველოს ბუნების სილამაზის ამსახველი ეტიუდი — პეიზაჟები, რაც ქართული საპეიზაჟო ხელოვნების ისტორიისათვის ფრიად საყურადღებოა. დღემდე გუგუნავას მიერ რუსეთში გამოფენილ მრავალრიცხოვან ქართულ პეიზაჟს შორის ჩვენ მიერ ნაპოვნია რამდენიმე რეპროდუქცია და ფოტო. ორიგინალებიდან კი მხოლოდ ერთი. იგი უნდა გამოხატავდეს „შემოღამებას ბახვის წყალზე“. ამჟამად ეს ნაწარმოები დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

1879-80 სასწავლო წელს ივანე გუგუნავამ დაამთავრა მოსკოვის ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებლის კურსი, თუმცა 1881 წლის სექტემბრამდე ამ სასწავლებელთან ისევ იყო დაკავშირებული. ამ დროს იგი შეუდგა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მონყობისათვის მზადებას. ამ წლის ზაფხულის თვეები მან ჩვეულებისამებრ საქართველოში გაატარა. **მას, როგორც პეროვის მოწაფეს, თავის პირდაპირ მოვალეობად მიაჩნდა გლექსკაცის ყოფა-ცხოვრებაზე დაკვირვება და მისი მძიმე მდგომარეობის ასახვა. ძიებითში მას მეტწილად ხედავდნენ სახატავი მასალებით სოფლის ფენშიშველა და პერანგშემოკონკილ ბავშვებს შორის. პატარები გარს უტრიალებდნენ, გაოცებული აკვირდებოდნენ, როგორ გამოჰყავდა ამა თუ იმ პატარა ცნობისმოყვარის გამოხატულება ქალაქზე.** მოხუცი თანასოფლებელი აღნიშნავენ იმასაც, რომ ივანე ხშირად ხატავდა მათხოვრებს, რომლებიც მისი მამის — გიორგი გუგუნავას მიერ სპეციალურად

მონყობილ თავშესაფარში იყრიდნენ თავს. აქ მათ კვებავდნენ და უვლიდნენ, მაშინ შეიქმნა ტილოები: **„მათხოვარი ესერა“, „მრეცხავი“, „მენისქვილე“, „მებორნე სუფსაზე“** და სხვ.

1881 წლის 30 აპრილს (ძვ. სტილით) ივანემ განცხადებით მიმართა სამხატვრო აკადემიას ჩარიცხვის თაობაზე. ვიდრე აკადემიაში გატარებულ წლებზე ვიტყვოდეთ, ინტერესს არაა მოკლებული იმის აღნიშვნაც, რომ მოსკოვის ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში ყოფნისას ივანე გუგუნავას ძლიერ დაუახლოვდა შემდგომად სახელგანთქმული რუსი მხატვარი **მიხეილ ნესტეროვი**. ნესტეროვს უთუოდ იზიდავდა მოხდენილი გარეგნობისა და კეთილშობილი იერის, თავისებური დახვეწილი ზრდილობითა და თავაზიანობით აღსავსე ივანე გუგუნავა, რომელიც, ამასთანავე, თავისი ფიცხელი ტემპერამენტით ისე გამოირჩეოდა სხვა მოსწავლეებისაგან, რომ ამის შეუმჩნეველობა ყოვლად შეუძლებელი იყო. რაც უფრო გადიოდა დრო, იმდენად მეტად უახლოვდებოდნენ ისინი ერთმანეთს და ბოლოს დამოყვრდნენ კიდევ.

ივანემ პეტერბურგში სწავლის გაგრძელება მტკიცედ გადაწყვიტა ჯერ კიდევ მოსკოვის სასწავლებელში ყოფნის დროს, რის შესახებაც მას ხშირად ჰქონდა ლაპარაკი **მიხეილ ნესტეროვთან**. ახალგაზრდები ბუნდოვნად გეგმავდნენ მომავლის პერსპექტივებს. მათ გადაწყვიტეს, განზრახვა გაემხილათ ვასილ პეროვისათვის, რამდენადაც უფრო ავტორიტეტულ მრჩევლად არავინ ეგულებოდათ. ეს მისია ნესტეროვმა იკისრა. ინახულა ძვირფასი მასწავლებელი, მორიდებით, სხაპასხუპით უამბო თავისი და მეგობრების განზრახვა. ეგონა, პეროვის შექებას დაიმსახურებდა, მაგრამ მოხდა სულ სხვა — პეროვმა დინჯად და გულგრილად განუმარტა: თქვენთვის აკადემიაში სწავლის გაგრძელება ნაადრევია და საერთოდაც, აკადემიასთან დაკავშირებას მაინცდამაინც აზრი არა აქვსო. ივანე და მასთან ერთად რამდენიმე სხვა ამხანაგიც გულისფანცქალით ელოდნენ, თუ რა ამბავს გამოიტანდა პეროვთან შესუ-

ლი ნესტეროვი, გარეთ გამოსულს შემოეხვივნენ, ჯერ გააკვირვათ ესოდენ მოულოდნელმა პასუხმა, მერე გააჯავრათ კიდევ. ყოველ შემთხვევაში, მათ ვერ გაიგეს პეროვის აკადემიისადმი უარყოფითი დამოკიდებულების აზრი. გადაწყვიტეს, ამ ერთადერთ შემთხვევაში არ დაეჯერებინათ დიდი მასწავლებლისთვის და გამგზავრებულიყვნენ პეტერბურგის აკადემიისკენ.

1881 წლის შემოდგომაზე, როგორც ივანე გუგუნავა, ისე მიხეილ ნესტეროვი უკვე აკადემიის მოსწავლეთა შორის იყვნენ. ისინი გულისფანცქალით შეუდგნენ ახალ ცხოვრებას. ეგონათ, სამხატვრო აკადემია მათ, როგორც შემოქმედთ, დიდად გაზრდიდა, ბევრად მეტს მისცემდა, ვიდრე მოსკოვის ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების „პროვინციული“ სასწავლებელი, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. აქ დახვდათ უკვე დიდი ხნის ფესვგამდგარი, გამომშრალი კლასიციისტიური მეთოდი, რომელიც პეროვისა და სავრასოვის კლასების შემდეგ, ცხადია, ძნელი შესაგუებელი უნდა ყოფილიყო. ჩისტიაკოვი რომ არა, რომელიც, აკადემიის რეჟიმის მიუხედავად, მოსწავლეებს გულდასმით ასწავლიდა ცოცხალი სინამდვილის მხატვრულად ათვისების ხერხებს, ისე აკადემიაში ყოფნას აზრი თითქმის ეკარგებოდა.

ახალგაზრდებმა აკადემიის შემოქმედებითი ცხოვრების სიმშრალე პირველი დღეებიდანვე იგრძნეს. მოსკოვის სასწავლებელმა ისინი თავიდანვე თავისუფალ შემოქმედებით სუნთქვას შეაჩვია.

პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მონყობის პირველსავე თვეში ივანე გუგუნავას ცხოვრებაში ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. მან პირველკურსელებს შორის თავისი უცნობი თანამემამულე ნახა. ერთ-ერთი მეცადინეობის დროს, ხატვის გაკვეთილზე ყური მოჰკრა რუსი მოსწავლეების ლაპარაკს კავკასიიდან ჩამოსული ყმანვილი კაცის შესახებ, რომლის ნახატსაც მათი ყურადღება მიექცია. ივანე დაინტერესდა, კითხვა-კითხვით გაიგო, თუ რომელ მოსწავლეზე იყო ლაპარაკი, მივიდა მასთან ახლოს, დააკვირდა

მას და მის ნახატს. ძლიერ სურდა გამოლაპარაკება და შეტყობა, ვინ იყო იგი, ქართველი თუ არა, მაგრამ გამბედაობა არ ეყო. უცნობი ყმანვილი ხატვას განაგრძობდა. მაგრამ ინსტიქტურად იგრძნო ვილაცის სიახლოვე, მოიხედა მისკენ და კახელეზისათვის დამახასიათებელი ალალი პირდაპირობით მიმართა: ბიჭო, ქართველი ხომ არა ხარო? ეს იყო ჩვენი დაუფინყარი ხელოვანი **რომანოზ გველესიანი**. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ სამშობლოს მონყურებული ივანესათვის რა სიხარული უნდა მოეგვარა რომანოზ გველესიანის სახით აკადემიაში პირველი ქართველის გაცნობას. ცხადია, მათ შორის გაიბა ისეთი თბილი ურთიერთობა, როგორც ახასიათებდათ მაშინ სამხრეთელ „ზემილიაკებს“ საერთოდ და მით უფრო პატარა საქართველოს თანამემამულეებს. სამი წლის განმავლობაში იყვნენ ერთსა და იმავე შენობაში, იყოფდნენ ჭირსა და ლხინს. რომანოზი ხშირად ავადმყოფობდა, ვერ იტანდა ჩრდილოეთის სუსხიან ჰავას მით უფრო, რომ ეკონომიურადც უჭირდა. 1884 წელს რომანოზი სამშობლოს დაუბრუნდა. მისი ჯანმრთელობა ისე შერყეულიყო, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ ენერა. როგორც ცნობილია, იგი იმავე 1884 წელს საქართველოში გარდაიცვალა ჭლეტით.

სამწუხაროდ, ჩვენ ამ ორი კარგი ქართველი მხატვრის ურთიერთობის შესახებ მეტი ვერაფერი გავარკვიეთ. ვინ იცის, რამდენი ტკილიად მოსაგონარი დღე გაუტარებიათ, სამშობლოს მონატრებულებს, რამდენი გულისტკივილი გაუზიარებიათ ერთმანეთისათვის, რამდენი რამ დაუხატავთ ერთად, რამდენ ყმანვილკაცურ სიხარულს ზიარებიათ.

რომანოზ გველესიანის მცირერიცხოვანი, მაგრამ მაღლიანი ტილოები ბევრ კარგს გვაგულისხმებინებენ მის პიროვნულ ღირსებათა შესახებ. საკმარისია, გავიხსენოთ მხატვარ ალექსანდრე ბერიძის პორტრეტი, იგი მეტყველებს რომანოზის აზრითა და გრძნობით სავსე ბუნებაზე. ცხადია, ასეთ ადამიანთან ურთიერთობის წერილობითი საბუთები რომ დარჩენილიყო, ბევრ საინტერესოს გაგვიმხელდა

ამ ორი მეტად მნიშვნელოვანი პიროვნების შესახებ.

1882 წლის ზამთრის თვეებში ივანე გუგუნავამ მძიმე ავადმყოფობა — მუცლის ტიფი გადაიტანა. ამხანაგებს არც კი ჰქონდათ მისი გადარჩენის იმედი. ნავადმყოფარს ექიმებმა ურჩიეს პეტერბურგის დროებით მიტოვება და ჰაერის გამოცვლა. 1882 წლის 9 მარტის თარიღით გაცემულ საექიმო ცნობაში ვკითხულობთ: „ამით ვადასტურებთ, რომ სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა, თავადმა ივანე გიორგის ძე გუგუნავამ მუცლის ტიფით ავადმყოფობის შემდეგ ერთხანზე პეტერბურგის ჰავასთან შედარებით უკეთეს კლიმატურ პირობებში უნდა იცხოვროს. ხელს აწერს საავადმყოფოს ორდინატორი, ექიმი...“ ივანე სწავლაში ჩამორჩენის შიშით არ მიჰყვა ექიმთა რჩევას, მაისის ბოლომდე დარჩა პეტერბურგში, ზაფხულისათვის კი საქართველოში ჩამოსვლა და მამაპაპეულ სოფელში დასვენება გადაწყვიტა.

ის-ის იყო სასწავლო წელი თავდებოდა, რომ მოვიდა პეროვის მძიმე ავადმყოფობის ამბავი. ამან სევდა მოჰგვარა მის მონაფეებსა და მეგობრებს. ივანე და მისი მეგობრები სასწრაფოდ გაემგზავრნენ მოსკოვში, რათა ძვირფასი მასწავლებლისთვის სიკვდილამდე მიესწროთ, მაგრამ ცოცხალი არ დაუხვდათ.

ივანე გუგუნავა მეტწილად რუსეთში ცხოვრობდა, მაგრამ საქართველოსთან პერიოდულად დამოკიდებულებამ იგი თვითონაც მოზიარე გახადა მამის ოჯახისა და მისი სოციალური წრის ინტერესებისა. 1901 წლიდან ივანეს სახელი ჩნდება მოსკოველ მხატვართა ამხანაგობის, საზოგადოება „სრედასა“ და სხვა გაერთიანებათა გამოფენების კატალოგებში. ამავე დროს მოსკოველ მხატვართა VIII და IX გამოფენებზე იგი ზედიზედ მხოლოდ საქართველოში შესრულებულ ნაწარმოებებს ფენს. VIII გამოფენაზე წარმოუდგენია: „ზამთრის საღამო“, „მთის მწვერვალები“, „ოზურგეთის გზაზე“, „გაზაფხული“; IX გამოფენაზე კი — სამშობლოში შესრულებული „დილისა“ და „საღამოს“ ამსახველი კომპოზიციები.

1897 წელს მამის გარდაცვალების ცნობა რომ მიუღია, ივანე ავადყოფილა და დაკრძალვაზე დასწრება არ შესძლებია. იგი მამის გარდაცვალების დღიდან მხოლოდ ორი კვირის შემდეგ ჩასულა ძიმიტში. როდესაც ძიმიტს უახლოვდებოდა, უთუოდ ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მამა ათიოდე დღის დაკრძალული იქნებოდა. ადვილი წარმოსადგენია მისი გაცეცხება, როდესაც გარდაცვლილი მამის ნეშტი ჯერ ისევ ოჯახში დახვდა. ყველა ღონე ეხმარათ, რომ მამა უფროსი ვაჟის ჩამოსვლამდე არ დაემარხათ.

მხატვრის მამა ქართული ფეოდალური საზოგადოების იმ პროგრესულ ნაწილს ეკუთვნოდა, რომელმაც საქართველოში რუსული მმართველობის გაძლიერება-განმტკიცებას შეუწყო ხელი. **„ქართული ფეოდალური საზოგადოების ამ ნაწილს ღრმად სწამდა საქართველოში რუსეთის შემოსვლის პროგრესული მნიშვნელობა და გულწრფელი მომხრე იყო რუსეთის დამკვიდრების ამიერკავკასიაში. ამიტომაც იყო, რომ ქართული ფეოდალური საზოგადოების ეს ნაწილი, თუ ერთი მხრივ, ამ ახალი რეჟიმის სიმახინჯეთა წინააღმდეგ პროტესტით გამოდიოდა, მეორე მხრივ, ამავე ხელისუფლებასთან ერთად ამიერკავკასიაში რუსეთის დამკვიდრებისათვის თავდაუზოგავად ებრძოდა ირანს, ოსმალეთსა და ყველა მათ აგენტს“** (ნ. ბერძენიშვილი).

ივანე გუგუნავა მამის ოჯახის მეშვეობით უკავშირდებოდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას, განიცდიდა მის ტკივილებს. ყოველივე ამან ქართულ თემაზე შექმნილ მის სურათებს სრულიად გარკვეული ნაღვლიანი დალი დაასვა.

ასეთ ისტორიულ ვითარებაში წარმოიშვა ივანე გუგუნავას ქართული ნაწარმოებები, მათზე მკაფიოდ არის არეკლილი მამისეული ოჯახისა და წრის დამახასიათებელი ტკივილები. სწორედ ესაა ივანე გუგუნავას ქართული ტილოების ისტორიული მნიშვნელობა, ამით იჭერს იგი გარკვეულ ადგილს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი და მხატვრული აზროვნების ისტორიაში.



დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობას განვითარების ახალი თვალსაზრისი გააჩნია

ქართველი ხალხისთვის სოფლის მეურნეობა, ისტორიული მემკვიდრეობაა, რომელსაც იგი საუკუნეების მანძილზე რუდუნებით ეპყრობოდა. აღიარებულია, რომ საქართველო წარმოადგენს ხორბლისა და ვაზის ერთ-ერთ სამშობლოს. აქ მრავალი საუკუნის განმავლობაში ხარობს ამ კულტურათა ჯიშები, რომელთა ბადალი მსოფლიოში არ მოიპოვება; ასევე, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მოიძებნება ხევისურული ძროხის, თუშური ცხვრის, მეგრული თხის, კახური ღორის, ქართული რუხი გრძელხორთუმიანი ფუტკრის მსგავსი. ქართველმა მეცნიერებმა გამოიყვანეს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ახალი ჯიშები და ჰიბრიდები, შექმნეს მათი მოვლა-მოყვანის პროგრესული ტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობის გაძღოლის მეცნიერული სისტემა, რომელიც დიფერენცირებულია საქართველოს ცალკეული კუთხეების მიხედვით.

წლების განმავლობაში სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარების შედეგად და ქართველ ნიადაგმცოდნეთა გამოკვლევების საფუძველზე რამდენადმე იცვალა სახე სოფლის მეურნეობამ. დასავლეთ საქართველოს უნიკალურ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს კარგად მოერგო სუბტროპიკული მინათმოქმედება და წარმატებით განვითარდა მანამდე ქართული სოფლის მეურნეობისათვის უცხო დარგები: მეჩაიეობა, მეციტრუსეობა... უფრო ადრე სხვა ქვეყნებიდან მოხვდა საქართველოში სიმინდი, კარტოფილი, პომიდორი, თამბაქო, სხვადასხვა ჯიშის პირუტყვი და ფრინველი.

ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემოტანა გავლენას ახდენდა წარმოების სპეციალიზაციაზე, ქვეყნის მთელ ეკონომიკაზე. სოფლის მეურნეობის განვითარებამ ძირითადად ორი სტრატეგიული მიმართულება მიიღო: ჯერ ერთი — **გამოიკვეთა პრიორიტეტული დარგები, რომლებიც განსაზღვრავს, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მთელი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენცი-**

ალს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნული შიშისაველის ფორმირებაში. ასეთია მევენახეობა და ღვინის მრეწველობა, მეხილეობა და საკონსერვო მრეწველობა, მეჩაიეობა და ჩაის მრეწველობა, მეციტრუსეობა და ციტრუსების პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა; მეორე მხრივ — **ცალკე დაჯგუფდა მემარცვლეობა, მეზოოსტეობა, მეკარტოფილეობა, მეცხოველეობა, რომელთადაც შეთანხმებულია ტექნიკური და საკვები კულტურების პროდუქციის წარმოება.**

ამ პრიორიტეტული და სტრატეგიული მნიშვნელობის დარგების განვითარება შესაძლებლობას იძლევა, **მაქსიმალური ეფექტიანობითა და უკუგებით იქნას გამოყენებული საქართველოს უნიკალური ბიოკლიმატური პოტენციალი.** ამასთანავე, მაქსიმალურად იქნას ათვისებული მხოლოდ ის მიკროზონალური სივრცე, სადაც მათთვის ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობებია.

ახლა საქართველოს სოფლის მეურნეობას განვითარების ახა-

ლი თვალსაზრისი გააჩნია. ეს მისი განვითარების ინტენსიური გზაა.

სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების საკითხი განსაკუთრებით მწვავე და აქტუალურია ახლა, XXI საუკუნის დასაწყისში. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ **ეკოლუციური (თანდათანობითი) ცვლილებები არ შეესაბამება ამჟამინდელი ეკონომიკური ზრდის (განვითარების) წარმოუდგენლად სწრაფ ტემპს.** წარმოების ინტენსიური განვითარების აუცილებლობა განპირობებულია მსოფლიო გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესით, როდესაც მაქსიმალურად უნდა გამოვლინდეს თითოეული რეგიონის (სახელმწიფოს, მხარის, ზონის და ა.შ.) პოტენციალი, როლი და ადგილი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, სპეციფიკური გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ნიშან-თვისებები, მომავლის მოდელი და ქვეყნის წონადი სახე; სრულად იქნას რეალიზებული პრიორიტეტული-სტრატეგიული, მაგისტრალური მიმართულებები.

სოფლის მეურნეობის ინტენსი-



ური განვითარება დღის წესრიგში აყენებს არანაკლებ აქტუალურ და საჭირო პრობლემას — ეს არის **ადგილობრივი ჯიშებისა და მალაპროდუქტიულ ჰიბრიდულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის აუცილებლობა.**



ამჟამად, მსოფლიოში, სოფლის მეურნეობის გენეტიკისა და სელექციის მიღწევები იმდენად დიდი და შთამბეჭდავია, რომ ზოგჯერ თვით მეცნიერთა განცვიფრებასაც კი იწვევს. სწორედ ამის შედეგი იყო, ჰეტეროზისის ძალის გამოვლენა და ამ გზით სამხრეთ ამერიკაში ე.წ. მწვანე რევოლუციის დაწყება. ეს, დიდი ხნის წინათ იყო. ამის შემდეგ ამ სფეროში უდიდესი მიღწევები მოხდა. მიუხედავად ამისა, ჰიბრიდიზაციის პროცესი მთლად სტაბილურ სისტემას ვერ ქმნის და დრო და დრო მეცნიერებს საჭირო კორექტივების შეტანა უწევთ ტექნოლოგიურ კომპლექსში, თანაც ჰიბრიდული უნარი ყოველთვის და ყოველ პირობებში თანაბარი ძალით ვერც ვლინდება. იგი შეიძლება კარგად მოერგოს ამა თუ იმ მიკროკლიმატურ პირობებს და საერთოდ არც ივარგოს სხვა გეოგრაფიულ სარტყელში.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ თესლი რაც უფრო კულტურულია (ანუ ჯიშობრივია), იმდენად უფრო მაღალ მოსავალს იძლევა. ნებისმიერი თესლიდან **მაღალ მოსავალს მივიღებთ მხოლოდ მაღალი და ინტენსიურ-ინდუსტრიული ტექნოლოგიებისა და გაძღოლის სწორი სისტემების გამოყენებით.**

ყველა სახელმწიფოში სოფლის მეურნეობის ძირითადი დასაყრდენი ძალა ადგილობრივი, აბორიგენული, საუკუნეებში გამოვლილ-გამობრძმედილი, ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს არა მარტო შეგუებული, არამედ მასთან „შესისლხორცებული“ ჯიშებია. საუკუნეების მანძილზე შექმნილი გენეტიკური ძალის ერთი ხელის დაკვრით მოსპობა კი წარმოუდგენელია, მის შეცვლასა და სრულყოფას, როგორც ნიადაგის წარმოქმნას, ასევე ხანგრძლივი, ევოლუციური პროცესის გავლა სჭირდება.

ქართული ხორბლის, ვაზის, ხეხილის უნიკალურ ჯიშებს, რომელთა მსგავსიც სხვაგან არ მოიპოვება, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გამოყვანილი ვერც ერთი სხვა ჯიში ვერ შეცვლის და

ასე კარგად ვერ მოერგება ჩვენს მთიან და უნიკალურ, მიკროზონალურ სივრცეშიც კი მკვეთრად განსხვავებულ და ცვალებად ბუნებრივ პირობებს.

მსოფლიოში ხორბლის ცნობილი 27 სახეობიდან საქართველოში აღნუსხულია 14, აქედან 5 ენდემური ჯიშია. საქართველოში სიმინდის სელექციის ხაზითაც დიდი გამოცდილება არსებობს. ქართველი სელექციონერების მიერ გამოყვანილია სიმინდის 15 ჯიში („ქართული კრუგი“, „გეგუთის ყვითელი“, „აბაშის ყვითელი“, „აჯამეთის თეთრი“ და სხვ.). გამოყვანილია, აგრეთვე, განთქმული ჰიბრიდები: „ნეროვანი 1“, „ნეროვანი 2“ და სხვ., რომლებიც ნორმალური აგროტექნიკის პირობებში 1 ჰა-ზე 12-14 ტონა მოსავალს იძლევა და არ ჩამოუვარდება უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ ჰიბრიდებს.

რაც შეეხება ამერიკულ სიმინდს, რომლის საქართველოში დათესვას წლების წინათ დიდი აუიოტაჟი მოჰყვა, მართალია, მაღალმოსავლიანია, მაგრამ მისი თესლად გამოყენება არ შეიძლება, ამიტომ, ფერმერმა ეს თესლი (თუ მის დათესვას გადაწყვეტს) ისევ იმპორტიორისგან უნდა შეიძინოს, ეს კი დიდ სიძნელებებს შექმნის.

მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის მემკვიდრეობა აკადემიის გამოჩენილ და ავტორიტეტულ მემკვიდრეთა ინტელექტუალური პოტენსიალი და მათი უნარი ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში.

ქართველ სელექციონერთა გამოცდილება ახალი მიღწევებით უნდა შეივსოს, არსებული პოტენციალი მარკეტინგული მოთხოვნების გათვალისწინებითა და პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებით უნდა განვამტკიცოთ და მდგრადი ხასიათი მივცეთ.

მეცნიერულად გამართლებულია, რომ ადგილობრივი ჯიშების განვითარებასა და კულტივირებას დასაბუთებულად შეეთანხანოს ახალი, გინდაც უცხოეთიდან შემოტანილი ისეთი ჯიშები და ჰიბრიდები, რომლებიც ივარგებს ჩვენს პირობებში. ასე უნდა შეიქმნას მრავალფეროვანი ჯიშობრივი და ჰიბრიდული სივრცე და წარმოების ინტენსიური განვითარების ახალი შესაძლებლობები. ეს განსაკუთრებით ითქმის სიმინდზე. მაგრამ საქართველოში მარცვლეულით თვითდაკმაყოფილების დონის ამაღლებაში ძირითადი აქცენტის სიმინდზე გადატანა არ შეიძლება. ამ ტვირთის აწევა, ისიც ნაწილობრივ, აღმოსავლეთ საქართველოში ხორბალს შეუძლია (მასთან შეთანხმებული უნდა იყოს სიმინდი), დასავლეთ საქართველოში კი — ერთმნიშვნელოვნად სიმინდს. ამ სპეციფიკას ნიადაგურ-კლიმატური პირობები განსაზღვრავს.

უკანასკნელ ხანს ქვეყანაში შეიქმნა კარგად ორგანიზებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფართო ქსელი, უმჯობესდება სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მტკიცდება საგარეო-ეკონომიკური კავშირები. დადებითი მოვლენაა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა რეგიონული საკონსულტაციო ცენტრები (სულ — 59; თითოეულში 4-5 სპეციალისტი), მაგრამ ირკვევა, რომ ამ სპეციალისტთა ცოდნისა და კვალიფიკაციის დონე ამაღლებას მოითხოვს, ამ მიზნით სამინისტრო აპირებს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად შექმნას ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკა-



ციის ამაღლების სასწავლო ცენტრი. ამით დიდ და საშვილიშვილო საქმეს ჩაეყრება საფუძველი. ეს საშუალებას მოგვცემს, გაძლიერდეს წარმოებისა და მეცნიერების ინტეგრაცია, რამეთუ **სოფლის მეურნეობის აღმავლობა გამორიცხულია მისი სპეციფიკის მიხედვით სოფლის მეურნეობისა და განვითარების ბარათში**. სწორედ მეცნიერებამ უნდა შექმნას ახალი ჯიშები და ჰიბრიდები, თანამედროვე ინტენსიურ-ინდუსტრიული ტექნოლოგიები, მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის საშუალებები, ნიადაგის დაცვისა და მისი ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლების რეკომენდაციები, წყლის რესურსების მართვის სისტემა, მაღალ ტექნო-



ლოგიებზე მორგებული სამეცნიერო-საშუალებები, კოოპერირებული და ინტეგრირებული საწარმოების ფუნქციონირებისა და განვითარების ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული მექანიზმი, პერსპექტიული მენეჯმენტის მოდელი, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ეკონომიკური მექანიზმი და მარკეტინგული სამსახური, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მართვის პროგრამები და სხვ.

დღეს კი მეცნიერება უყურადღებოდაა მიტოვებული, მისთვის ვერ მოუცლიათ, არადა, მას ფართო სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა სჭირდება.

მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამოჩენილ და ავტორიტეტულ მეცნიერთა ინტელექტუალური პოტენციალი და მათი უნარი ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში.

რაც შეეხება მეცნიერთა მიერ დამუშავებული სამეცნიერო პროექტების რეალიზებას, ეს მისია, როგორც მსოფლიოს მონიწვე ქვეყნებშია (განსაკუთრებით ჩინეთში), ხელში უნდა აიღოს ხელისუფლებამ.

ომარ ქაშელაშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აკადემიკოსი



ანზორ თოთაძე

მოსალოდნელი დემოკრატიული კატასტროფა ეჩვენებს უნდა აიხილოს

ადრეულ საუკუნეებში, კერძოდ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული უძველესი წერილობითი წყაროებით ცნობილია, რომ მის ზოგიერთ ისტორიულ პროვინციაში მრავალრიცხოვანი ქართველური ტომები ცხოვრობდნენ.



საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა

საქართველოს მოსახლეობა ისტორიულად ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო XIII საუკუნის პირველ ნახევარში. 1254 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, მისი მოსახლეობა 8 მილიონ კაცს უდრიდა. გამუდმებული შემოსევების შედეგად მოსახლეობა 1770 წლისათვის 761 ათასამდე შემცირდა, ხოლო 1800 წელს მან 675 ათასი კაცი შეადგინა. ამ პერიოდში (1811-1813 წლები) შავი ჭირის გავრცელების შედეგად, როგორც ისტორიული წყაროები ცხადყოფენ, მისი მოსახლეობა თითქმის განახევრდა.

...გარდაცვლილთა რაოდენობამ, რომელშიც რუსებს არ შეუტანიათ 10 წლამდე გარდაცვლილი ბავშვები, 80,000 შეადგინა. ახლა იმის შესახებაც უნდა აღვნიშნოთ, რომ, პროფესორ ვ. ჯაოშვილის გაანგარიშებით, 1800 წელს იმერეთის მოსახლეობა 126 ათას კაცს შეადგენდა, ხოლო 1810 წელს, პროფესორ ს. კაკაბაძის გაანგარიშებით, ბევრად მეტს — 240 ათას კაცს. ჩვენი აზრით, თუ სხვა მონაცემებსაც მივიღებთ მხედველობაში, რეალობას ორივე ეს მონაცემი დაშორებულია — უფრო მეტად მათი საშუალო მონაცემი — 183 ათასი კაცია ახლოს სინამდვილესთან. ამ შემთხვევაში შავმა ჭირმა იმერეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი შეინირა.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში 1814 წელს დაახლოებით 400 ათასი კაცი ცხოვრობდა. ასეთი მცირე რაოდენობით მოსახლეობა საქართველოში მთელი მისი ისტორიის განმავლობაში არასოდეს ყოფილა. რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობამ იმდროინდელ საზღვრებში 2 მილიონ 109 ათასი კაცი შეადგინა და ერთი საუკუნის განმავლობაში 5-ჯერ გაიზარდა.

უკანასკნელ წლებში საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო 1992 წელს — 5,467 ათასი კაცი. ცნობილი მიზეზების გამო ამ დროი-

ცხრილი №1

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა XIII-XXI საუკუნეებში

წლები	ათასობით
1254	8 000
XVII საუკუნის დასაწყისი	≈ 2 500
1770	761
1800	675
1814	≈ 400
1897	2 109
1926	2 667
1959	4 044
1979	4 993
1989	5 400
2002	4 371
2012	4 497

დან საქართველოში მოსახლეობა განუხრელად მცირდებოდა და მხოლოდ ბოლო პერიოდში ოდნავ გაიზარდა, რის შედეგადაც 2011 წლის 1 იანვრისათვის მან 4469 ათასი კაცი შეადგინა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს რიცხვი გამიზნულადაა გაზრდილი. დემოგრაფთა გაანგარიშებით, 2011 წელს საქართველოში მხოლოდ 3782 ათასი კაცი ცხოვრობდა (ჩვენ მონაცემების შელამაზების მიუხედავად ოფიციალური — საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები გამოვიყენეთ, რომლებიც დემოგრაფიული ვითარების საერთო ტენდენციას მაინც ახასიათებს).

პერსპექტიული გაანგარიშებით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლეობის ფონდის მონაცემებით, 2050 წლამდე საქართველოს მოსახლეობა 28 პროცენტით შემცირდება, მაშინ, როდესაც სომხეთის მოსახლეობა 7 პროცენტით მოიმატებს, ხოლო აზერბაიჯანისა — 34 პროცენტით (იხ. ცხრილი №1).



2002 წლის აღწერის მონაცემებით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარდა, საქართველოში 3,661 ათასი ქართველი ცხოვრობდა, რომლის ნილმაც მთელ მოსახლეობაში 83,8 პროცენტი შეადგინა.

რეგიონების მიხედვით მოსახლეობა მეტად არათანაბრადაა განაწილებული. თბილისში 2012 წელს 1,172,7 ათასი კაცი ცხოვრობდა. თბილისის შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი რეგიონია იმერეთი — (707,5 ათასი კაცი), შემდეგ მოდის ქვემო ქართლი (511,3 ათასი), სამეგრელო-ზემო სვანეთი (479,5 ათასი), კახეთი (407,1 ათასი) და ა.შ. ტერიტორიის სიდიდის მიხედვით კი პირველ ადგილზეა კახეთი, შემდეგ — სამეგრელო-ზემო სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი და ა.შ.

კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიული ბალანსი

კავკასიაში ისტორიულად ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ბალანსი, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, საგრძნობლად დაირღვა. კავკასიის მოსახლეობის რაოდენობა XX საუკუნეში, მიუხედავად ცალკეულ პერიოდებში უმძიმესი პირობებისა, საგრძნობლად გაიზარდა, კერძოდ, 1926-2010 წლებში 7,617 ათასიდან 23,437 ათასამდე და ზრდის ტემპმა 307,7 პროცენტი შეადგინა. მოსახლეობის ზრდა განსაკუთრებით დიდი იყო ჩრდილო კავკასიაში — 1,745 ათასიდან 7,083 ათასამდე (ზრდის ტემპი — 405,9 პროცენტი). სამხრეთ კავკასიაში ამავე პერიოდში მოსახლეობა 5,872 ათასიდან 16,354 ათასამდე გაიზარდა (ზრდის ტემპი — 278,5 პროცენტი).

კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიული ბალანსი ძირითადად დაირღვა საქართველოს ხარჯზე, რომლის მოსახლეობა 1926-2010 წლებში 2,677 ათასიდან 4,436 ათასამდე გაიზარდა და

ზრდის ტემპმა კავკასიაში ყველაზე ნაკლები მაჩვენებელი — 165,7 პროცენტი შეადგინა, ანუ მატების ტემპი მთელი 84 წლის განმავლობაში მხოლოდ 65,7 პროცენტს უდრიდა. თუ ისტორიულად სამხრეთ და საერთოდ კავკასიაში ქართველები და საქართველოს მოსახლეობა რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო, შემდეგში ვითარება არსებითად შეიცვალა.

1926 წელს კავკასიის მთელი მოსახლეობის 35,1 პროცენტი, ანუ ყოველი მესამე ადამიანი საქართველოში ცხოვრობდა. აღნიშნულმა მაჩვენებელმა 1970 წელს 28,1 პროცენტი, ხოლო 2010 წელს მხოლოდ 18,9 პროცენტი შეადგინა (ანუ კავკასიაში მცხოვრები ყოველ მე-19 ადამიანი ცხოვრობდა საქართველოში), სამაგიეროდ 1926-2010 წლებში აზერბაიჯანის ანალოგიური მაჩვენებელი 30,4 პროცენტიდან 38,0 პროცენტამდე გაიზარდა.

საქართველოს მოსახლეობის წილი სულ უფრო მცირდება სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაშიც. მაგალითად, 1926 წელს საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის 45,5 პროცენტს შეადგენდა, აზერბაიჯანისა — 39,5-ს, ხოლო სომხეთისა — 15,0 პროცენტს. აღსანიშნავია, რომ 1965 წლამდე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ჭარბობდა აზერბაიჯანის მოსახლეობას. ამის შემდეგ აზერბაიჯანის მოსახლეობა სწრაფად გაიზარდა და 2009 წელს 8,897 ათასი კაცი შეადგინა, ხოლო იმავე წელს საქართველოში მხოლოდ 4,385 ათასი, ანუ 4,512 ათასი კაცით ნაკლები ცხოვრობდა აზერბაიჯანთან შედარებით. ამავე პერიოდში მთელი სამხრეთ კავკასიის მოსახლეობა 16,520 ათას კაცს უდრიდა. აქედან საქართველოს მოსახლეობის წილი მხოლოდ 26,5 პროცენტს შეადგენდა, სომხეთისა — 19,6 პროცენტს, ხოლო აზერბაიჯანელებისა — 53,9 პროცენტს.

არც პროგნოზული გაანგარიშე-

ბები იძლევა საიმედო მონაცემებს. **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 1,170 ათასი კაცით შემცირდება და 3,300 ათასი კაცი იქნება,** სომხეთის მოსახლეობა მცირედ გაიზრდება და სომხეთშიც 3,300 ათასი კაცი იცხოვრებს, ხოლო აზერბაიჯანის მოსახლეობა 9 მილიონიდან 11 მილიონამდე გაიზრდება. ამრიგად, საქართველოსა და სომხეთის მოსახლეობის წილი სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში 2050 წელს 18,7-18,7 პროცენტი გახდება, ხოლო აზერბაიჯანისა — 62,6 პროცენტი. სამხრეთ კავკასიაში მკვეთრად დაირღვა დემოგრაფიული ბალანსი, განსაკუთრებით ქართველების შემცირების გამო.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ქართველების 99,6 პროცენტი საქართველოში ცხოვრობდა. მაგალითად, 1989 წელს სამხრეთ კავკასიაში 3,802 ათასი ქართველი ცხოვრობდა, აქედან 3,787 ათასი — საქართველოში, 1 ათასი — სომხეთში და 14 ათასი — აზერბაიჯანში. სამაგიეროდ, სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები 6,198 ათასი აზერბაიჯანელიდან თავის სამშობლოში ცხოვრობდა 5,805 ათასი (93,7 პროცენტი), საქართველოში — 308 ათასი (4,9 პროცენტი) და სომხეთში 85 ათასი (1,4 პროცენტი), ხოლო 3,192 ათასი სომხიდან თავის სამშობლოში მხოლოდ 3,084 (78,8 პროცენტი) კაცი ცხოვრობდა, საქართველოში — 437 ათასი (11,2 პროცენტი) და აზერბაიჯანში — 391 ათასი (10,0 პროცენტი).

ცნობილი მოვლენების შედეგად 2002 წელს სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ტიტულოვანი ერების (ქვეყნების სახელწოდების მიმცემი ერი) განსახლების სურათი შეიცვალა. კერძოდ, 2002 წელს სამხრეთ კავკასიაში 15,767 ათასი კაცი ცხოვრობდა. აქედან 3,739 ათასი ქართველი (საქართველოში —



3,724 ათასი, 15 ათასი აზერბაიჯანში და რამდენიმე ათეული სომხეთში), 7,490 ათასი აზერბაიჯანელი (აზერბაიჯანში — 7,205 ათასი, საქართველოში — 285 ათასი, სომხეთში — არცერთი) და 3,547 ათასი სომეხი (სომხეთში — 3,145 ათასი, საქართველოში — 281 ათასი და აზერბაიჯანში — 121 ათასი). ამჟამად ქართველების რაოდენობა აზერბაიჯანსა და სომხეთში კიდევ უფრო შემცირდა. კერძოდ, 2009 წლის აღწერის მიხედვით, აზერბაიჯანში 9 ათასი ქართველი ცხოვრობდა.

საქართველოში ქართველი ერის პირმკვიდრული შემცირების შედეგად თანდათანობით საფრთხე ექმნება ეროვნულ ინტეგრაციას და ეროვნული ეკონომიკის განვითარებას; ძნელდება მათი რეალიზაცია; სახელმწიფო ენას უაღრესად უჭირს თავისი ფუნქციის შესრულება; ერი-სათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები კარგავს აღრინდელ მიზიდველობას. ასეთ ვითარებაში გარდაუვალია ეროვნული ცნობიერების დაქვეითება, საბოლოოდ კი ერის ბენეფონდის ცვლილება. მოსახლეობის რაოდენობის შემცირება განსაკუთრებით საშიშია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან იგი ისეთ უნიკალურ, მრავალგანზომილებიან რეგიონში მდებარეობს, სადაც მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების ინტერესთა გადაკვეთის წერტილები საკმაოდ ბევრია და ამდენად საკუთარი ინტერესების დაცვა — გაძნელებული.

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობას ძირითადად მიეკუთვნება ისეთი ბუნებრივი პროცესები, როგორც არის: შობადობა და მოკვდაობა. არსებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში ყველაზე მეტი ბავშვი 1961 წელს

ცხრილი №2

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აბსოლუტური მონაცემების დინამიკა 1950-2009 წლებში ათწლეულების მიხედვით

წლები	აბსოლუტური მონაცემები	გარდაცვალებული	ბუნებრივი ზრდა
1950-1959	798 453	248 268	551 405
1960-1969	850 908	276 294	574 634
1970-1979	732 378	339 014	453 357
1980-1989	813 624	400 960	433 064
1990-1999	623 013	495 258	127 755
2000-2009	502 296	448 712	53 584

დაიბადა — 104 ათასი. 1960-1990 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 93 ათასი ბავშვი იბადებოდა, ხოლო 1991-2010 წლებში — 55 ათასი. შობადობის მკვეთრი შემცირება 1992 წლიდან დაიწყო, 2005 წელს საქართველოში უკვე 46 ათასი ბავშვი დაიბადა და შობადობა წინა წლებთან შედარებით 2-ჯერ შემცირდა. ძირითადად ამის შედეგია ის, რომ უკანასკნელ წლებში ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის ბუნებრივი მატებაც. **მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც კი, კერძოდ, 1941-1945 წლებში, საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება 135 ათას კაცს შეადგინდა, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 2001-2005 წლებში მხოლოდ 5,8 ათასს, ხოლო 2006-2010 წლებში, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების არასანდოობის მიუხედავად, ამ მაჩვენებელმა 58 ათასს მიაღწია და მაინც საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა მეორე მსოფლიო ომისდროინდელ მონაცემებს (იხ. ცხრილი №2).**

შობადობის აბსოლუტური მაჩვენებელი უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა. კერძოდ, 2000-2009 წლებში საქართველოში 502,296 ბავშვი დაიბადა

მაშინ როდესაც 1960-1969 წლებში ეს მაჩვენებელი 850,908 ბავშვს უდრიდა (შესადარისობის მიზნით 1993 წლამდე. დემოგრაფიულ მონაცემებს ყველგან გამოკლებულია აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესაბამისი მაჩვენებლები). ამ პერიოდში გარდაცვლილთა რაოდენობა 276,034 კაციდან 448,712 კაცამდე გაიზარდა. შესაბამისად, შემცირდა მოსახლეობის ბუნებრივი მატება. 2000-2009 წლებში საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ 53,584 კაცი შეადგინა და 10-ჯერ შემცირდა 1960-1969 წლებთან შედარებით.

დაბადებისა და გარდაცვალების აბსოლუტური მონაცემები მაინც დამოკიდებულია მოსახლეობის რაოდენობაზე. მაგრამ შეფარდებითი მონაცემებიც ნათლად გვიჩვენებს ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ კრიზისს. მაგალითად, 1960-1969 წლებში მოსახლეობის ბუნებრივი მატება მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე 14,8 კაცს უდრიდა, ხოლო 2000-2009 წლებში — 1,2 კაცს.

მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ **სამხრეთ კავკასიაში, ქართველთა დემოგრაფიული განვითარება არსებითად ჩამორჩება სომეხებისა და აზერბაიჯანელების დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებლებს.** საქართველოში კი ქართველების ბუნებრივი მატების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ქვეყანაში ქართველების შემდეგ სხვა, მაგალითად, ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნების წარმომადგენელთა — აზერბაიჯანელთა, ბუნებრივ მატებას. მართალია, ამჟამად, მიმდინარე სტატისტიკა აღარ ამუშავებს დემოგრაფიულ მონაცემებს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, აღნიშნულ საკითხს მაინც თვალსაჩინოდ ახასიათებს 2003 წელს ქართველ დემოგრაფთა მიერ გაანგარიშებული მონაცემები ეროვნული ნიშნის მიხედვით ბუნებრივი მატების შესახებ.



კერძოდ, 2003 წელს საქართველოში აზერბაიჯანელების გუნებრივი მატების დონე 109-ჯერ აღემატებოდა ქართველების გუნებრივი მატების ანალოგიურ მაჩვენებელს.

ქართველები რაოდენობრივად ყოველთვის სჭარბობდნენ სომხებსა და აზერბაიჯანელებს, მაგრამ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, აზერბაიჯანში შობადობის უაღრესად მაღალი დონის გამო, 1965 წელს სამხრეთ კავკასიაში ქართველებისა და აზერბაიჯანელების რაოდენობა გათანაბრდა, ხოლო ამჟამად აზერბაიჯანელები ქართველებს უკვე 5 მილიონით აღემატებიან.

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონების მიხედვითაც. უკანასკნელ წლებში ძირითადად ქართველებით დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის ბუნებრივ კლებას აქვს ადგილი (იხ. ცხრილი №3).

ახლა საჭიროა ითქვას, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახური ძირითადად აქვეყნებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებულ მონაცემებს. როგორც ჩანს, ამ სააგენტომ ვიზა მისცა მეტად არასწორი დემოგრაფიული მონაცემების გამოქვეყნებას. კერძოდ, ამ მონაცემების მიხედვით 2008 წელს შობადობა ერთბაშად 7 ათასი ბავშვით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 56,565 ბავშვი შეადგინა. მომდევნო 2009 წელსაც შობადობა თითქმის ისევ 7 ათასი ბავშვით გაიზარდა და შობადობის მაჩვენებელი 63,377 ბავშვს უდრიდა, რაც უაღრესად მაამებლური მაჩვენებელია. კერძოდ, არ შეიძლება მხოლოდ ზრდა და შემდეგ მომდევნო წლებში შობადობის შემცირება, არ შეიძლება რომ ქალაქად 2-ჯერ მაღალი იყოს შობადობისა და მოკვდაობის დონეები სოფელთან შედარებით, მით უმეტეს, როდესაც ჩვენ მეზობელ ქვეყნებში — რუსეთში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და

ცხრილი №3

გურიის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მონახლეობის შობადობა, მოკვდავობა და გუნებრივი მატება (კლება) 1977-1986 და 1997-2006 წლებში (ათწლეულების მიხედვით)

	დაიბადა		გარდაიცვალა		ბუნებრივი მატება	
	1977-1986 წლებში	1997-2006 წლებში	1977-1986 წლებში	1997-2006 წლებში	1977-1986 წლებში	1997-2006 წლებში
გურია	25 920	13 639	16 859	18 400	9 061	-4 761
იმერეთი	121 853	74 698	69 308	87 642	52 545	-12 944
კახეთი	76 397	34 713	41 961	47 934	34 436	-13 221
მცხეთა-მთიანეთი	20 779	11 660	10 376	13 841	10 403	-2 181
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	9 027	3 130	10 109	7 732	1 082	-4 602
სამეგრელო-ზემო სვანეთი	71 100	42 717	38 141	45 473	32 959	-2 756
სულ	325 076	180 557	186 754	221 022	138 322	-40 465

თურქეთში პირუკუ ტენდენციებია, არ შეიძლება მუნიციპალიტეტებსა და მათში არსებულ ქალაქებსა და სოფლებში მხოლოდ უკანასკნელ წლებში ყოველწლიურად ყოველ ათას კაცზე 100 და 140 ბავშვი იბადებოდეს, არ შეიძლება ყოველ 100 ახალდაბადებულ გოგონაზე 128 ვაჟი დაიბადოს და კიდევ ბევრი რამ არ შეიძლება.

საუბარი შეიძლება მხოლოდ იმის შესახებ, რომ საქართველოში უმძიმესი დემოგრაფიული სიტუაციაა და მისი მონაცემების შელამაზება დიდი ეროვნული სატკივარის მიჩქმალვის მცდელობაა, რასაც შეიძლება დამღუპველი შედეგი მოჰყვეს.

გაეროს ხალხთმოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, **საქართველოში საშინაო სიღატაკაა — მოსახლეობის 13 პროცენტი**

დღეში 1,25 ამერიკულ დოლარზე (ორ დოლარზე) ნაკლები შემოსავლით ცხოვრობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში თითქმის 600.000 კაცი შიმშილობს. ამასთან, მაშინ, როდესაც საქართველოში დღეში 1,25 დოლარზე ნაკლები შემოსავლით ცხოვრობს მოსახლეობის 13 პროცენტი, ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ანალოგიური მონაცემები გაცილებით დაბალია. კერძოდ, სომხეთში იგი 4 პროცენტს, აზერბაიჯანში 2 პროცენტს, რუსეთში ასევე 2 პროცენტს, ხოლო თურქეთში 3 პროცენტს უდრის. ასეთ პირობებში შობადობის გაზრდაზე ლაპარაკი ზედმეტია. გარდა ამისა, გაეროს ხალხთმოსახლეობის ფონდი აქვეყნებს კიდევ ერთ მონაცემს, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული დემოგრაფიასთან. **სამხრეთ კავკასიაში სა-**

ქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც რეპროდუქციული მკურნალობა და მშობიარობის ხარჯებს უშუალოდ მოსახლეობა ანაზღაურებს. კერძოდ, სომხეთში თითოეულ მშობიარე ქალზე ხელისუფლება უყოფს 350 ამერიკულ დოლარს სამედიცინო დაწესებულებას, საიდანაც 60 პროცენტი გამოიყენება სამედიცინო პერსონალის ხელფასზე. აზერბაიჯანში ყველა მომსახურება მშობიარობამდე და მშობიარობა უფასოა. ახალი ხელისუფლების ინიციატივით 2013 წლის 1 ივლისიდან საქართველოშიც მშობიარობა უფასოა.

გარკვეულწილად შობადობის ამაღლების მეორე მიზეზია წარსულის საჩუქარი. საქმე ის არის, რომ საქართველოში ყველაზე მეტი ბავშვი 1960-63 წლებში (4 წელიწადში) დაიბადა — 363,999 ბავშვი. წინა ოთხ წელიწადთან (1956-59 წლები) შედარებით 31,316 ბავშვი, ხოლო მომდევნო ოთხ წელიწადთან (1964-67 წლები) შედარებით კი 33,649 ბავშვით მეტი. ამ წლებში (1960-63) ყველაზე მრავალრიცხოვანი თაობების შობადობის პიკი (ანუ როდესაც ამ თაობის ქალები ძირითადად ყველაზე ნაყოფიერ 22-25 წლის ასაკში იმყოფებოდნენ) მოვიდა 1984-87 წლებზე — 34,644 ბავშვი. ხოლო ამ მრავალრიცხოვანი ბავშვების თაობის შემდგომმა შობადობის პიკმა, ან უფრო სწორედ დემოგრაფიულმა ექომ, სწორედ ჩვენს საანალიზო 2007-2010 წლებში იჩინა თავი და რამაც გარკვეულწილად შობადობის ამაღლება გამოიწვია. შემდეგ წლებში კი უკვე იწყება ქალების რაოდენობის შემცირება და მამასადამე შობადობისაც. მართლაც, ბოლო 2 წელიწადში შობადობა უკვე 5 ათასი ბავშვით შემცირდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მით უფრო არსებითია, რომ უკვე, რაც არ უნდა გაუმჯობესდეს საარსებო პირობები, შობადობა კიდევ უფრო შემცირდება. ეს პროცესი გამოკვეთილად (თუ ასე გაგრძელდა და რადიკალური ზომები არ მივიღეთ), დაახლოებით 10

წელიწადში იჩენს თავს და პიკს 2020-იანი წლების შუახანებში მიანდნევს. ამის მიზეზია სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის არსებითი გაუარესება.

აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, რომელიც ხანგრძლივ პერიოდზე უნდა იყოს გათვლილი, ჩვენ შეგვიძლია ეს პროცესი შევანელოთ და სასურველ შედეგს მხოლოდ საკმაოდ დროის გავლის შემდეგ მივალნიოთ. საკმარისია ითქვას, რომ 1980-89 წლებში, ანუ 10 წელიწადში საქართველოში 455 ათასი გოგონა დაიბადა (შესადავრისობის უზრუნველყოფის მიზნით 1980-89 წლების მონაცემებს გამოკლებულია აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესაბამისი დემოგრაფიული მაჩვენებლები, — კერძოდ კი ამავე წლებში დაბადებული გოგონების რაოდენობა), ხოლო ბოლო ათ წელიწადში (2000-2009 წლები) — 236 ათასი გოგონა, ანუ 219 ათასით ნაკლები გოგონა 1980-1989 წლებთან შედარებით.

ამრიგად, ძირითადად ეკონომიკური პირობების საგრძნობლად გაუარესების შედეგად, განვლილ პერიოდში შობადობის საერთო კლების კვალობაზე მკვეთრად შემცირდა დაბადებული გოგონების რაოდენობა და ამის გამო შობადობის შემდგომ შემცირებას, თუნდაც ეკონომიკური პირობების არსებითი გაუმჯობესების შემთხვევაში, ქვეყანა უკვე ვეღარ აცდება. მართალია, ცხოვრების დონის ამაღლების შემთხვევაში საშუალოდ ერთი ქალი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მეტ ბავშვს დაბადებს, მაგრამ, გარემიგრაციული პროცესების მიუხედავად, იგი მაინც ვერ მოახდენს წინა პერიოდში დაბადებული ქალების რაოდენობის კლების შედეგად გამონეული შობადობის შემცირების საგრძნობ კომპენსაციას. **მომავალში ეკონომიკური ზრდის პარალელურად თავს იჩენს პრობლემები რასობის ნაკლებობის პრობლემა, რასაც აუცილებლად მოყ-**

მეზა მეტად საშიში, არასასურველი იმიგრაციული პროცესი და ქვეყანა მოკლე ხანში დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება, თუ უკვე არ ვდგავართ ამ კატასტროფის პირას.

საქართველოში შობადობის სისტემატურ შემცირებას კიდევ უფრო ზუსტად გვიჩვენებს განზოგადებული დემოგრაფიული კოეფიციენტები. მაგალითად, შობადობის საშუალო დონეს მოცემულ კალენდარულ პერიოდში უფრო ნათლად ახასიათებს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ საშუალოდ რამდენ ბავშვს ბადებს ერთი ქალი თავისი სიცოცხლის განმავლობაში.

როგორც ცნობილია, თაობათა ერთი და იმავე რაოდენობით შეცვლისთვის აუცილებელია, რომ საშუალოდ ერთ ქალზე მოდიოდეს 2,1 ბავშვი, ანუ ერთმა ქალმა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში გააჩინოს 2,1 ბავშვი. მართალია, 2 ბავშვის გაჩენის შემთხვევაში თითქოსდა ნაზღაურდება მშობლები, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მაღალია ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობა, ყველა დაბადებული ბავშვი ვერ აღწევს ბავშვთა შობის ასაკს, როდესაც თვითონ უნდა გახდეს დედა, ყველა ვერ გათხოვდება და ოჯახების ნაწილიც უნაყოფოა. ამიტომაც **მოსახლეობის თანაბარი გარავლებისთვის საჭიროა, რომ ყოველმა ქალმა საშუალოდ 2,1 ბავშვი გააჩინოს.**

საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ერთი ქალი საშუალოდ 1,3 ბავშვს აჩენდა, რაც, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი მშობლის ანაზღაურების ტოლფასია.

ქართველ მოსახლეობაში მასობრივად ვრცელდება მცირემვილიანობა. სულ უფრო მცირდება იმ დედების რიცხვი, რომლებსაც სამი და მეტი შვილი ჰყავთ. კერძოდ, თუ საქართველოში 1960 წელს მესამე და მეტი ბავშვის დაბადების წილი მთელ დაბადებულ-

თა 36,5 პროცენტს შეადგენდა, 2011 წელს ეს მაჩვენებელი 15,0 პროცენტს უდრიდა. დაბადებულთა საერთო რაოდენობაში განსაკუთრებით მაღალია პირმშოთა დაბადების წილი. მაგალითად, 2011 წელს 27,668 ბავშვი დაეძინათ პირველი შვილი იყო (47,6 პროცენტი). ანალოგიური მაჩვენებელი 1960 წელს მხოლოდ 34,7 პროცენტს შეადგენდა. უკანასკნელ წლებში მესამე და მეტი ბავშვის წილი მთელ დაბადებულებში მნიშვნელოვნად ამაღლდა (2008 წლის 12,5 პროცენტიდან 15,0 პროცენტამდე 2011 წელს), რაც უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დამსახურებაა.

ტრადიციულად საქართველოში მოკვდაობის დონე დაბალი იყო როგორც მეზობელ, ისე ევროპის უმრავლეს ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ უკანასკნელ წლებში ის მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, თუ მოსახლეობის ათას სულზე 1960 წელს 6,5 კაცი გარდაიცვალა, ეს მაჩვენებელი 2010 წელს 10,7 პრომილეს უდრიდა. გარდაცვლილთა შორის ქალებთან შედარებით, მაღალია მამაკაცთა წილი. მაგალითად, 2008 წელს 15-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილთა საერთო რაოდენობიდან 73,8 პროცენტი მამაკაცია. მამაკაცთა საკმაოდ ნაწილი საპენსიო ასაკსაც ვერ აღწევს. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ ახლანდელ საპენსიო ასაკს, ამ ასაკს მიღწეული მამაკაცებისათვის პენსიაზე ყოფნის ხანგრძლივობა საშუალოდ 13,7 წელს გრძელდება, ხოლო ქალებისათვის — 20,2 წელს. მაღალია ბავშვთა მოკვდავობის დონეც. მართალია, 2009 წელს 63,377 ბავშვი დაიბადა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რადგან მაღალია ერთ წლამდე ასაკში ბავშვთა მოკვდაობა. მაგალითად, 2002 წელს ერთ წლამდე ასაკში 1,102 ბავშვი გარდაიცვალა ანუ



ყოველ 1000 დაბადებულ ბავშვზე 23,8 ბავშვი და იგი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში. მართალია, შემდეგ წლებში ეს მაჩვენებელი შემცირდა, მაგრამ იგი მაინც დიდი იყო, 2011 წელს ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვების რაოდენობამ 703 ბავშვი შეადგინა (12,1 პრომილე). კიდევ უფრო შემზარავ შთაბეჭდილებას ტოვებს ეს ციფრები, თუ ბავშვთა მოკვდავობას ხანგრძლივ პერიოდში განვიხილავთ. კერძოდ, 1980-2011 წლებში ანუ 32 წლის განმავლობაში 49,573 ბავშვი გარდაიცვალა ერთ წლამდე ასაკში, ანუ თითქმის იმდენივე, რამდენი ბავშვიც ქვეყანაში დაიბადა 2007 წელს. სამწუხაროდ, ამით როდი მთავრდება ყველაფერი. ასევე მაღალია მკვდრად დაბადებულთა რიცხვი. 2011 წელს 554 ბავშვი მკვდარი დაიბადა, ანუ ყოველ 1000 დაბადებულზე მკვდრადშობადობის მაჩვენებელი 9,5 ბავშვს უდრიდა. ეს მაჩვენებელი წინა წლებში უაღრესად მაღალი იყო. კერძოდ, 1998 წელს 1,130 ბავშვი მკვდარი დაიბადა. 1980-2011 წლებში კი მკვდარი დაიბადა თითქმის 21,500 ბავშვი. ამრიგად, ამ პერიოდში ერთ წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა და მკვდრადშობილთა რაოდენობამ 71,022 ბავშვი შეადგინა. სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების, ბავშვთა უკეთ მოვლა-პატრონობისა და სათანადო ცოდნის გავრცელებისათვის დამატებითი

ძალისხმევის პირობებში, თუ ჩვენ მივალწვევით განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლების დონეს, მაშინ 1980-2011 წლებში დაახლოებით 56 ათას ბავშვს შეუუნარჩუნებდით სიცოცხლეს.

მართალია, ამჟამად არსებული ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, **ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში შემცირდა ყოველ ათას ბავშვზე ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილთა რაოდენობა, მაგრამ ეს მაჩვენებელი, გაეროს ხალხთმოსახლეობის ფონდის მონაცემებით, 2010 წელს ბაცილებით მაღალი იყო** — ყოველ 1000 დაბადებულზე ერთ წლამდე ასაკში 33 ბავშვი გარდაიცვალა და ამ მაჩვენებლით საქართველო 186 ქვეყანას შორის, რომელთა შესახებ გაეროს ხალხთმოსახლეობის ფონდი დემოგრაფიულ მონაცემებს აქვეყნებს, 99-ე ადგილზე იმყოფებოდა.

ფრანგი დემოგრაფი ა. სოვი აღნიშნავს: **«ვერცერთი ფინანსისტი, როგორი მკაცრიც არ უნდა იყოს იგი, უარს ვერ იტყვის სახსრებზე, რომელიც აუცილებელია ბავშვთა მოკვდაობის შესამცირებლად. რაც არ უნდა დიდი იყოს ამ შემთხვევაში დანახარჯები, არ შეიძლება ბავშვს გამოვუტანოთ სიკვდილის განაჩენი, რათა უზრუნველვყოთ ცოცხლად დარჩენილთა უფრო უკეთესი ცხოვრება».**

დასასრული
შემდეგ ნომერში



აფრიკის, ანუ უარგლელ-უჯღელი ქართველები

აფრიკაში, საჰარის უდაბნოს პირას, ქალაქ უარგლაში, გამოჩენილი მოგზაურის დოქტორ ელისეევის სიტყვით, ცხოვრობენ ქართველები... სხვადასხვა ერის წარმომადგენელს და სხვადასხვა ენაზედ მოლაპარაკეთ ბევრს ნახავს აქ კაცი, მაგრამ ამ ცნობამ, რომელიც ჟურნალ „მომამბეში“ გამოქვეყნდა 1897 წელს სათაურით „ჩვენსა და სხვაგან“, ქართველ საზოგადოებრიობაში, ბუნებრივია, დიდი ინტერესი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

რუსი მოგზაური და ანტროპოლოგი ა. ვ. ელისეევი (1858-95 წ.წ.), რომელიც ადრე საქართველოში ყოფილა, ხანგრძლივად მოგზაურობდა ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში, იგი იყო ეგვიპტეში, ეთიოპიაში, ტუნისში, ალჟირსა და საჰარაში. მოგზაურობის შედეგები და შთაბეჭდილებები მან საინტერესოდ აღწერა ნიგნში „По белу свету“.

„შესაძლებელია კი, სადღაც აფრიკაში, უდაბნოს პირას გადაკარგულ ქალაქში ქართველები იმყოფებოდნენ?“ — კითხულობს „მომამბის“ მიმომხილველი და იქვე პასუხობს, რომ „ელისეევი გამოცდილი მოგზაური იყო, ჩვენში ნამყოფი, ქართველების მცნობი და ამიტომ შეუძლებელია, ასე გადაჭრით, კატეგორიულად ეთქვა „ქართველები“, თუ ტიპით და ენით ქართველები არ ყოფილიყვნენ“.

ჟურნალი ქალაქ უარგლას ლაკონურ დახასიათებასაც სთავაზობს მკითხველს: „უწინდელ დროში დიდად სახელოვანი ყოფილა წმინდა ქალაქად წოდებული უარგლა. ახლა კი შესანიშნავს აღარას წარმოადგენს, რადგან უდაბნო სჯაბნის და ნელ-ნელა თავის ქვიშის ქვეშ მარხავს.“


უწინ ქალაქი მდ. იხარხარის სიხლოვეს მდგარა და დიდი ვაჭრობა ჰქონია სუდანთან და სხვა ქვეყნებთან.

მდ. იხარხარს ჰეროდოტიც იხსენიებს თავის ისტორიაში. ახლა იხარხარი გამშრალია და ლამის უდაბნომ ნალექოს თვით ქ. უარგლაც“.

ცნობები აფრიკის ქართველების შესახებ გამოქვეყნდა იმავე პერიოდის გაზეთ „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელშიც“, მაგრამ გაცილებით უფრო კონკრეტული და მეტად საინტერესო მონათხრობი იქაურ ქართველთა შესახებ

1939 წელს გამოაქვეყნა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ ჟურნალისტმა გრიგოლ კუტუბიძემ. მას ფოტოში შეხვედრია ქართველი მეზღვაური სიორიძე, რომელსაც შემდეგი უამბნია:

— ამ რამდენიმე თვის წინათ საბჭოთა სატვირთო გემი მიადგა ჩრდილოეთ აფრიკის ნავსადგურს (მოგვიანებით ჟურნალისტ მ. მამულაშვილთან საუბარში მეზღვაურმა სიორიძემ დააზუსტა, რომ ეს ნავსადგური ალჟირი იყო — გ. მ.). გემზე ორი ქართველი მეზღვაური ვიყავით. ძალზე გვანტერესებდა აქაური შავკანიანი მოსახლეობის ყოფა, ამიტომ გემის კაპიტანს ვთხოვეთ, რამდენიმე საათით ქალაქში გასეირნების უფლება მოეცა. ნავსადგურში ჩვენი ყურადღება მიიპყრო მტვირთავი მუშების არაადამიანურმა შრომამ. ფრანგი ზედამხედველი, რომელსაც რეზინის მათრახი ეჭირა, ხან ერთს გადაუჭერდა ზურგში, ხან მეორეს. ვეებერთელა ყუთების სიმძიმით წელში განყვეტილი შავკანიანები, რომელთაც წამდაუნუმ ხვდებოდათ კოლონიზატორის მათრახი, თავიანთ აღშფოთებას მხოლოდ კბილთა ღრჭენით თუ გამოხატავდნენ. ჩემმა თანამემამულემ ველარ გაუძლო ამ საშინელ სურათს და ქართულად მომაცხა: დიპლომატიური სკანდალისა რომ არ მეშინოდეს, ამ არამზადა ფრანგს ცხვირ-პირს ამოვუმტვრევდიო.





უცებ მოხდა წარმოუდგენელი რამ: ერთ-ერთმა შავკანიანმა, რომელიც ჩვენთან ყველაზე ახლოს იყო, მძიმე ყუთი ძირს დააგდო, ჯიქურ მოგვეჭრა და აქლოშინებულმა ქართულად მოგვაცარა: „ბიჭებო, ქართველები ხართ?“

ჩვენთვის უფრო ადვილი დასაჯერებელი იქნებოდა, ეს ზანგი რაღაც სასწაულით უცებ რომ გათეთრებულიყო, ვიდრე მისი ქართული ლაპარაკი!

რამდენსამე წუთს გაშტერებით შევცქეროდით შავკანიანს, რომელსაც სახე უღიმოდა და თეთრი კბილები მოუჩანდა.

— ჩვენ კი ქართველები ვართ, მაგრამ შენ, შავკანიანმა, საიდან იცი ქართული? — თითქმის ერთხმად მივაძახეთ ორივემ.

— მეც ქართველი ვარ, თქვენისთანა! ხომ ხედავთ, ჩვენს ენაზე ლაპარაკი არ დამიწყებია; აქ ბევრი ქართველი ცხოვრობს, რამდენიმე სოფელი გვაქვს, ძველი დროიდან აქ ვსახლობთ. მართლა შავკანიანები არ გეგონოთ, კანი აფრიკის მცხუნვარე მზემ გაგვიშავა. **ენა და ქართველობა თუ აქამდე შევინარჩუნეთ, ეს იმის წყალობით, რომ სხვა ერის კაცებს ჩვენს ქალს ცოლად არ ვაბრუნებთ, არც თვითონ ვირთავთ უცხო ტომის შვილებს,** — დაასრულა საუბარი შავკანიანმა ქართველმა.

მუშაობას ასე დემონსტრაციულად თავი რომ დაანება, ეს, რა თქმა უნდა, ჭკუაში არ დაუჯდა ფრანგ კოლონიზატორს, მოვარდა, მტვირთავს მათრახი გადაუჭირა.

ჩემი მეგობარი, რომელიც თავისი ახოვანებით რამდენსამე ასეთ ზედამხედველს ადვილად გაუსწორდებოდა, მისკენ გაიწია და დიდი ხვეწნით ძლივს შევაჩერე...

შავკანიანმა მტვირთავმა რომ ნახა, მისმა ქართველობამ ჩვენში ეჭვი გამოიწვია, გვითხრა: არა გჯერათ, რომ ქართველი ვარ? აი იქ, ყუთებს რომ ეზიდებიან, ჩემ გარდა, ათი ქართველი მუშაობს, ყველა ერთი სოფლიდან ვართ. **ქალაქ უჯდასთან** (ახლა მაროკოს საზღვრისპირა ქალაქია — გ. მ.)

ქართველების **რამდენიმე სოფელია, მოსახლეობის მეტი წილი გუგუნარის გვარს აბარებს, აი ის მაღალი კაცი კი ჭანუყვარია.** გუგუნარი და ჭანუყვარი ჩვენს სოფელშიც მთავარი გვარებია. მეტისმეტად ლტაკურად ვცხოვრობთ, ჩვენი ბავშვები ჩამოგლეჯილი და და ფეხშიშველები დარბიან, ადგილიც ძალზე უნაყოფოა, უდაბნოს ხვატი ჩვენამდე აღწევს. იძულებული ვართ, შორეულ საზღვაო ნავსადგურებში და სხვაგან მძიმე სამუშაოზე წავიდეთ, მონური შრომით ვირჩინოთ თავი...

— ჭანუყვარი, გუგუნარი! — ეს ხომ ჩვენი ჭანუყვაძეებისა და გუგუნავების შორეული წინაპრები არიან?! — შევძახე გაოგნებულმა...

...საიდან და როდის მოვიდნენ ისინი ამ ადგილებში?

„მოსტოვიჩის აზრით, ქართველების გადასახლება აფრიკაში (ნაგულისხმევი უნდა იყოს ალჟირი — გ.მ.) შეიძლება ორნაირად მომხდარიყო: **იბვიპტალ ფარაონებს სშირად გამოუღაშებრიათ მცირე აზიაში და კავკასიასაც სშირად სწავებიან; ბევრჯერ გაუმარჯვნიათ და ბევრი ტყვიც გაუყვანიათ. გარდა ამისა, კვილ ქართველთ აფრიკულ ქალაქებთან და შეიძლება მაშინდელთა შთამომავალნი დარჩენილიყვნენო.**

ბ-ნ განის აზრით, ქართველთა გადასახლება აფრიკაში აგრე დიდი ხნისა არ უნდა იყოს. პლინი (ალბათ, პლინიუსი — გ.მ.) თავის ბუნებრივ ისტორიაში წერს: **პარონი გვარდმუნებს, რომ იბირნი, სპარსნი და სხვა ხალხი დასახლდნენ მთელს ესპანიაშიო და ესპანნიდან აფრიკაში გადასვლა სომ ადვილზე უადვილესია.**

„მაგრამ ეს მხოლოდ ჰიპოთეზააო“, — წერს ჟურნალი და იქვე მოჰყავს მოსაზრება განის წიგნიდან „უძველესთა მწერალთა ცნობანი კავკასიის შესახებ“:

„იმპერატორის ემანუელ პირვე-

ლი კომნენის დროს 1155 წ. ქრ. შობის შემდეგ, იმპერატორის მიერ იტალიაში გაგზავნილნი რომაელები... დაბანაკდნენ ბრუნდუზიის (ადრიატიკის ზღვის პირად) სიახლოვეს, და როგორც ამბობდნენ, იქვე ახლო იმყოფებოდა ვილჰელმი მეფე სიცილიისა. რადგან მასთან შებრძოლება არ უნდოდათ, წინ გაგზავნეს ორი ვაჟკაცობით განთქმული მამაცი და მათთან ერთად იბერნი... მტრისადმი სროლის ასატენად. გაგზავნილები მალე შეხვდნენ მტერს... რომელიც თავის იქვე ახლო მდგომ ჯარისკენ გაიქცა; იბერნი... ლტოლვილთ უკან დაედევნენ, უკანა რიგებში ბევრი დახოცეს, ბევრი ცხენი და ერთი დროშა წაართვეს და ბრუნდუზიაში დაბრუნდნენ“.

და კიდევ: „იმპერატორის ანდრონიკ პალეოლოგის დროს 1306 წ. ქრ. შობის შემდეგ კაცანს, აღმოსავლეთის თათრების ხანს ყოველთვის ბრწყინვალე, რიცხვმრავალი და რჩეული ამაღა ახლდა, მაშინაც კი, როდესაც ომი არ ჰქონდა.

ამ ამაღაში უმთავრესად მსახურობდნენ იბერნი, გამოცდილნი და გმირი მხედარნი; მათ დაბადებითვე თანა ჰყვებოდა მხედრობითი ძალა და პატიოსნური გმრობა; გარდა ამისა, ძალიან სათნო ჩვეულებისანი იყვნენ, რადგან წმინდად ჰქონდათ დაცული ქრისტიანული სჯული...“

ამ ცნობებიდან ცხადადა ჩანსო, ამბობს ბ. განი, რომ XII-XIV საუკუნეებში ქართველნი აფრიკის ახლოს ყოფილან და აფრიკაში გადასვლაც ძალიან ადვილად შეეძლებოდათო, მეტადრე სამხრეთ იტალიიდან. „სამწუხაროა, — შენიშნავს ჟურნალ „მოამბის“ მიმომხილველი, — რომ ელისეევმა უარგულ ქართველებს არ გამოჰკითხა მათი გადასახლების ამბავი, რადგან ამგვარი მნიშვნელოვანი გარემოების ხსოვნა დიდი ხანი რჩება ხალხის ზეპირ თქმულებაში“.

პიორპი მახარაძე, წიგნიდან „არდავიწყება მოყვრისა“, თბ., 1976

ნიკოლოზ
ზაბოლოცკის
ბრინჯაოს ბიუსტი
(ავტორი —
სკულპორი
ნიკოლაი
კაზანოვი) პატარა
ქალაქ ტარუსაში,
სადაც მან
ცხოვრობის
უკანასკნელი
წლები გაატარა.
ეს იყო მისი
შემოქმედებითი
აქტივობის პიკი.
1958 წელს
მოსკოვში
რამდენიმე დღით
— ქართული
ლიტერატურისა
და ხელოვნების
დეკადაზე
ჩამოვიდა, სადაც
ის
მთარგმნელითი
საქმიანობათვის
შრომის ნითელი
დროშის ორდენით
დაჯილდოვებ.
ამის შემდეგ ისევ
ტარუსაში
დაბრუნდა; იმ
ილებდა სტუმრებს
და თავისი
საყვარელი
ქართული ღვინით
— "თელნიანით"
უმბსკინძებოდა.





ISSN 1987-5908



9177198715900061